

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია

# კვაზირეალური პირობები

## ფასულ მიღება

ბათუმის რეაბილიტაცია



საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია

# რეაბილიტაციის პროცესი ფასადს მიღმა

---

ბათუმის რეაბილიტაცია

თბილისი  
2013

მომზადდა საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მიერ პროექტის - “ანგარიშვალდებულებისა და გამჭვირვალობის ხელშეწყობა საქართველოში” - ფარგლებში, “ღია საზოგადოების ინსტიტუტის” (OSI) - ფინანსური მხარდაჭერით.

გამოცემაზე პასუხისმგებელია საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და მისი შინაარსი არ გამოხატავს დონორის ოფიციალურ პოზიციას.



საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია ანგარიშის მომზადების დროს განეული დახმარებისთვის მადლობას უხდის შოთა გუჯაბიძეს - “იალონი სტუდიო” და ნანა კვაჭაძეს - “გაზეთი ბათუმელები”.

ავტორი: **სულხან სალაქია**

ანგარიშის ასისტენტი: **სალომე სალარაქია**

რედაქტორი: **ხათუნა ყვირალაშვილი**

ტექ. რედაქტორი: **ირაკლი სპანიძე**

გამოცემაზე პასუხისმგებელი: **ეკატერინე შოფხაძე**  
**სულხან სალაქია**

---

აინყო და დაკაბადონდა  
საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციაში.  
ჯ. კახიძის ქ. 15 თბილისი 0102 საქართველო  
(+995 32) 295 23 53, 293 61 01  
ვებ-გვერდი: [www.gyla.ge](http://www.gyla.ge)  
ელ-ფოსტა: [gyla@gyla.ge](mailto:gyla@gyla.ge)  
ტირაჟი: 500 ც.

ISBN 978-9941-0-5874-5

აკრძალულია აქ მოყვანილი მასალების გადაბეჭდვა, გამრავლება ან გავრცელება  
კომერციული მიზნით, ასოციაციის წერილობითი ნებართვის გარეშე

## შინაარსი

1. შესავალი .....	5
1.1. მიზნები და მიზეზები .....	5
1.2. მეთოდოლოგია .....	6
1.3. დაბრკოლებები .....	6
1.4. ძირითადი მიგნებები .....	7
2. 2009-2013 წლების ბათუმის ისტორიული უბნებისა და ტურიტული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის პროგრამა .....	9
2.1. 2009 წელი .....	9
2.2. 2010 წელი .....	15
2.3. 2011 წელი .....	21
2.4. 2012 წელი .....	25
2.5. 2013 წელი .....	32
2.6. დასკვნა .....	35
3. შემსრულეული კომპანიები .....	36
4. ინდივიდუალური პროექტები .....	39
4.1. აღფაბეტური კომპი .....	39
4.1.1. შპს “ზიმო” .....	41
4.1.2. შპს “გზა” .....	44
4.1.3. შპს “კომპანია ბლექ სი გრუპი” .....	47
4.1.4. შპს „CMD DOMINGO Y LAZARO INGENIEROS, S.I.“ .....	50
4.1.5. შპს „CMD DOMINGO Y LAZARO INGENIEROS, S.I.“ -ის წარმომადგენლობა საქართველოში .....	53
4.1.6. სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიურო .....	54
4.1.7. “APPLUS + Norcontrol S.LU.” .....	55
4.1.8. დასკვნა .....	56
4.2. ქ. ბათუმში ოპერისა და ბალეტის სახლის მშენებლობა .....	57
4.3. ბათუმის ისტორიული ფორტის (თეთრი კოშკების) მშენებლობა .....	63
4.4. საზოგადოებრივი ტუალეტის მშენებლობა .....	65
4.5. პიატას მოედანი .....	66
4.5.1. პიატას გადახურვის პროექტი .....	71
4.5.2. დასკვნის მაგიერ - პიატას გასხვისება .....	75
5. კულტურული მემკვიდრეობა და ბათუმის რეაბილიტაცია .....	76

6.	კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსის მქონე დანგრეული და სახეცვლილი შენობები ბათუმში .....	83
6.1.	თოჯინების თეატრი .....	84
6.2.	სასტუმრო “ლონდონი” .....	85
6.3.	ფოსტის შენობა .....	86
6.4.	სასტუმრო “BELLE-VUE” .....	87
6.5.	სასტუმრო “DE FRANCE” .....	87
6.6.	ეროვნული ბანკის შენობა .....	88
6.7.	სასტუმრო “ორიენტალი” .....	89
7.	დასკვნა .....	90
8.	დანართები .....	93
8.1.	დანართი №1. ბათუმის მერიის ინფორმაცია 2009-2013 წლებში ბათუმის ისტორიული უბნებისა და ტურისტული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის პროგრამის ფარგლებში გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ .....	93
8.2.	დანართი №2. საქართველოს მთავრობის განკარგულებები .....	115
8.3.	დანართი №3. საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვის და სპორტის მინისტრის ბრძანებები .....	132
8.4.	დანართი №4. საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის ბრძანებები .....	138

## 1. შესავალი

### 1.1. მიზნები და მიზეზები

2012 წელში საიამ სერიის – „რეაბილიტაციის პროცესი ფასადს მიღმა“ – პირველი ვრცელი ანგარიში წარმოადგინა, რომლის მნიშვნელოვანი ნაწილი თბილისის ისტორიული ნაწილის რეაბილიტაციის პროცესში თბილისის მთავრობის მიერ დაფუძნებული ორი არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის მონაწილეობას ეხებოდა.<sup>1</sup> ანგარიშში შედარებით მცირე ადგილი ეთმობოდა ბათუმის და ქუთაისის რეაბილიტაციის პროცესში ამავე თვითმმართველობების მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების მონაწილეობას.<sup>2</sup>

სერიის პირველმა ანგარიშმა ნათლად აჩვენა, რომ თბილისის, ბათუმის და ქუთაისის რეაბილიტაციის პროცესში ბევრი ბუნდოვანი საკითხი არსებობდა. იმავდროულად, აღნიშნული ქალაქების რეაბილიტაციის მიზნით, ასეულობით მილიონი ლარი გაუმჭვირვალედ დაიხარჯა, ხოლო საზოგადოებას არაერთ კითხვაზე პასუხი არ მიუღია. ინფორმაციები, რომლებიც რეაბილიტაციას შეეხებოდა, ძირითადად, ურთიერთგამომრიცხავი და წინააღმდეგობრივი იყო. შესაბამისად, პროექტის მიმდინარეობის დროს მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, რომ ბათუმის და ქუთაისის რეაბილიტაციის შესახებ ცალკე ანგარიშები მომზადებულიყო.

წარმოდგენილი ანგარიში სერიის – „რეაბილიტაციის პროცესი ფასადს მიღმა“ – მეორე დამოუკიდებელი ნაწილია და იგი მთლიანად ბათუმის რეაბილიტაციას უკავშირდება.

ანგარიშის ძირითადი ნაწილი ბათუმის თვითმმართველობის მიერ 2009-2013 წლებში განხორციელებულ ბათუმის „ისტორიული უბნებისა და ტურისტული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის“ პროგრამას ეხება. ანგარიშში მნიშვნელოვანი ნაწილი ეთმობა ასევე ბათუმში არსებული კულტურული მემკვიდრეობის სტატუსის მქონე ძეგლებს და ბათუმის რეაბილიტაციის პროცესში ამ ძეგლების ბედს. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ ანგარიშის მიზანს არ წარმოადგენდა ბათუმში არსებულ კულტურული მემკვიდრეობის სტატუსის მქონე ძეგლებზე ჩატარებული სხვადასხვა სახის სამუშაოების შესწავლა და შეფასება.

ანგარიშში ინდივიდუალურად, შესაბამისი წლების მიხედვით არის განხილული ბათუმის თვითმმართველობის მიერ 2009-2013 წლებში განხორციელებული ბათუმის „ისტორიული უბნებისა და ტურისტული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის პროგრამა“. პარალელურად, ცალკე არის წარმოდგენილი აღნიშნული პროგრამის ფარგლებში დაფინანსებული ისეთი პროექტები, როგორც იყო ქ.ბათუმში ალფაბეტური კოშკისა და პიაცას მოედნის მშენებლობა.

ანგარიშში სათანადო ადგილ ეთმობა ასევე იმ პროექტებს, რომელთა დაფინანსებაც, მართალია, 2009-2013 წლების ბათუმის „ისტორიული უბნებისა და ტურისტული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის“ პროგრამის საშუალებით მოხდა, თუმცა, სხვადასხვა მიზეზის გამო, ბოლომდე არ იქნა მიყვანილი.

მთლიანობაში, ანგარიშზე მუშაობის დროს საიამს მიზანს წარმოადგენდა შემდეგი საკითხების გამოვლენა და შესწავლა:

- რამდენად თანმიმდევრულად და ადეკვატურად ხდებოდა ბათუმის „ისტორიული უბნებისა და ტურისტული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის“ 2009-2013 წლების პროგრამის დაგეგმვა და განხორციელება;

<sup>1</sup> ააიპ ძველი ქალაქის რეაბილიტაციისა და განვითარების ფონდი; ააიპ თბილისის განვითარების ფონდი.

<sup>2</sup> ააიპ ბათუმის ისტორიული ნაწილის განვითარების ფონდი; ააიპ ქალაქ ქუთაისის ისტორიული ნაწილის რეაბილიტაციის და განვითარების ფონდი.

*წარმოდგენილი ანგარიში სერიის – „რეაბილიტაციის პროცესი ფასადს მიღმა“ – მეორე დამოუკიდებელი ნაწილია და იგი მთლიანად ბათუმის რეაბილიტაციას უკავშირდება.*

- რით იყო გამოწვეული 2009-2013 წლების პროგრამაში მუდმივად ცვლილებების შეტანა და რამდენად ეფუძნებოდა აღნიშნული ცვლილებები ობიექტურ გარემოებებს;
- ინდივიდუალური პროექტების მაგალითზე, სახელმწიფო შესყიდვების რა ფორმას იყენებდა ბათუმის მერია და რა სამართლებრივი საფუძვლებით;
- რამდენად უწყობდა ხელს კონკურენციისა და საჯარო ფინანსების რაციონალურად ხარჯვას სახელმწიფო შესყიდვების ის ფორმა, რომელსაც ბათუმის მერია იყენებდა პროგრამის ფარგლებში;
- პროგრამის განხორციელების პარალელურად, რამდენად დაცული იყო კულტურული მემკვიდრეობის შესახებ საქართველო კანონის მოთხოვნები და, კანონის მოთხოვნათა დარღვევების შემთხვევაში, რა სამართლებრივი ზომები იქნა მიღებული შესაბამისი ორგანოების მიერ;

ანგარიშში ვრცლად არის წარმოდგენილი ვიზუალური ფოტო-მასალა, რაც მკითხველს გაუიოლებს ბათუმის თვითმმართველობის მიერ, ბათუმის „ისტორიული უბნებისა და ტურისტული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის“ 2009-2013 წლების პროგრამის პარალელურად განვითარებული პროცესების ერთიანობაში აღქმას.

*ანგარიშში ვრცლად არის წარმოდგენილი ვიზუალური ფოტო-მასალა, რაც მკითხველს გაუიოლებს ბათუმის თვითმმართველობის მიერ, ბათუმის „ისტორიული უბნებისა და ტურისტული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის“ 2009-2013 წლების პროგრამის პარალელურად განვითარებული პროცესების ერთიანობაში აღქმას.*

### 1.2. მეთოდოლოგია

მეთოდოლოგიის თვალსაზრისით, წარმოდგენილი ანგარიში, ძირითადად, სხვადასხვა ადმინისტრაციული ორგანოდან საჯარო ინფორმაციის მოპოვებისა და შემდგომში ამ ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე მომზადდა.

ანგარიშზე მუშაობის დროს საია შემდეგი საჯარო დაწესებულებებიდან ითხოვდა ინფორმაციას:

- თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის საკრებულო;
- თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის მერია;
- ბათუმის საქალაქო სასამართლო;
- საქართველოს მთავრობის კანცელარია;
- საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო.

გარდა ადმინისტრაციულ ორგანოებში დაცული ოფიციალური დოკუმენტებისა, ანგარიშის მომზადების პროცესში გამოყენებულ იქნა ასევე ვებ-რესურსები და ვიზუალური ფოტო-მასალა, რამაც ანგარიშში ასახულ რიგ ინფორმაციას კიდევ უფრო მეტი დამაჯერებლობა შესძინა.

### 1.3. დაბრკოლები

ანგარიშზე მუშაობის დროს, შესაბამისი ინფორმაციის მოძიებისა და შეგროვების მიზნით, საიას არ შექმნია რაიმე სახის განსაკუთრებული პრობლემა, რომელსაც შეეძლო არსებითი გავლენა მოეხდინა ანგარიშის შინაარსობრივ მხარეზე.

უნდა აღინიშნოს, რომ, პრაქტიკულად, არც ერთი ის განცხადება, რომელიც საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის მიზნით ადმინისტრაციული ორგანოებში იქნა წარდგენილი, არ დარჩენილა პასუხის გაცემის გარეშე. აღნიშნული მოვლენა, ინფორმაციის თავისუფლების თვალსაზრისით, თავისთავად შეიძლება შეფასდეს, როგორც დადებითი ფაქტი. თუმცა, აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ, რიგ შემთხვევებში, მონოდებული ინფორმაცია არ იყო სრულყოფილი, ხოლო, ცალკეულ შემთხვევებში, მოთხოვნილი ინფორმაციის მოცულობიდან გამომდინარე, ადმინისტრაციული ორგანოების მიერ საჯარო ინფორმაცია საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ვადების დარღვევით იქნა გაცემული.

ამასთან, ქ. ბათუმში ალფაბეტური კოშკის მშენებლობასთან დაკავშირებით, შეუძლებელი აღმოჩნდა ბათუმის მერიიდან ინფორმაციის მოვპოვება, რის მიზეზადაც, ბათუმის მერიის მიერ მონოდებული ოფიციალური ინფორმაციის თანახმად, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის მიერ ბათუმის მერიიდან დოკუმენტების ორიგინალების ამოღება იქნა დასახელებული.<sup>3</sup>

ანგარიშის მომზადების პროცესში, საიას არ გამოუყენებია კანონმდებლობით განსაზღვრული ადმინისტრაციული საჩივრისა და სასარჩელო განცხადების წარდგენის შესაძლებლობა.

**1.4. ძირითადი მიგნებები**

ანგარიშზე მუშაობის დროს საიას რამდენიმე მნიშვნელოვანი მიმართულებით უხდებოდა აქცენტის გაკეთება. შესაბამისად, ძირითადი მიგნებები, რომლებიც ანგარიშში იქნა ასახული, სწორედ იმ აქცენტების გათვალისწინებით იქნა გამოკვეთილი, რაზეც საიამ ამახვილებდა ყურადღებას.

ანგარიშის მომზადების შედეგად, ნათელი გახდა, რომ:

- ბათუმის თვითმმართველობის მიერ 2009-2013 წლებში განხორციელებული ბათუმის „ისტორიული უბნებისა და ტურისტული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის პროგრამის“ ნაწილი, რომელიც დაკავშირებული იყო შესასრულებელ სამუშაოებთან, არ ეფუძნებოდა ზუსტ და ამომწურავ ინფორმაციას და შესაბამისი წლების პროგრამის მსვლელობის დროს მუდმივად იცვლებოდა;
- 2009-2013 წლებში პროგრამაში შეტანილი არც ერთი ცვლილება არ მოიცავს ინფორმაციას და დასაბუთებას იმის შესახებ, კონკრეტულად რა გარემოებებით იყო განპირობებული პროგრამაში ცვლილებების შეტანა. 2009-2013 წლის პროგრამის ანალიზი ნათლად აჩვენებს, რომ წლების განმავლობაში პროგრამაში შეტანილი ცვლილებები, სავარაუდოდ, სპონტანურ ხასიათს ატარებდა და უფრო სუბიექტურ ფაქტორებს ეფუძნებოდა, ვიდრე ობიექტურ გათვლებს;
- 2009-2013 წლების პროგრამას არ ახლავს სათანადო ინფორმაცია შესრულებული სამუშაოების შეფასების კრიტერიუმების შესახებ. მეტიც, საიას ინფორმაციით არ მომხდარა 2009-2013 წლებში განხორციელებული ბათუმის „ისტორიული უბნებისა და ტურისტული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის პროგრამის“ სათანადო შეფასება. აღნიშნული გარემოება თავისთავად აჩენს კითხვებს იმის შესახებ, თუ რამდენად ობიექტურ მონაცემებზე დაყრდნობით ხდებოდა ყოველი მომდევნო წლის პროგრამის დაგეგმვა;
- წლების განმავლობაში, პროგრამის ბიუჯეტიდან, სახელმწიფო შესყიდვების საფუძველზე არაერთი მომსახურება და სამუშაო იქნა შესყიდული, რაშიც მილიონობით ლარი გაიხარჯა, თუმცა, შემდგომში აღნიშნული პროექტები აღარ განხორციელებულა. მაგალითად, ასეთი პროექტები იყო: ოპერის თეატრის მშენებლობა ბათუმის ძველ ბულვარში, ბათუმის ფორტი სანაპიროზე, პიაცას გადახურვის პროექტი და სხვა. მართო ანგარიშში განხილული პროექტების მაგალითზე, საიამ ბათუმის მერიის მიერ ამ სახით გახარჯული 3,533,364 ლარი დაითვლა. ამასთან, სრულებით შესაძლებელია, რომ აღნიშნული თანხა არ იყოს ამომწურავი და 2009-2013 წლებში ბათუმის „ისტორიული უბნებისა და ტურისტული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის პროგრამის“ ფარგლებში ბევრად მეტი ისეთი ღონისძიება იყოს დაფინანსებული, რომელიც შემდგომში აღარ განხორციელებულა;
- პროგრამის ფარგლებში ყველაზე ხშირად სახელმწიფო შესყიდვების ის ფორმები გამოიყენებოდა, რომლებიც, როგორც წესი, ნაკლებად

*2009-2013 წლის პროგრამის ანალიზი ნათლად აჩვენებს, რომ წლების განმავლობაში პროგრამაში შეტანილი ცვლილებები, სავარაუდოდ, სპონტანურ ხასიათს ატარებდა და უფრო სუბიექტურ ფაქტორებს ეფუძნებოდა, ვიდრე ობიექტურ გათვლებს.*

<sup>3</sup> ბათუმის მერიის 2013 წლის 27 მაისის #4-04/13849 კორესპონდენცია.



კომპანიების ნაწილი, რომლებიც ბათუმის თვითმმართველობის მიერ 2009-2013 წლებში განხორციელებული ბათუმის „ისტორიული უბნებისა და ტურისტული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის პროგრამის“ ფარგლებში შესაბამისი მომსახურებისა და სამუშაოების გამწვანებას, წარმოადგენდნენ, პარალელურად პოლიტიკური გაერთიანება ერთიანი ნაციონალური მოძრაობის შემწიველები იყვნენ.

კონკურენტულია და ვერ უზრუნველყოფს გამჭვირვალობის მაღალ სტანდარტს. მარტო ალფაბეტური კოშკის მშენებლობისა და მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობის მიზნით, ბათუმის მერიამ 60 მილიონზე მეტი ლარის ღირებულების სახელმწიფო შესყიდვა ერთ პირთან მოლაპარაკებისა და გამარტივებული სახელმწიფო შესყიდვის გზით განახორციელა;

- საქართველოს მთავრობამ, შესაბამისი განკარგულებების საფუძველზე, ბათუმის მერიას ათეულობით მილიონი ლარის ღირებულების სამუშაოებისა და მომსახურების ერთ პირთან მოლაპარაკებისა და გამარტივებული შესყიდვის ფორმით განხორციელების უფლება მიანიჭა. ამასთან, როგორც წესი, განკარგულებები არ შეიცავს არანაირ დასაბუთებას, თუ რით იყო განპირობებული სახელმწიფო შესყიდვის აღნიშნული ფორმის გამოყენება და შემოიფარგლება მხოლოდ ზოგადი ხასითის ჩანაწერებით. ამ ტიპის არაერთი განკარგულება იყო მიღებული ალფაბეტური კოშკისა და პიაცას მოედნის პროექტებთან დაკავშირებით;
- პროგრამის ფარგლებში შესრულებული და ანგარიშში განხილული კონკრეტული პროექტების მაგალითზე, ნათელი ხდება, რომ ყველაზე მნიშვნელოვანი და, ფინანსური თვალსაზრისით, დიდი პროექტების გახორციელების პროცესში მუდმივად ადგილი ჰქონდა ხელშეკრულებაში შესაბამისი ცვლილებების შეტანას და შესასრულებელი სამუშაოების ვადის გაგრძელებას, რაც, შესაძლოა, პროექტების და მთლიანად 2009-2013 წლების პროგრამის არასათანადოდ დაგეგმვაზე მიუთითებდეს;
- პროგრამის ფარგლებში დაფინანსებული ყველაზე დიდი პროექტის – ალფაბეტური კოშკის მშენებლობის მასალები 2013 წლის 11 იანვარს ამოღებულ იქნა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის მიერ, რაც კიდევ უფრო აძლიერებს ეჭვებს აღნიშნული პროექტის განხორციელების დროს დაშვებული შესაძლო კანონდარღვევების შესახებ;
- ანგარიშის მიხედვით ასევე ცნობილი ხდება, რომ კომპანიების ნაწილი, რომლებიც ბათუმის თვითმმართველობის მიერ 2009-2013 წლებში განხორციელებული ბათუმის „ისტორიული უბნებისა და ტურისტული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის პროგრამის“ ფარგლებში შესაბამისი მომსახურებისა და სამუშაოების გამწვანებას, წარმოადგენდნენ, პარალელურად პოლიტიკური გაერთიანება ერთიანი ნაციონალური მოძრაობის შემწიველები იყვნენ. მაგალითად, ისეთმა კომპანიებმა, როგორცაა შპს „ანაგი“, შპს „გზა“, შპს „ზიმო“ და შპს „ფიროსმანი“, მარტო 2010 წელს შემოწირულობის სახით ასიათას-ასიათასი ლარი გაიღეს. საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ აღნიშნული თანხა, იმ დროისთვის, იურიდიული პირის მხრიდან ერთი წლის განმავლობაში კანონმდებლობით განსაზღვრული შემოწირულობის მაქსიმალურ ოდენობას წარმოადგენდა;
- ანგარიშზე მუშაობის დროს გამოვლინდა, რომ ბათუმში არსებობს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსის მქონე შენობები, რომლებიც, შესაბამისი სამართლებრივი აქტების საფუძველზე, დღემდე ირიცხება კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების ნუსხაში, თუმცა, ფიზიკურად განადგურებულია და აღარ არსებობს.

ყველა ზემოთ ჩამოთვლილი საკითხი სათანადოდ არის განხილული და წარმოდგენილი ანგარიშის შესაბამის თავებში.

## 2. 2009-2013 წლების ბათუმის ისტორიული უბნებისა და ტურისტული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის პროგრამა

ანგარიშის წინამდებარე თავში საია საზოგადოებას ბათუმის „ისტორიული უბნებისა და ტურისტული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის 2009-2013 წლების პროგრამის დეტალურ მიმოხილვას სთავაზობს შესაბამისი წლების მიხედვით.

### 2.1. 2009 წელი

2009 წლის 25 თებერვალს ბათუმის საკრებულომ დაამტკიცა თვითმმართველი ქალაქის – ბათუმის „ისტორიული უბნებისა და ტურისტული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის“ 2009 წლის მუნიციპალური პროგრამა, რომლის თავდაპირველი ბიუჯეტი 25,005,000 ლარით განისაზღვრა.

პროგრამის მიზანს წარმოადგენდა ქალაქში ისტორიული უბნების, ისტორიული ძეგლების, შენობების აღდგენა-შენარჩუნებისა და ბათუმის ზღვისპირა პარკის შემდგომი განვითარების ხელშეწყობა, რაც, საბოლოო ჯამში, გააუმჯობესებდა როგორც ქალაქის მაცხოვრებელთა პირობებს, ისე ქალაქის ტურისტულ ინფრასტრუქტურას. ამ ყველაფერს კი ქალაქი ვიზიტორთათვის მიმზიდველი და საინტერესო უნდა გაეხადა.<sup>4</sup>

პროგრამა, რომლის დაწყების თარიღად 2009 წლის 26 თებერვალი, ხოლო დასრულების თარიღად 2009 წლის 31 დეკემბერი იქნა მიჩნეული, თავდაპირველი ვერსიის მიხედვით, შემდეგ ღონისძიებებს მოიცავდა:

№	შესასრულებელი სამუშაოები
1	საზაფხულო თეატრის რეაბილიტაცია, მიმდებარე ობიექტების კეთილმოწყობა, ტერიტორიის განაშენიანება
2	საძიებო სამუშაოები
3	საპროექტო სამუშაოები
4	საკონსტრუქტორო სამუშაოები
5	სამშენებლო-სარეკონსტრუქტორო სამუშაოები
6	მინისქვეშა კომუნიკაციების მოწყობა
7	მწვანე საფარის მოწყობა
8	გარე განათება
9	ზღვისპირა ტერიტორიის გამწვანება
10	ობიექტების გადახურვა
11	დეკორატიული განათება, ზღვისპირა პარკისათვის ურნების, სკამების დამზადება-განთავსება

**საყურადღებოა, რომ ბათუმის საკრებულოს მიერ 2009 წლის 25 თებერვალს დამტკიცებულ პროგრამაში არაფერი იყო ნათქვამი იმის შესახებ, თუ რომელ ღონისძიებაზე რა თანხა უნდა გახარჯულიყო ზემოთ აღნიშნული 25,005,000 ლარიდან.**<sup>5</sup> ასევე, პროგრამა არ შეიცავდა ინფორმაციას, თუ რამდენ აქტივობას მოიცავდა კონკრეტულად თითოეული ღონისძიება. უფრო მეტიც, ბათუმის საკრებულომ ბათუმის მერს უფლება მიანიჭა, პროგრამისათვის დამტკიცებული წლიური ასიგნებების ფარგლებში, თავადვე მოეხდინა იმავე პროგრამის ცალკეულ პუნქტებს შორის თანხების გადანაწილება.<sup>6</sup>

პროგრამის თავდაპირველ ვერსიაშივე იყო აღნიშნული, რომ სამუშაოების-

<sup>4</sup> ბათუმის საკრებულოს 2009 წლის 25 თებერვლის #11 განკარგულება, დანართი #1;

<sup>5</sup> ბათუმის საკრებულოს 2009 წლის 25 თებერვლის #11 განკარგულება, დანართი #1.

<sup>6</sup> ბათუმის საკრებულოს 2009 წლის 25 თებერვლის #11 განკარგულების მე-2 პუნქტი.

*პროგრამის მიზანს წარმოადგენდა ქალაქში ისტორიული უბნების, ისტორიული ძეგლების, შენობების აღდგენა-შენარჩუნებისა და ბათუმის ზღვისპირა პარკის შემდგომი განვითარების ხელშეწყობა, რაც, საბოლოო ჯამში, გააუმჯობესებდა როგორც ქალაქის მაცხოვრებელთა პირობებს, ისე ქალაქის ტურისტულ ინფრასტრუქტურას.*

პროგრამაში 2009 წელს ხუთჯერ შევიდა ცვლილება და პროგრამა ხუთჯერვე ახალი რედაქციით ჩამოყალიბდა.

ვის გათვალისწინებული 25,005,000 ლარიდან 5,005,000 ლარის გამოყოფის საფუძველს საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდი წარმოადგენდა.<sup>7</sup> დარჩენილი 20 მილიონი ლარი კი, საქართველოს 2009 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით – „ქ. ბათუმში ინფრასტრუქტურის განვითარებისა და სხვა ღონისძიებების დასაფინანსებლად“ გათვალისწინებული სპეციალური ტრანსფერიდან უნდა მომხდარიყო.<sup>8</sup>

პროგრამაში ასევე აღნიშნული იყო, რომ დაგეგმილი შესყიდვები „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად განხორციელდებოდა.<sup>9</sup>

თუმცა, აღნიშნულ პროგრამაში 2009 წელს ხუთჯერ შევიდა ცვლილება და პროგრამა ხუთჯერვე ახალი რედაქციით ჩამოყალიბდა.

პირველი ცვლილება პროგრამაში 2009 წლის 18 მარტს შევიდა.<sup>10</sup> ცვლილების მიხედვით, თავიდან განისაზღვრა პროგრამის ფარგლებში გასანევი ხარჯები და თითოეული ტიპის შესასრულებელი სამუშაოს ჯამური ღირებულება, რაც შემდეგნაირად გადანაწილდა:

№	შესასრულებელი სამუშაოები	სამუშაოთა ღირებულება (ლარებში)
1	საძიებო, საპროექტო, საკონსტრუქტორო სამუშაოების განხორციელება <sup>11</sup>	1,890,000
2	შენობა-ნაგებობების და მიმდებარე ტერიტორიების სამშენებლო-სარეკონსტრუქტორო სამუშაოების განხორციელება (ფასადების რეაბილიტაცია, გარე კარებისა და ფანჯრების გამოცვლა, აივნების რეაბილიტაცია, შენობა-ნაგებობების ფასადზე სპეციალური ჩუქურთმების შესრულება და რეაბილიტაცია, სახურავების დახურვა სპეციალურად შერჩეული მასალით, მიშენება-დაშენება და სხვა) <sup>12</sup>	9,760,000
3	საძიებო, საპროექტო, საკონსტრუქტორო სამუშაოები	13,355,000
	შენობა-ნაგებობების სამშენებლო-სარეკონსტრუქტორო სამუშაოები	
	ქუჩების სამშენებლო-სარეკონსტრუქციო სამუშაოების განხორციელება (მყარი საფარის დაგება, მწვანე საფარის მოწყობა, გარე განათება და სხვა)	
	საზაფხულო თეატრის აღდგენა (მშენებლობა), მიმდებარე ობიექტების კეთილმოწყობა, ტერიტორიის განაშენიანება	
	ბულვარის გაგრძელებასთან დაკავშირებით სამუშაოების განხორციელება (მინისქვეშა კომუნიკაციების მოწყობა, ზღვისპირა ტერიტორიების გამწვანება, გარე განათება, დეკორატიული განათება, ზღვისპირა პარკისთვის ურნების, სკამების დამზადება-განთავსება და სხვა)	
	ტექნიკური ზედამხედველობის განხორციელება	
	სულ	25,005,000

<sup>1112</sup>

<sup>7</sup> ბათუმის საკრებულოს 2009 წლის 25 თებერვლის #11 განკარგულება, დანართი #1; საქართველოს პრეზიდენტის 2008 წლის 18 დეკემბრის №865 განკარგულება.

<sup>8</sup> ბათუმის საკრებულოს 2009 წლის 25 თებერვლის #11 განკარგულება, დანართი #1.

<sup>9</sup> ბათუმის საკრებულოს 2009 წლის 25 თებერვლის #11 განკარგულება, დანართი #1.

<sup>10</sup> ბათუმის საკრებულოს 2009 წლის 25 მარტის #20 განკარგულება, დანართი #1.

<sup>11</sup> ქ.ბათუმში რუსთაველის 5/6, 7, 8, 9, 11/13, 13/6, 13, 14, 16, დუმბაძის 6, 8, 10, 12, 14, 16, 18/34, მემედ აბაშიძის 27, 29, კ.გამსახურდიას 8/10, ბარათაშვილის 1-ში მდებარე შენობების ფასადების რეაბილიტაცია, მიშენება-დაშენება, გადახურვის და ესკიზური პროექტების მომზადება, ბათუმის ბულვარის განვითარების პროექტის შემუშავება, ნავმისადგომის დაპროექტება, ისტორიული ობიექტების მიმდებარე ქუჩების სამშენებლო-სარეკონსტრუქციო სამუშაოების დაპროექტება.

<sup>12</sup> ქ.ბათუმში რუსთაველის 5/6, 7, 8, 9, 11/13, 13/6, 13, 14, 16, დუმბაძის 8, 12, 14, 16, 18/34, მემედ აბაშიძის 27, 29, კ.გამსახურდიას 8/10, დუმბაძის 8,10, ბარათაშვილის 1-ში მდებარე შენობა-ნაგებობების სამშენებლო-სარეკონსტრუქტორო სამუშაოები. კერძოდ, ფასადების რეაბილიტაცია, გარე კარებისა და ფანჯრების გამოცვლა, აივნების რეაბილიტაცია, შენობა ნაგებობების ფასადზე სპეციალური ჩუქურთმების შესრულება და რეაბილიტაცია, სახურავების დახურვა სპეციალურად შერჩეული

ზემოთ აღნიშნული ცხრილის შემთხვევაში, პირველ და მეორე პუნქტებთან მიმართებით, ბათუმის თვითმმართველობამ განკარგულების „დანართი №1“-ში ის ობიექტები ჩამოთვალა, სადაც შესაბამისი ღონისძიებები უნდა განეხორციელებინათ. **თუმცა, პროგრამის ყველაზე დიდი – 13,355,000 ლარიანი ნაწილი (ცხრილის მე-3 პუნქტი) – კვლავ თითოეულ ღონისძიებაზე გასახარჯი თანხის ზუსტი ოდენობის მითითებისა და, უმრავლეს შემთხვევაში, კონკრეტული ობიექტების ჩამონათვლის გარეშე დარჩა.**<sup>13</sup>

რიგით მეორე ცვლილება 2009 წლის პროგრამაში იმავე წლის 28 მაისს იქნა შეტანილი.<sup>14</sup> ცვლილება ამჯერადაც პროგრამის ფარგლებში გასანევი ხარჯების ნაწილს შეეხო. თუმცა, პროგრამით გათვალისწინებული ხარჯების მთლიანი ოდენობა 25,005,000 ლარი კვლავ უცვლელი დარჩა და მხოლოდ კონკრეტული შესასრულებელი სამუშაოებისთვის გათვალისწინებული თანხების ოდენობა შეიცვალა.<sup>15</sup>

**აღნიშნული ცვლილებით, შესასრულებელი სამუშაოების ნაწილიდან საერთოდ იქნა ამოღებული ისეთი მნიშვნელოვანი აქტივობები, როგორც იყო: საზაფხულო თეატრის აღდგენა (მშენებლობა), მიმდებარე ობიექტების კეთილმოწყობა, ტერიტორიის განაშენიანება; ბულვარის გაგრძელებასთან დაკავშირებით სამუშაოების განხორციელება (მინისქვეშა კომუნიკაციების მოწყობა, ზღვისპირა ტერიტორიების გამწვანება და ტექნიკური ზედამხედველობის განხორციელება.**<sup>16</sup>

ამრიგად, განსახორციელებელი აქტივობები, რომლებიც ბათუმის თვითმმართველობამ 2009 წლის მარტში პროგრამაში შესაბამისი ცვლილებებით ასახა,<sup>17</sup> მაისის თვეში, პროგრამის ახალი რედაქციის დამტკიცების დროს, საერთოდ ამოიღო შესასრულებელი სამუშაოების სიიდან.<sup>18</sup>

იმავედროულად, პროგრამას დაემატა ახალი აქტივობა. კერძოდ, საძიებო, საპროექტო, საკონსტრუქტორო სამუშაოების განხორციელებისთვის გამოყოფილი თანხის ნაწილი ბათუმში ახალი ოპერის თეატრის შენობის პროექტის შესამუშავებლად უნდა მიმართულიყო.<sup>19</sup>

2009 წლის მაისის ბოლოს დამტკიცებული პროგრამის ახალ რედაქციაში დაკონკრეტდა ასევე ქუჩების სამშენებლო-სარეკონსტრუქციო სამუშაოების (სავალი ნაწილის, ტროტუარების და სანიაღვრე სისტემის მოწყობა), ქუჩების, ფასადების და ზღვისპირა პარკის გაგრძელების გარე განათებისა და დეკორატიული განათების, ასევე, ქუჩებისა და ზღვისპირა პარკის ურბანული ფურნიტურის შექმნა-განთავსების მიზნით განსაზღვრული ღონისძიებების მნიშვნელოვანი ნაწილი. თუმცა, კვლავ პროგრამის მიღმა დარჩა თითოეული ღონისძიებისთვის გამოყოფილი კონკრეტული თანხის ოდენობა.<sup>20</sup>

მორიგი, რიგით მესამე ცვლილება პროგრამაში 2009 წლის 26 აგვისტოს იქნა შეტანილი.<sup>21</sup> ამჯერად გაიზარდა პროგრამის მთლიანი ბიუჯეტი და, ნაცვლად 25,005,000 ლარისა, 29,505,000 ლარი შეადგინა. პროგრამის ბიუჯეტის გაზრდის საფუძველი კი, საქართველოს მთავრობის 2009 წლის 14 აგვისტოს №589 განკარგულება გახდა, რომლითაც საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან 4,500, 000 ლარი გამოიყო.<sup>22</sup>

შესაბამისად, ბიუჯეტის გაზრდამ გავლენა იქონია პროგრამის ფარგლებში

*განსახორციელებელი აქტივობები, რომლებიც ბათუმის თვითმმართველობამ 2009 წლის მარტში პროგრამაში შესაბამისი ცვლილებებით ასახა, მაისის თვეში, პროგრამის ახალი რედაქციის დამტკიცების დროს, საერთოდ ამოიღო შესასრულებელი სამუშაოების სიიდან.*

მასალით, მიშენება-დაშენება და სხვა.  
<sup>13</sup> ბათუმის საკრებულოს 2009 წლის 25 მარტის #20 განკარგულება, დანართი #1.  
<sup>14</sup> ბათუმის საკრებულოს 2009 წლის 28 მაისი #45 განკარგულება, დანართი #1.  
<sup>15</sup> ბათუმის საკრებულოს 2009 წლის 28 მაისი #45 განკარგულება, დანართი #1.  
<sup>16</sup> ბათუმის საკრებულოს 2009 წლის 18 მარტის #20 განკარგულება, დანართი #1.  
<sup>17</sup> ბათუმის საკრებულოს 2009 წლის 18 მარტის #20 განკარგულება, დანართი #1.  
<sup>18</sup> ბათუმის საკრებულოს 2009 წლის 28 მაისის #45 განკარგულება, დანართი #1.  
<sup>19</sup> ბათუმის საკრებულოს 2009 წლის 28 მაისის #45 განკარგულება, დანართი #1.  
<sup>20</sup> ბათუმის საკრებულოს 2009 წლის 28 მაისის #45 განკარგულება, დანართი #1.  
<sup>21</sup> ბათუმის საკრებულოს 2009 წლის 26 აგვისტოს #62 განკარგულება, დანართი #1.  
<sup>22</sup> ბათუმის საკრებულოს 2009 წლის 26 აგვისტოს #62 განკარგულება, დანართი #1.

2009 წლის 26 აგვისტოს დამტკიცებულმა პროგრამამ მხოლოდ იმავე წლის 31 ოქტომბრამდე იარაღება. შესაბამისად, 31 ოქტომბერს ბათუმის საკრებულომ ბათუმის „ისტორიული უბნებისა და ტურისტული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის 2009 წლის მუნიციპალური პროგრამა“ ახალი რედაქციით დაამტკიცა.

გასანევ ხარჯებზე და შეიცვალა როგორც შესასრულებელი სამუშაოების ჩამონათვალი, ასევე ამ სამუშაოებისთვის გათვალისწინებული თანხების ოდენობა და იგი შემდეგი სახით ჩამოყალიბდა:<sup>23</sup>

№	შესასრულებელი სამუშაოები	სამუშაოთა ღირებულება (ლარებში)
1	საძიებო, საპროექტო, საკონსტრუქტორო სამუშაოების განხორციელება	6,262,700
2	ქუჩების სამშენებლო-სარეკონსტრუქციო სამუშაოების განხორციელება (სავალი ნაწილისა და ტროტუარების კეთილმოწყობა, სანიაღვრე სისტემის მოწყობა და სხვა)	3,514,100
3	ქუჩების და ფასადების დეკორატიული განათება. ბულვარის გაგრძელებასთან დაკავშირებით ღონისძიებების განხორციელება (გარე განათება და დეკორატიული განათება, ზღვისპირა პარკისათვის ურნების, სკამების დამზადება-განთავსება, მწვანე ნარგავების შექმნა-დარგვა, ვიდეო-სათვალთვალო კამერების შექმნა-მონტაჟი და სხვა), შუშის კომპოზიციის განთავსება	9,405,400
4	შენობა-ნაგებობების და მიმდებარე ტერიტორიების სამშენებლო-სარეკონსტრუქტორო სამუშაოების განხორციელება (ფასადების რეაბილიტაცია, გარე კარებისა და ფანჯრების გამოცვლა, აივნების რეაბილიტაცია, შენობა-ნაგებობების ფასადზე სპეციალური ჩუქურთმების შესრულება და რეაბილიტაცია, სახურავების დახურვა სპეციალურად შერჩეული მასალით, მიშენება-დაშენება და სხვა)	10,322,800
	სულ	29,505,000

პროგრამას, აგვისტოს თვეში შეტანილი ცვლილების მიხედვით, დაემატა ბათუმში რუსთაველის №35-ში მდებარე შენობის – „მიქსი“-სა და ხიმშიაშვილის ქუჩაზე შადრევნის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული მაღლივი შენობის ფასადების განათების სამუშაოები,<sup>24</sup> ასევე, ზემოთ აღნიშნულ ცხრილში მოცემული ბულვარის გაგრძელებასთან დაკავშირებული ღონისძიებები.

პროგრამის ახალი რედაქციის მიხედვით, პარალელურად უნდა განხორციელებულიყო შოთა რუსთაველისა (მონაკვეთი – თეატრიდან დემეტრე თავდადებულის ქუჩამდე) და მემედ აბაშიძის (კონსტანტინე გამსახურდიას ქუჩიდან დემეტრე თავდადებულის ქუჩამდე) ქუჩებზე 60 ცალი ერთსანათიანი 8 მეტრი სიმაღლის განათების ბოძის, ასევე, ევროპის მოედანზე 16 ცალი ოთხსანათიანი იმავე სიმაღლის განათების ბოძის შექმნა.<sup>25</sup>

2009 წლის 26 აგვისტოს დამტკიცებულმა პროგრამამ მხოლოდ იმავე წლის 31 ოქტომბრამდე იარაღება. შესაბამისად, 31 ოქტომბერს ბათუმის საკრებულომ ბათუმის „ისტორიული უბნებისა და ტურისტული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის 2009 წლის მუნიციპალური პროგრამა“ ახალი რედაქციით დაამტკიცა.<sup>26</sup>

ახალი რედაქციით დამტკიცებული პროგრამის ბიუჯეტი კიდევ უფრო გაიზარდა და 34,005,000 ლარი გახდა. აღნიშნულის საფუძვლად მითითებულ იქნა საქართველოს მთავრობის 2009 წლის 9 ოქტომბრის №739 განკარგულება, რომლის მიხედვით, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დამატებით 4,500,000 ლარი გამოიყო.<sup>27</sup>

ცხადია, პროგრამის ბიუჯეტის გაზრდამ გავლენა იქონია პროგრამის ფარ-

<sup>23</sup> ბათუმის საკრებულოს 2009 წლის 26 აგვისტოს #62 განკარგულება, დანართი #1.

<sup>24</sup> ბათუმის საკრებულოს 2009 წლის 26 აგვისტოს #62 განკარგულება, დანართი #1.

<sup>25</sup> ბათუმის საკრებულოს 2009 წლის 26 აგვისტოს #62 განკარგულება, დანართი #1.

<sup>26</sup> ბათუმის საკრებულოს 2009 წლის 31 ოქტომბრის #87 განკარგულება, დანართი #1.

<sup>27</sup> ბათუმის საკრებულოს 2009 წლის 31 ოქტომბრის #87 განკარგულება, დანართი #1.

გლებში გასანევ ხარჯებზე და კიდევ ერთხელ შეიცვალა როგორც შესასრულებელი სამუშაოების ჩამონათვალი, ასევე ამ სამუშაოებისთვის გათვალისწინებული თანხების ოდენობა და იგი შემდეგი სახით ჩამოყალიბდა:<sup>28</sup>

№	შესასრულებელი სამუშაოები	სამუშაოთა ღირებულება (ლარებში)
1	საძიებო, საპროექტო, საკონსტრუქტორო სამუშაოების განხორციელება	6,212,700
2	ქუჩების სამშენებლო-სარეკონსტრუქციო სამუშაოების განხორციელება (სავალი ნაწილისა და ტროტუარების კეთილმოწყობა, სანიაღვრე სისტემის მოწყობა და სხვა)	4,079,700
3	ქუჩების და ფასადების დეკორატიული განათება. ბულვარის გაგრძელებასთან დაკავშირებით ღონისძიებების განხორციელება	9,405,400
4	შენობა-ნაგებობების და მიმდებარე ტერიტორიების სამშენებლო-სარეკონსტრუქტორო სამუშაოების განხორციელება	14,307,200
	სულ	34,005,000

**2009 წლის ოქტომბრის თვეში ბათუმის საკრებულოს მიერ დამტკიცებული პროგრამის ახალ რედაქციაში პირველად გაჩნდა ისეთი აქტივობები, როგორც იყო ქ. ბათუმში ბავრაციონისა და ხიმშიაშვილის დამაკავშირებელი ქუჩის სამშენებლო ტერიტორიაზე არსებული ნაგებობების დემონტაჟი.**<sup>29</sup>

**ასევე, 2009 წლის 31 ოქტომბერს დამტკიცებული პროგრამის ახალ რედაქციაში პირველად იქნა აღნიშნული ძველი ბათუმის ტერიტორიაზე მოედნის (პიაცას) მშენებლობის I ეტაპის – კოშკის მშენებლობის შესახებ და შავი ზღვის სანაპიროზე ბათუმის ისტორიული ფორტის (თეთრი კოშკების) მშენებლობის თაობაზე.**<sup>30</sup>

ბათუმის „ისტორიული უბნებისა და ტურისტული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის 2009 წლის მუნიციპალურ პროგრამაში“ ბოლო ცვლილება 2009 წლის 24 დეკემბერს შევიდა, რომლის საფუძველზეც, 2009 წელს ბათუმის საკრებულოს მიერ მეხუთედ იქნა დამტკიცებული პროგრამის ახალი რედაქცია.<sup>31</sup>

2009 წლის პროგრამის დეკემბრის რედაქციის მიხედვით, პროგრამა 2010 წლის 1 მაისის უნდა დასრულებულიყო, ბიუჯეტი კი 39 505 000 ლარამდე იზრდებოდა.<sup>32</sup>

**საყურადღებოა, რომ, 2009 წლის პროგრამაში შეტანილი წინა ოთხი ცვლილებებისგან განსხვავებით, მეხუთე ცვლილების დროს პროგრამის ახალ რედაქციაში არაფერია ნათქვამი, თუ როგორ და რის საფუძველზე იზრდება პროგრამა 34,005,000 ლარიდან 39,505,000 ლარამდე.**<sup>33</sup>

თუმცა, ამ გარემოებას ხელი არ შეუშლია იმისთვის, რომ პროგრამის ბიუჯეტის ზრდის პარალელურად, კიდევ ერთხელ შეცვლილიყო როგორც შესასრულებელი სამუშაოების ჩამონათვალი, ასევე, გასანევი ხარჯები. საბოლოოდ, ცვლილების შედეგად, ხარჯები შემდეგი სახით გადანაწილდა:<sup>34</sup>

**ბათუმის „ისტორიული უბნებისა და ტურისტული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის 2009 წლის მუნიციპალურ პროგრამაში“ ბოლო ცვლილება 2009 წლის 24 დეკემბერს შევიდა, რომლის საფუძველზეც, 2009 წელს ბათუმის საკრებულოს მიერ მეხუთედ იქნა დამტკიცებული პროგრამის ახალი რედაქცია.**

<sup>28</sup> ბათუმის საკრებულოს 2009 წლის 31 ოქტომბრის #87 განკარგულება, დანართი #1.  
<sup>29</sup> ბათუმის საკრებულოს 2009 წლის 31 ოქტომბრის #87 განკარგულება, დანართი #1.  
<sup>30</sup> ბათუმის საკრებულოს 2009 წლის 31 ოქტომბრის #87 განკარგულება, დანართი #1.  
<sup>31</sup> ბათუმის საკრებულოს 2009 წლის 24 დეკემბრის #99 განკარგულება, დანართი #1.  
<sup>32</sup> ბათუმის საკრებულოს 2009 წლის 24 დეკემბრის #99 განკარგულება, დანართი #1.  
<sup>33</sup> ბათუმის საკრებულოს 2009 წლის 24 დეკემბრის #99 განკარგულება, დანართი #1.  
<sup>34</sup> ბათუმის საკრებულოს 2009 წლის 24 დეკემბრის #99 განკარგულება, დანართი #1.

*2009 წლის ბოლოს პროგრამის თავდაპირველი რედაქციიდან ამოღებულ იქნა საზაფხულო თეატრის რეაბილიტაცია. ხოლო, ისეთი აქტივობები, რომლებიც დაკავშირებული იყო ბათუმის ახალი ოპერის შენობის, პიაცას მოედნის და სანაპიროზე თეთრი კოშკების მშენებლობასთან, ეტაპობრივად დაემატა პროგრამის ახალი რედაქციების დამტკიცების დროს.*

№	შესასრულებელი სამუშაოები	სამუშაოთა ღირებულება (ლარებში)
1	საძიებო, საპროექტო, საკონსტრუქტორო სამუშაოების განხორციელება	5 287 700
2	ქუჩების, პარკებისა და სკვერების სამშენებლო-სარეკონსტრუქციო სამუშაოები	17 229 200
3	შენობა-ნაგებობების და მიმდებარე ტერიტორიების სამშენებლო-სარეკონსტრუქტორო სამუშაოების განხორციელება	16 988 100
	სულ	39 505 000

შედეგად, 2009 წლის ბოლოს პროგრამის თავდაპირველი რედაქციიდან ამოღებულ იქნა საზაფხულო თეატრის რეაბილიტაცია. ხოლო, ისეთი აქტივობები, რომლებიც დაკავშირებული იყო ბათუმის ახალი ოპერის შენობის, პიაცას მოედნის და სანაპიროზე თეთრი კოშკების მშენებლობასთან, ეტაპობრივად დაემატა პროგრამის ახალი რედაქციების დამტკიცების დროს.

2009 წლის 24 დეკემბერს დამტკიცებული პროგრამის ახალი რედაქციის მიხედვით, ნათელი გახდა, თუ რა ღონისძიებები უნდა დაფინანსებულიყო საბოლოოდ მუნიციპალური პროგრამის ფარგლებში.

ამრიგად, „ბათუმის ისტორიული უბნებისა და ტურისტული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის 2009 წლის მუნიციპალურმა პროგრამამ“ შემდეგი ღონისძიებები მოიცავს:

- საძიებო, საპროექტო და საკონსტრუქტორო სამუშაოები

ქ. ბათუმში რუსთაველის 5/6, 7, 8, 9, 11/13, 13/6, 13, 14, 16, დუმბაძის 6, 8, 10, 12, 14, 16, 18/34, მემედ აბაშიძის 27, 29, კ. გამსახურდიას 8/10, ბარათაშვილის 1 მდებარე შენობების ფასადების რეაბილიტაცია
მიშენება-დაშენების, გადახურვის პროექტებისა და ესკიზური პროექტების მომზადება
ბათუმში ახალი ოპერის თეატრის შენობის პროექტის შემუშავება
ბათუმის ბულვარის განვითარების პროექტის შემუშავება
ნავმისადგომის დაპროექტება
ისტორიული ობიექტების, შენობებისა და მიმდებარე ქუჩების სამშენებლო-სარეკონსტრუქციო სამუშაოების დაპროექტება

- ქუჩების, პარკებისა და სკვერების სამშენებლო-სარეკონსტრუქციო სამუშაოები

რუსთაველის ქუჩის, დემეტრე თავდადებულისა და დრამატული თეატრის შენობას შორის, მემედ აბაშიძის ქუჩა – დემეტრე თავდადებულისა და კონსტანტინე გამსახურდიას ქუჩებს შორის, დუმბაძის ქუჩის მონაკვეთის, კონსტანტინე გამსახურდიას ქუჩა – მემედ აბაშიძისა და რუსთაველის ქუჩებს შორის, ბარათაშვილის ქუჩის კეთილმონყობა.
ბაგრატიონისა და ხიმშიაშვილის დამაკავშირებელი ქუჩის სამშენებლო ტერიტორიაზე ნაგებობების დემონტაჟი.
ილია ჭავჭავაძის დრამატული თეატრის ფასადის, მიმდებარე ტერიტორიის რეკონსტრუქცია და მიმდებარე სკვერის კეთილმონყობა.
მემედ აბაშიძის ქუჩის, რუსთაველის ქუჩის, დუმბაძის ქუჩის, კონსტანტინე გამსახურდიას ქუჩების მონაკვეთებისა და ქ. ბათუმში რუსთაველის 5/6, 7, 8, 9, 11/13, 13/6, 13, 14, 16, დუმბაძის 8, 12, 14, 16, 18/34, მემედ აბაშიძის 27, 29, კ. გამსახურდიას 8/10, დუმბაძის 6, 10, ბარათაშვილის 1 მდებარე შენობების ფასადების განათების სამუშაოები.

კ. გამსახურდიას 8, 10, რუსთაველის 35-ში მდებარე შენობის – „მიქსი“, ხიმშიაშვილის ქუჩაზე შადრევნის მიმდებარე ტერიტორიაზე მაღლივი შენობის ფასადების განათების სამუშაოები.
გარე განათებისათვის საჭირო მონყობილობებისა და ურბანული ფურნიტურის შექმნა-მონტაჟი, მწვანე ნარგავების შექმნა-დარგვა, ვიდეო-სათვალთვალო კამერების შექმნა-მონტაჟი.
ახალ ბულვარში შუშის კომპოზიციის დადგმა ხიმშიაშვილის ქუჩაზე.
შადრევნის მიმდებარე ტერიტორიაზე, შოთა რუსთაველისა (მონაკვეთი – თატრიდან დემეტრე თავდადებულის ქუჩამდე) და შემდეგ აბაშიძის (კონსტანტინე გამსახურდიას ქუჩიდან დემეტრე თავდადებულის ქუჩამდე) ქუჩებზე 60 ცალი ერთსანათიანი 8 მეტრი სიმაღლის განათების ბოძის, ასევე, ევროპის მოედანზე 16 ცალი ოთხსანათიანი იმავე სიმაღლის განათების ბოძის შექმნა.

- შენობა-ნაგებობების და მიმდებარე ტერიტორიების სამშენებლო-სარეკონსტრუქტორო სამუშაოები

ქ.ბათუმში რუსთაველის 5/6, 7, 8, 9, 11/13, 13/6, 13, 14, 16, დუმბაძის 6,10, ბარათაშვილის 1, რუსთაველის ქ. №35-ში მდებარე შენობებისა და ნაგებობების სამშენებლო-სარეკონსტრუქტორო სამუშაოების განხორციელება, კერძოდ, ფასადების რეაბილიტაცია, გარე კარებისა და ფანჯრების გამოცვლა, აივნების რეაბილიტაცია, შენობა-ნაგებობების ფასადზე სპეციალური ჩუქურთმების შესრულება და რეაბილიტაცია, სახურავების დახურვა სპეციალურად შერჩეული მასალით, მიშენება-დაშენება და სხვა.
ილია ჭავჭავაძის სახელობის დრამატული თეატრის შენობის რეკონსტრუქცია, დრამატული თეატრის მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობა.
ძველ ბათუმში მოედნის (პიაცას) მშენებლობის I ეტაპი – კოშკის მშენებლობა.
შავი ზღვის სანაპიროზე ბათუმის ისტორიული ფორტის (თეთრი კოშკების) მშენებლობა.

მთლიანობაში, როგორც ჩანს, ბათუმის ისტორიული უბნებისა და ტურისტული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის 2009 წლის პროგრამის შექმნის ეტაპზე არ იყო ბოლომდე გარკვეული, თუ რა უნდა ყოფილიყო პროგრამის პრიორიტეტები. სავარაუდოდ, ამით უნდა აიხსნას ის გარემოება, რომ წლის დასაწყისში პროგრამით გათვალისწინებული რიგი აქტივობები მოგვიანებით საერთოდ იქნა პროგრამიდან ამოღებული.

ამასთან, პროგრამაში შეტანილი ის ხუთი ცვლილება, რომლითაც 2009 წლის პროგრამა ხუთჯერვე ახალი რედაქციით იქნა დამტკიცებული, არც ერთ შემთხვევაში არ შეიცავს ინფორმაციას და დასაბუთებას იმის შესახებ, თუ რატომ ხდებოდა პროგრამაში ახალი კომპონენტების დამატება და რის საფუძველზე.

პროგრამაში შეტანილი დაუსაბუთებელი ცვლილებები ტოვებს შთაბეჭდილებას, რომ ყოველი მორიგი ცვლილება დამტკიცებით მიღებული ფინანსების პროგრამაში ასახვის მცდელობას წარმოადგენდა და, რეალურად, ნაკლებად იყო დაკავშირებული პროგრამის გაუმჯობესებასთან.

## 2.2. 2010 წელი

2009 წლის 30 დეკემბერს ბათუმის საკრებულომ, თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის „ისტორიული უბნებისა და ტურისტული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის“ 2010 წლის მუნიციპალური პროგრამა დაამტკიცა. აღნიშნული პროგრამის 2010 წლის ბიუჯეტი თავდაპირველად 30,600,000 ლარით განისაზღვრა. თუმცა, მოგვიანებით, მასში რვაჯერ იქნა ცვლილება შეტანილი

*პროგრამაში შეტანილი ის ხუთი ცვლილება, რომლითაც 2009 წლის პროგრამა ხუთჯერვე ახალი რედაქციით იქნა დამტკიცებული, არც ერთ შემთხვევაში არ შეიცავს ინფორმაციას და დასაბუთებას იმის შესახებ, თუ რატომ ხდებოდა პროგრამაში ახალი კომპონენტების დამატება და რის საფუძველზე.*



2010 წლის 1 იანვარს ბათუმის თვითმმართველობას „ისტორიული უბნებისა და ტურისტული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის“ ორი მოქმედი პროგრამა ერთდროულად ჰქონდა – ერთი 2009 წლის, ხოლო მეორე 2010 წლის.

და ყოველ ჯერზე პროგრამა ახალი რედაქციით დამტკიცდა.<sup>35</sup>

თავდაპირველი ვერსიის მიხედვით, პროგრამის მიზანს წარმოადგენდა ქალაქში ისტორიული უბნების, ძეგლების და შენობების აღდგენა-შენარჩუნება, ბათუმის ძველი უბნების განვითარების, თეატრისა და სხვა კულტურული ობიექტების მშენებლობა-რესტავრაციის ხელშეწყობა, ქუჩების მშენებლობა-რეკონსტრუქცია. პროგრამის მიზნებიდან გამომდინარე, საბოლოო ჯამში, უნდა გაუმჯობესებულიყო როგორც ქალაქის მაცხოვრებელთა პირობები, ასევე ქალაქის ტურისტული ინფრასტრუქტურა, რაც ქალაქს ვიზიტორთათვის მიმზიდველსა და საინტერესოს გახდიდა.<sup>36</sup>

ბათუმის საკრებულომ პროგრამის დაწყების თარიღად 2010 წლის 1 იანვარი მიუთითა, ხოლო დასრულების თარიღად 2010 წლის 31 დეკემბერი.<sup>37</sup>

საყურადღებოა, რომ ამ დროისთვის ოფიციალურად ჯერ კიდევ მოქმედებდა ბათუმის „ისტორიული უბნებისა და ტურისტული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის“ 2009 წლის მუნიციპალური პროგრამა, რომელშიც 2009 წლის 24 დეკემბერს შეტანილი ცვლილების საფუძველზე, პროგრამის მოქმედება 2010 წლის 1 მაისამდე იქნა გაგრძელებული.<sup>38</sup>

შესაბამისად, 2010 წლის 1 იანვარს ბათუმის თვითმმართველობას „ისტორიული უბნებისა და ტურისტული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის“ ორი მოქმედი პროგრამა ერთდროულად ჰქონდა – ერთი 2009 წლის, ხოლო მეორე 2010 წლის.<sup>39</sup>

2010 წლის პროგრამის თავდაპირველი რედაქციის მიხედვით, პროგრამით განსაზღვრული 30,600,000 ლარი შემდეგ ღონისძიებებზე უნდა გახარჯულიყო.<sup>40</sup>

№	სამუშაოს დასახელება	თანხა (ლარებში)
I	საპროექტო სამუშაოები	3,835.000
II	ქუჩების, პარკების და სკვერების სამშენებლო-სარეკონსტრუქციო სამუშაოები	15,665.000
III	შენობა-ნაგებობების სამშენებლო-სარეკონსტრუქციო სამუშაოები	11,100.000
	სულ	30,600.000

პროგრამის თავდაპირველ რედაქციაში საპროექტო სამუშაოებთან დაკავშირებით მხოლოდ ის იყო აღნიშნული, რომ საპროექტო სამუშაოები შესასრულებელი სამუშაოების დაპროექტებას ითვალისწინებდა.<sup>41</sup> თუმცა, ის, თუ კონკრეტულად რომელი შესასრულებელი სამუშაოები უნდა დაპროექტებულიყო 3,835,000 ლარით, პროგრამაში აღნიშნული არ ყოფილა.

სამაგიეროდ, პროგრამის თავდაპირველ რედაქციაში გაცილებით მეტი იყო ნათქვამი ქუჩების, პარკებისა და სკვერების სამშენებლო-სარეკონსტრუქციო

<sup>35</sup> ბათუმის საკრებულოს 2009 წლის 30 დეკემბრის #110 განკარგულება, დანართი #1; ბათუმის საკრებულოს 2010 წლის 29 იანვრის #2 განკარგულება, დანართი #1; ბათუმის საკრებულოს 2010 წლის 26 თებერვლის #11 განკარგულება, დანართი #1; ბათუმის საკრებულოს 2010 წლის 22 მარტის #22 განკარგულება, დანართი #1; ბათუმის საკრებულოს 2010 წლის 15 ივნისის #59 განკარგულება, დანართი #1; ბათუმის საკრებულოს 2010 წლის 9 ივლისის #33 განკარგულება, დანართი #1; ბათუმის საკრებულოს 2010 წლის 2 სექტემბრის #85 განკარგულება, დანართი #1; ბათუმის საკრებულოს 2010 წლის 29 ოქტომბრის #124 განკარგულება, დანართი #1; ბათუმის საკრებულოს 2010 წლის 30 ნოემბრის #145 განკარგულება, დანართი #1.

<sup>36</sup> ბათუმის საკრებულოს 2009 წლის 30 დეკემბრის #110 განკარგულება, დანართი #1.

<sup>37</sup> ბათუმის საკრებულოს 2009 წლის 30 დეკემბრის #110 განკარგულება, დანართი #1.

<sup>38</sup> ბათუმის საკრებულოს 2009 წლის 24 დეკემბრის #99 განკარგულება, დანართი #1.

<sup>39</sup> ბათუმის საკრებულოს 2009 წლის 24 დეკემბრის #99 განკარგულება, დანართი #1; ბათუმის საკრებულოს 2009 წლის 30 დეკემბრის #110 განკარგულება, დანართი #1.

<sup>40</sup> ბათუმის საკრებულოს 2009 წლის 24 დეკემბრის #99 განკარგულება, დანართი #1.

<sup>41</sup> ბათუმის საკრებულოს 2009 წლის 30 დეკემბრის #110 განკარგულება, დანართი #1.

სამუშაოებისთვის გათვალისწინებული 15,665,000 ლარის შესახებ. პროგრამის მიხედვით, აღნიშნული 15,665,000 ლარით უნდა მომხდარიყო ასფალტის საფარისა და ფილების დაგება, ბორდიურებისა და განათების ბოძების დადგმა ძველი ბათუმის ქუჩებზე, კერძოდ: მ. აბაშიძის ქუჩაზე (გოგებაშვილის ქუჩიდან კ. გამსახურდიას ქუჩამდე), ა. მელაშვილის, მ. კოსტავას, ნ. ჟორდანიას, ფარნავაზ მეფის (გოგებაშვილის ქუჩიდან ბარათაშვილის ქუჩამდე) ქუჩებზე, ზუბალაშვილის შესახვევში, რ. კომახიძის ქუჩაზე, კომახიძის I და II შესახვევში, კ. გამსახურდიას ქუჩაზე, მაზნიაშვილის, ზ. გამსახურდიას, ელიავას, საიათნოვას, ჩკალოვის, იმნაძის ქუჩებზე, ქუთაისის ქუჩაზე და შესახვევში, ასევე, საბაჟოს შესახვევში.<sup>42</sup> თუმცა, კონკრეტულად რა თანხა უნდა გახარჯულიყო თითოეული ამ ღონისძიების დასაფინანსებლად, პროგრამის თავდაპირველ რედაქციაში მითითებული არ ყოფილა.

რაც შეეხება პროგრამის თავდაპირველი რედაქციით განსაზღვრული შენობა-ნაგებობების სამშენებლო-სარეკონსტრუქციო სამუშაოებს, გათვალისწინებული იყო კოშკის და მისი მიმდებარე შენობების მშენებლობა; თეატრის რეკონსტრუქცია; ისტორიული ფორტის მშენებლობა; შენობების განათება და სხვადასხვა შენობის სამშენებლო-სარეკონსტრუქციო სამუშაოები.<sup>43</sup>

მნიშვნელოვანია, რომ პროგრამის თავდაპირველ რედაქციაში არაფერია ნათქვამი იმის შესახებ, თუ რა მოიაზრებოდა თეატრის რეკონსტრუქციაში. თუმცა, პროგრამის ამავე ნაწილში მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა ისტორიული ფორტის და კოშკის (იგივე „პიაცა“) თემას.<sup>44</sup>

ისტორიული ფორტის კომპლექსთან დაკავშირებით, პროგრამის თავდაპირველ რედაქციაში აღნიშნულია, რომ ფორტის განთავსება განზრახული იყო ბათუმის ძველი ფორტის ტერიტორიაზე, იახტკლუბისა და შუქურას შორის. „ციხე-სიმაგრის“ კომპლექსით დაინყებოდა სანაპირო ბულვარის ზოლი და ფორტი წარმოადგენდა მის ერთგვარ კარიბჭეს.<sup>45</sup>

კომპლექსის აშენება გვიანი შუასაუკუნეების ციხე-სიმაგრეების ყაიდაზე უნდა მომხდარიყო. გარედან მოპირკეთებოდა თეთრი ფერის ფლეთილი ქვით ცაიშის კარიერიდან. ბურჯებსა და გალავანში განთავსებული იქნებოდა სასტუმრო, კაფე-რესტორნები და დასასვენებელ-გასართობი ხასიათის სხვა ობიექტები. კომპლექსის წინ არსებულ პირსთან დაიდგმებოდა ქალ-ვაჟის მობილური ქანდაკება, რომელიც პროგრამის თანახმად მუდმივი განვითარება-განახლების, ერთობისა და სიყვარულის სიმბოლო იქნებოდა.<sup>46</sup>

2010 წლის პროგრამის თავდაპირველ რედაქციაში მნიშვნელოვანი ინფორმაცია იყო ასევე წარმოდგენილი კოშკის, მცირე მოედნის – ე.წ. „პიაცას“ შესახებ. პროგრამის მიხედვით, „პიაცას“ მშენებლობა უნდა მომხდარიყო ძველი ბათუმის შუაგულში, ყოფილი მე-3 რუსული სკოლისა და მისი ეზოს ტერიტორიაზე. კომპლექსის ცენტრალური შენობა 14 სართულიანი კოშკი იქნებოდა პირამიდული გუმბათითა და შპილით.<sup>47</sup>

მნიშვნელოვანია, რომ მუხედავად 2010 წლის პროგრამის თავდაპირველ ვერსიაში ფორტისა და პიაცასათვის დათმობილი საკმაოდ დიდი ადგილისა, არაფერია ნათქვამი იმის შესახებ, თუ რა თანხა დაიხარჯებოდა აღნიშნულ ორ ობიექტზე შენობა-ნაგებობების სამშენებლო-სარეკონსტრუქციო სამუშაოებისთვის პროგრამაში გათვალისწინებული 11,100,000 ლარიდან.

პირველი ცვლილება ბათუმის ისტორიული უბნებისა და ტურისტული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის 2010 წლის პროგრამაში დამტკიცებიდან მალვე, 2010 წლის 29 იანვარს შევიდა და პროგრამის ბიუჯეტი 30,600,000

*მუხედავად 2010 წლის პროგრამის თავდაპირველ ვერსიაში ფორტისა და პიაცასათვის დათმობილი საკმაოდ დიდი ადგილისა, არაფერია ნათქვამი იმის შესახებ, თუ რა თანხა დაიხარჯებოდა აღნიშნულ ორ ობიექტზე შენობა-ნაგებობების სამშენებლო-სარეკონსტრუქციო სამუშაოებისთვის პროგრამაში გათვალისწინებული 11,100,000 ლარიდან.*

<sup>42</sup> ბათუმის საკრებულოს 2009 წლის 30 დეკემბრის #110 განკარგულება, დანართი #1.  
<sup>43</sup> ბათუმის საკრებულოს 2009 წლის 30 დეკემბრის #110 განკარგულება, დანართი #1.  
<sup>44</sup> ბათუმის საკრებულოს 2009 წლის 30 დეკემბრის #110 განკარგულება, დანართი #1.  
<sup>45</sup> ბათუმის საკრებულოს 2009 წლის 30 დეკემბრის #110 განკარგულება, დანართი #1.  
<sup>46</sup> ბათუმის საკრებულოს 2009 წლის 30 დეკემბრის #110 განკარგულება, დანართი #1.  
<sup>47</sup> ბათუმის საკრებულოს 2009 წლის 30 დეკემბრის #110 განკარგულება, დანართი #1.

პროგრამაში შეტანილი წინა ცვლილებების მსგავსად, პროგრამაში არც ამჯერად ასახულა ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რატომ იზრდებოდა პროგრამის ბიუჯეტი და კონკრეტულად რომელი ღონისძიებების დაფინანსება და რა მასშტაბებით გაიზრდებოდა.

ლარიდან 32,100,000 ლარამდე გაიზარდა.<sup>48</sup> ბიუჯეტის გაზრდილი ნაწილი მხოლოდ შენობა-ნაგებობების სამშენებლო-სარეკონსტრუქციო სამუშაოებს შეეხო და, შესაბამისად, 11,100,000 ლარის ნაცვლად 12,600,000 ლარი გახდა.<sup>49</sup> პროგრამის დანარჩენი ნაწილი უცვლელი დარჩა.

მეორე ცვლილება 2010 წლის პროგრამაში ბათუმის საკრებულოს მიერ იმავე წლის 26 თებერვალს შევიდა და პროგრამის ახალი რედაქცია დანართთან ერთად დამტკიცდა.<sup>50</sup>

მეორე ცვლილების მიხედვით, არ გაზრდილა პროგრამის ბიუჯეტი და ისევე 32,100,000 ლარი დარჩა. თუმცა, მნიშვნელოვნად შეიცვალა პროგრამის ფარგლებში შესასრულებელი სამუშაოებისთვის გათვალისწინებული თითოეული სახის ხარჯის წილი.<sup>51</sup>

როგორც უცნაურიც არ უნდა იყოს, მიუხედავად იმისა, რომ პროგრამის ფინანსურ ნაწილში ცვლილებები შევიდა და, ქუჩების, პარკების და სკვერების სამშენებლო-სარეკონსტრუქციო სამუშაოებისთვის გათვალისწინებული თანხების შემცირების ხარჯზე, საპროექტო სამუშაოებისა და შენობა-ნაგებობების სამშენებლო-სარეკონსტრუქციო სამუშაოებისთვის გათვალისწინებული თანხა გაიზარდა, აღნიშნული გარემოება პროგრამაში სათანადოდ არ ასახულა. უფრო მეტიც, პროგრამის ფარგლებში გასანევი ხარჯების აღწერის ტექსტური ნაწილი იგივე დარჩა.<sup>52</sup>

მომდევნო, რიგით მესამე ცვლილება 2010 წლის პროგრამაში 2010 წლის 22 მარტს იქნა შეტანილი და, ბათუმის საკრებულოს განკარგულების საფუძველზე, პროგრამის ბიუჯეტი 39,100,000 ლარამდე გაიზარდა.<sup>53</sup>

პროგრამის ახალი რედაქციის მიხედვით, უცვლელი დარჩა როგორც საპროექტო სამუშაოების, ისე ქუჩების, პარკების და სკვერების სამშენებლო-სარეკონსტრუქციო სამუშაოებისთვის გათვალისწინებული თანხები. ხოლო, შენობა-ნაგებობების სამშენებლო-სარეკონსტრუქციო სამუშაოებისთვის გათვალისწინებული ხარჯები 16,600,000 ლარიდან 23,600,000 ლარამდე გაიზარდა.<sup>54</sup> თუმცა, 2010 წლის პროგრამაში შეტანილი წინა ცვლილებების მსგავსად, პროგრამაში არც ამჯერად ასახულა ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რატომ იზრდებოდა პროგრამის ბიუჯეტი და კონკრეტულად რომელი ღონისძიებების დაფინანსება და რა მასშტაბებით გაიზრდებოდა.<sup>55</sup>

2010 წლის 15 ივნისს პროგრამაში კიდევ ერთი ცვლილება შევიდა და ახალი რედაქციით დამტკიცებული პროგრამის მთლიანი ბიუჯეტი ამჯერად უკვე 41,100,000 ლარით განისაზღვრა.<sup>56</sup>

ცვლილების პარალელურად, გაიზარდა შესასრულებელი სამუშაოებისთვის გათვალისწინებული თითოეული სახის ხარჯის წილი და იგი შემდეგი სახით ჩამოყალიბდა:<sup>57</sup>

№	სამუშაოს დასახელება	თანხა (ლარებში)
I	საპროექტო სამუშაოები	4,825,000
II	ქუჩების, პარკების და სკვერების სამშენებლო-სარეკონსტრუქციო სამუშაოები	12,150,000

<sup>48</sup> ბათუმის საკრებულოს 2010 წლის 29 იანვრის #2 განკარგულება, დანართი #1.

<sup>49</sup> ბათუმის საკრებულოს 2010 წლის 29 იანვრის #2 განკარგულება, დანართი #1.

<sup>50</sup> ბათუმის საკრებულოს 2010 წლის 26 თებერვლის #11 განკარგულება, დანართი #1.

<sup>51</sup> ბათუმის საკრებულოს 2010 წლის 26 თებერვლის #11 განკარგულება, დანართი #1.

<sup>52</sup> ბათუმის საკრებულოს 2010 წლის 26 თებერვლის #11 განკარგულება, დანართი #1.

<sup>53</sup> ბათუმის საკრებულოს 2010 წლის 22 მარტის #22 განკარგულება, დანართი #1.

<sup>54</sup> ბათუმის საკრებულოს 2010 წლის 22 მარტის #22 განკარგულება, დანართი #1.

<sup>55</sup> ბათუმის საკრებულოს 2010 წლის 22 მარტის #22 განკარგულება, დანართი #1.

<sup>56</sup> ბათუმის საკრებულოს 2010 წლის 15 ივნისის #59 განკარგულება, დანართი #1.

<sup>57</sup> ბათუმის საკრებულოს 2010 წლის 15 ივნისის #59 განკარგულება, დანართი #1.

III	შენობა-ნაგებობების სამშენებლო-სარეკონსტრუქციო სამუშაოები	24,125,000
	სულ	41,100,000

მიუხედავად იმისა, რომ 2010 წლის ივნისში პროგრამაში შეტანილი ცვლილებებით ყველა ღონისძიების ხარჯი იზრდებოდა, პროგრამაში არაფერი იყო ნათქვამი იმის შესახებ, თუ რომელი ღონისძიებების დაფინანსება მოხდებოდა კონკრეტულად და რა მოცულობით.<sup>58</sup>

2010 წლის პროგრამაში მორიგი ცვლილების შესატანად ბათუმის თვითმმართველობას ერთი თვეც არ დასჭირვებია და იმავე წლის 9 ივლისს რიგით მეხუთე ცვლილება განახორციელა. შედეგად, კიდევ უფრო გაიზარდა პროგრამის ბიუჯეტი და 53,728,000 ლარი შეადგინა.<sup>59</sup>

ცვლილების შემდეგ შესასრულებელი სამუშაოებისთვის გათვალისწინებული ხარჯებიდან უცვლელი დარჩა საპროექტო სამუშაოებისთვის გათვალისწინებული თანხა. ქუჩების, პარკების და სკვერების სამშენებლო-სარეკონსტრუქციო სამუშაოებისთვის გათვალისწინებული ხარჯი 17,150,000 ლარამდე გაიზარდა, შენობა-ნაგებობების სამშენებლო-სარეკონსტრუქციო სამუშაოებისა კი – 31,753,000 ლარამდე.<sup>60</sup>

მიუხედავად იმისა, რომ პროგრამის ბიუჯეტი მთლიანობაში 53,728,000 ლარამდე გაიზარდა, ამას გავლენა არ მოუხდენია პროგრამის განსახორციელებელი ნაწილის შინაარსობრივ მხარეზე და ფაქტობრივად იგივე დარჩა.<sup>61</sup>

იგივე განმეორდა ბათუმის საკრებულოს მიერ 2010 წლის 2 სექტემბერს პროგრამაში შეტანილი კიდევ ერთი ცვლილების შემდეგ, რომლის მიხედვითაც, პროგრამა 56,688,000 ლარამდე იქნა გაზრდილი.<sup>62</sup>

ცვლილების მიხედვით, გაზრდილი პროგრამის ბიუჯეტი შემდეგი სახით გადაიანალიზდა:<sup>63</sup>

№	სამუშაოს დასახელება	თანხა (ლარებში)
I	საპროექტო სამუშაოები	4,882,400
II	ქუჩების, პარკების და სკვერების სამშენებლო-სარეკონსტრუქციო სამუშაოები	17,340,700
III	შენობა-ნაგებობების სამშენებლო-სარეკონსტრუქციო სამუშაოები	34,464,900
	სულ	56,688,000

2010 წელს ბათუმის საკრებულომ კიდევ ერთი იდენტური შინაარსის ცვლილება შეიტანა პროგრამაში. ახალი რედაქციით დამტკიცებული პროგრამის ბიუჯეტი 59,488,000 ლარამდე გაზარდა, ხოლო წინა რედაქციიდან უცვლელად გადმოიტანა შინაარსობრივი მხარის ის ნაწილი, რომელიც განსახორციელებელი აქტივობების I-III პუნქტების აღწერას ეხებოდა.<sup>64</sup>

ცვლილების შედეგად, გაზრდილი შესასრულებელი სამუშაოებისთვის გათვალისწინებული თითოეული სახის ხარჯის წილი შემდეგი სახით ჩამოყალიბდა:<sup>65</sup>

<sup>58</sup> ბათუმის საკრებულოს 2010 წლის 15 ივნისის #59 განკარგულება, დანართი #1.  
<sup>59</sup> ბათუმის საკრებულოს 2010 წლის 9 ივლისის #33 განკარგულება, დანართი #1.  
<sup>60</sup> ბათუმის საკრებულოს 2010 წლის 9 ივლისის #33 განკარგულება, დანართი #1.  
<sup>61</sup> ბათუმის საკრებულოს 2010 წლის 9 ივლისის #33 განკარგულება, დანართი #1.  
<sup>62</sup> ბათუმის საკრებულოს 2010 წლის 2 სექტემბრის #85 განკარგულება, დანართი #1.  
<sup>63</sup> ბათუმის საკრებულოს 2010 წლის 2 სექტემბრის #85 განკარგულება, დანართი #1.  
<sup>64</sup> ბათუმის საკრებულოს 2010 წლის 29 ოქტომბრის #124 განკარგულება, დანართი #1.  
<sup>65</sup> ბათუმის საკრებულოს 2010 წლის 15 ივნისის #59 განკარგულება, დანართი #1.

*2010 წლის პროგრამაში მორიგი ცვლილების შესატანად ბათუმის თვითმმართველობას ერთი თვეც არ დასჭირვებია და იმავე წლის 9 ივლისს რიგით მეხუთე ცვლილება განახორციელა.*

№	სამუშაოს დასახელება	თანხა (ლარებში)
I	საპროექტო სამუშაოები	5,282,400
II	ქუჩების, პარკების და სკვერების სამშენებლო-სარეკონსტრუქციო სამუშაოები	17,340,700
III	შენობა-ნაგებობების სამშენებლო-სარეკონსტრუქციო სამუშაოები	36,864,900
	სულ	59,488,000

ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ ამ ცვლილებით დამტკიცებული პროგრამის ახალ რედაქციას დაემატა პუნქტები, რომლებიც შენობა-ნაგებობების სამშენებლო-სარეკონსტრუქციო სამუშაოების დროს მესაკუთრეთა მხრიდან თანადაფინანსებით მონაწილეობის წესებს ეხებოდა.<sup>66</sup>

ბათუმის „ისტორიული უბნებისა და ტურისტული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის“ 2010 წლის მუნიციპალურ პროგრამაში ყველაზე საინტერესო და, ამავე დროს, უცნაური ცვლილება 2010 წლის 30 ნოემბერს შევიდა. შესაბამისად, პროგრამა ბათუმის საკრებულოს მიერ კიდევ ერთხელ ახალი რედაქციით დამტკიცდა.<sup>67</sup>

*აღნიშნული ცვლილება საინტერესოა არა იმდენად იმით, რომ პროგრამის ბიუჯეტი 61,038,000 ლარამდე იქნა გაზრდილი, არამედ იმით, რომ წლის ბოლოსკენ დამტკიცებული პროგრამის ახალი რედაქციიდან ბათუმის საკრებულომ საერთოდ ამოიღო ისტორიული ფორტის შესახებ არსებული ის ჩანაწერი,<sup>68</sup> რომელიც მანამდე 2010 წელს დამტკიცებული პროგრამის ყოველ ახალ რედაქციაში უცვლელად გადმოჰქონდა.<sup>69</sup>*

*ამასთან, საყურადღებოა, რომ პროგრამის ახალ რედაქციაში არაფერი იყო ნათქვამი იმის შესახებ, თუ რატომ იქნა ისტორიული ფორტის მშენებლობის საკითხი პროგრამიდან ამოღებული. მითუმეტეს, რომ ფორტის მშენებლობის პროგრამიდან ამოღება ბათუმის საკრებულომ მხოლოდ 2010 წლის 30 ნოემბერს გადაწყვიტა და, მაღალი ალბათობით, ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი მოცულობის თანხები უკვე დახარჯული უნდა ჰქონოდა.*

საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ 2010 წლის 30 ნოემბრის ცვლილების მიხედვით, პროგრამის მხოლოდ ის ნაწილი გაიზარდა 38,414,900 ლარამდე, საიდანაც მანამდე ისტორიული ფორტის მშენებლობაც უნდა დაფინანსებულიყო.<sup>70</sup>

საია დაინტერესდა, თუ რა ოდენობის ხარჯი იქნა განხეული ბათუმის „ისტორიული უბნებისა და ტურისტული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის“ 2010 წლის მუნიციპალური პროგრამიდან ბათუმში ისტორიული ფორტის მშენებლობაზე და ბათუმის მერიიდან შესაბამისი ხელშეკრულებები გამოითხოვა.<sup>71</sup>

ბათუმის მერიის მიერ წარმოდგენილი ხელშეკრულებების სიაში, 2010 წლის განმავლობაში გაფორმებულ ხელშეკრულებათა ჩამონათვალში, ნამდვილად ფიგურირებს ინფორმაცია ისტორიული ფორტის მშენებლობასთან დაკავ-

ბათუმის „ისტორიული უბნებისა და ტურისტული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის“ 2010 წლის მუნიციპალურ პროგრამაში ყველაზე საინტერესო და, ამავე დროს, უცნაური ცვლილება 2010 წლის 30 ნოემბერს შევიდა.

<sup>66</sup> ბათუმის საკრებულოს 2010 წლის 29 ოქტომბრის #124 განკარგულება, დანართი #1.

<sup>67</sup> ბათუმის საკრებულოს 2010 წლის 30 ნოემბრის #145 განკარგულება, დანართი #1.

<sup>68</sup> ბათუმის საკრებულოს 2010 წლის 30 ნოემბრის #145 განკარგულება, დანართი #1.

<sup>69</sup> ბათუმის საკრებულოს 2009 წლის 30 დეკემბრის #110 განკარგულება, დანართი #1; ბათუმის საკრებულოს 2010 წლის 29 იანვრის #2 განკარგულება, დანართი #1; ბათუმის საკრებულოს 2010 წლის 26 თებერვლის #11 განკარგულება, დანართი #1; ბათუმის საკრებულოს 2010 წლის 22 მარტის #22 განკარგულება, დანართი #1; ბათუმის საკრებულოს 2010 წლის 15 ივნისის #59 განკარგულება, დანართი #1; ბათუმის საკრებულოს 2010 წლის 9 ივლისის #33 განკარგულება, დანართი #1; ბათუმის საკრებულოს 2010 წლის 2 სექტემბრის #85 განკარგულება, დანართი #1; ბათუმის საკრებულოს 2010 წლის 29 ოქტომბრის #124 განკარგულება, დანართი #1.

<sup>70</sup> ბათუმის საკრებულოს 2010 წლის 30 ნოემბრის #145 განკარგულება, დანართი #1.

<sup>71</sup> საიას 2013 წლის 20 თებერვლის #გ-04/97-13 განცხადება.

შირებით, რომლის მიხედვითაც ბათუმის მერიამ, ქ. ბათუმში ისტორიული ფორტის მშენებლობის მიზნით, 2010 წელს „ისტორიული უბნებისა და ტურისტული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის“ მუნიციპალური პროგრამის ფარგლებში შპს „Creative Impressions Caucasus“-ს 137,858 ლარზე გაუფორმა კონტრაქტი.<sup>72</sup> ამასთან, მიუხედავად იმისა, რომ ხსენებული კონტრაქტი 2010 წელს გაფორმებული კონტრაქტების სიაშია აღნიშნული, ბათუმის მერიის მიერ მოწოდებულ ინფორმაციაში კონტრაქტის გაფორმების თარიღად 2009 წლის 19 ოქტომბერია მითითებული. ხოლო შესრულების თარიღად 2010 წლის 1 დეკემბერი.<sup>73</sup>

საყურადღებოა, რომ იგივე კომპანიასთან, იმავე მიზნით, ბათუმის მერიას კიდევ ერთი კონტრაქტი აქვს გაფორმებული 2009 წლის 19 ოქტომბერს, ოღონდ ამ შემთხვევაში კონტრაქტი 2009 წელს გაფორმებული ხელშეკრულებების სიაშია აღნიშნული და სახელშეკრულებო თანხაც გაცილებით მეტს – 1,808,090 ლარს შეადგენს.<sup>74</sup> ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები კომპანიას 2010 წლის 1 მაისამდე უნდა შეესრულებინა.<sup>75</sup>

**თუმცა, ბათუმის მერიის მიერ მოწოდებული მონოდებული ხელშეკრულების მიხედვით, ისტორიული ფორტის მშენებლობის მიზნით შპს „Creative Impressions Caucasus“-ს 2,260,113 ლარის ღირებულების კონტრაქტი გაუფორმა.<sup>76</sup> თუმცა, როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, 2010 წლის 30 ნოემბერს ბათუმის საკრებულოს მიერ დამტკიცებული პროგრამის ახალი რედაქციიდან<sup>77</sup> ისტორიული ფორტის მშენებლობა საერთოდ იქნა ამოღებული.**

ამრიგად, 2010 წელს ბათუმის „ისტორიული უბნებისა და ტურისტული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის“ მუნიციპალურ პროგრამაში რვაჯერ შევიდა ცვლილება და ყოველი ახალი ცვლილების შემდეგ პროგრამა ახალი რედაქციით დამტკიცდა. თუმცა, არც ერთი ცვლილების შემდეგ პროგრამაში არ მიეთითებოდა, თუ რა გარემოებებით იყო განპირობებული ცვლილებების შეტანა და გაზრდილი ბიუჯეტით კონკრეტულად რომელი ღონისძიებები დაფინანსდებოდა.

2010 წლის 30 ნოემბერს პროგრამაში შეტანილი ცვლილების მიხედვით კი, საერთოდ იქნა ამოღებული ისტორიული ფორტის მშენებლობის შესახებ მანამდე არსებული ჩანაწერები, და ეს იმ ფონზე, როდესაც ბათუმის მერიას შპს „Creative Impressions Caucasus“-თან 2,260,113 ლარის ღირებულების კონტრაქტი უკვე ჰქონდა გაფორმებული.<sup>78</sup>

### 2.3. 2011 წელი

თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის „ისტორიული უბნებისა და ტურისტული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის“ 2011 წლის მუნიციპალური პროგრამა ბათუმის საკრებულომ 2010 წლის 31 დეკემბერს დაამტკიცა.<sup>79</sup>

პროგრამის ბიუჯეტი 69,650,000 ლარით განისაზღვრა. პროგრამის ფარგლებში დაგეგმილი შესყიდვები, ისევე როგორც წინა წლებში, ამჯერადაც „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად უნდა განხორციელებულიყო. ხოლო ბათუმის საკრებულოს განკარგულების მიხედვით, ბათუმის მერს უფლება მიეცა, დამტკიცებული პროგრამის

2010 წელს ბათუმის „ისტორიული უბნებისა და ტურისტული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის“ მუნიციპალურ პროგრამაში რვაჯერ შევიდა ცვლილება და ყოველი ახალი ცვლილების შემდეგ პროგრამა ახალი რედაქციით დამტკიცდა.

<sup>72</sup> ბათუმის მერიის 2013 წლის 1 აპრილის #04-04/4001 კორესპონდენცია.

<sup>73</sup> ბათუმის მერიის 2013 წლის 1 აპრილის #04-04/4001 კორესპონდენცია.

<sup>74</sup> ბათუმის მერიის 2013 წლის 1 აპრილის #04-04/4001 კორესპონდენცია.

<sup>75</sup> ბათუმის მერიის 2013 წლის 1 აპრილის #04-04/4001 კორესპონდენცია.

<sup>76</sup> 2009 წლის 19 ოქტომბრის #315 ხელშეკრულება, მხარეები თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის მერია და შპს „Creative Impressions Caucasus“;

<sup>77</sup> ბათუმის საკრებულოს 2010 წლის 30 ნოემბრის #145 განკარგულება, დანართი #1.

<sup>78</sup> 2009 წლის 19 ოქტომბრის #315 ხელშეკრულება, მხარეები თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის მერია და შპს „Creative Impressions Caucasus“;

<sup>79</sup> ბათუმის საკრებულოს 2010 წლის 31 დეკემბრის #187 განკარგულება, დანართი #1.

ცალკეულ პუნქტებს შორის თანხების გადანაწილება მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით მოეხდინა.<sup>80</sup>

გარდა იმისა, რომ 2011 წლის პროგრამა წინა წლების პროგრამებს ბიუჯეტის ოდენობით აღემატებოდა, ბათუმის „ისტორიული უბნებისა და ტურისტული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის“ პროგრამის არსებობის ისტორიაში პირველად გაჩნდა პროგრამის ღონისძიებების კალენდარი და შეფასების კრიტერიუმები.<sup>81</sup> **თუმცა, საიას მოსაზრებით, პროგრამის შეფასების აღნიშნული სისტემა არ წარმოადგენს შეფასების სათანადო და ადეკვატური ინსტრუმენტების მომცველ დოკუმენტს, რაც კარგად ჩანს 2011 წლის პროგრამის ამოცანების, საჭირო თანხების და პროგრამის შეფასების კრიტერიუმების ურთიერთშედარების საფუძველზე.**<sup>82</sup>

ფაქტობრივად უცვლელი დარჩა პროგრამის მიზნები და, ისევე როგორც წინა წლებში, ამჯერადაც პროგრამის მიზნად განისაზღვრა ქალაქში ისტორიული უბნების, ისტორიული ძეგლების, შენობების აღდგენა-შენარჩუნება, ბათუმის ძველი უბნების განვითარება, თეატრისა და სხვა კულტურული ობიექტების მშენებლობა-რესტავრაცია და, ასევე, ქუჩების მშენებლობა-რეკონსტრუქცია.<sup>83</sup>

პროგრამის ამოცანები შემდეგი სახით ჩამოყალიბდა:<sup>84</sup>

პროგრამის ამოცანები:			
ამოცანა	ისტორიული უბნებისა და ტურისტული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია	ღონისძიება 1	საძიებო, საპროექტო და საკონსტრუქტორო სამუშაოები
		ღონისძიება 2	ქუჩების, პარკებისა და სკვერების სამშენებლო-სარეკონსტრუქციო სამუშაოები
		ღონისძიება 3	შენობა-ნაგებობებისა და მიმდებარე ტერიტორიების სამშენებლო-სარეკონსტრუქციო სამუშაოები
		ღონისძიება 4	ალფაბეტური კოშკის მშენებლობა
		ღონისძიება 5	ველოსიპედების შეძენა და პარკინგის მოწყობა

**ამრიგად, პირველად ბათუმის „ისტორიული უბნებისა და ტურისტული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის“ მუნიციპალური პროგრამის განხორციელების მანძილზე პროგრამაში ორი ახალი აქტივობა – ალფაბეტური კოშკის მშენებლობა და ველოსიპედების შეძენა და პარკინგის მოწყობა გაჩნდა.** შესაბამისად, ორი ახალი კომპონენტის შემოტანამ არსებითი გავლენა მოახდინა პროგრამით გათვალისწინებული ხარჯების წილობრივ გადანაწილებაზე.<sup>85</sup>

პროგრამის დასაფინანსებლად საჭირო თანხები		
№	დასახელება	სულ
1	საძიებო, საპროექტო და საკონსტრუქტორო სამუშაოები	1,000,000
2	ქუჩების, პარკებისა და სკვერების სამშენებლო-სარეკონსტრუქციო სამუშაოები	1,400,000

გარდა იმისა, რომ 2011 წლის პროგრამა წინა წლების პროგრამებს ბიუჯეტის ოდენობით აღემატებოდა, ბათუმის „ისტორიული უბნებისა და ტურისტული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის“ პროგრამის არსებობის ისტორიაში პირველად გაჩნდა პროგრამის ღონისძიებების კალენდარი და შეფასების კრიტერიუმები.

<sup>80</sup> ბათუმის საკრებულოს 2010 წლის 31 დეკემბრის #187 განკარგულება, დანართი #1.

<sup>81</sup> ბათუმის საკრებულოს 2010 წლის 31 დეკემბრის #187 განკარგულება, დანართი #1.

<sup>82</sup> ბათუმის საკრებულოს 2010 წლის 31 დეკემბრის #187 განკარგულება, დანართი #1.

<sup>83</sup> ბათუმის საკრებულოს 2010 წლის 31 დეკემბრის #187 განკარგულება, დანართი #1.

<sup>84</sup> ბათუმის საკრებულოს 2010 წლის 31 დეკემბრის #187 განკარგულება, დანართი #1.

<sup>85</sup> ბათუმის საკრებულოს 2010 წლის 31 დეკემბრის #187 განკარგულება, დანართი #1.

3	შენობა-ნაგებობებისა და მიმდებარე ტერიტორიების სამშენებლო-სარეკონსტრუქციო სამუშაოები	6,750,000
4	ალფაბეტური კომპის მშენებლობა	59,500,000
5	ველოსიპედების შექმნა და პარკინგის მოწყობა	1,000,000
<b>სულ ხარჯი</b>		<b>69,650,000</b>

**ზემოთ აღნიშნული ცხრილი ნათლად მოწმობს, რომ 2011 წლის პროგრამა, ძირითადად, სწორედ ალფაბეტური კომპის მშენებლობაზე იყო ორიენტირებული და, ამ ფონზე, მნიშვნელოვნად მცირე თანხები გამოიყო პროგრამით გათვალისწინებული სხვა აქტივობებისთვის.**

როგორც უცნაურიც არ უნდა იყოს, 2011 წლის პროგრამით გათვალისწინებული ამოცანების შეფასების კრიტერიუმებად ბათუმის თვითმმართველობამ ისეთი გარემოებები მიუთითა, როგორცაა: საძიებო, საპროექტო და საკონსტრუქციო სამუშაოები, ქუჩების, პარკებისა და სკვერების სამშენებლო-სარეკონსტრუქციო სამუშაოები, შენობა-ნაგებობებისა და მიმდებარე ტერიტორიების სამშენებლო-სარეკონსტრუქციო სამუშაოები, ალფაბეტური კომპის მშენებლობა, ველოსიპედების შექმნა და პარკინგის მოწყობა.<sup>86</sup>

თუმცა, საინტერესოა, თუ რამდენად არის შესაძლებელი, რომ მხოლოდ შესრულებული სამუშაოები იქნეს პროგრამის შეფასების კრიტერიუმებად მიჩნეული, ისე, რომ სათანადო ყურადღება არ დაეთმოს შესრულებული სამუშაოების ხარისხს და იმ გავლენას, რაც შეიძლება მოჰყვეს პროგრამის განხორციელებას, როგორც დადებითი, ისე შესაძლო უარყოფითი თვალსაზრისით.

პროგრამის თავდაპირველ რედაქციაში ასევე აღინიშნა პროგრამის მოსალოდნელი შედეგები და ასეთად ისტორიული უბნებისა და ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარების შედეგად სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორების გაუმჯობესება დასახელდა. **თუმცა, კონკრეტულად რა იგულისხმებოდა ამ ორ ფაქტორში და როგორ გაიზომებოდა პროგრამის განხორციელების შემდეგ დამდგარი შედეგები, პროგრამაში აღნიშნული არ არის.**<sup>87</sup>

2011 წლის პროგრამის დამტკიცებიდან მალევე, იმავე წლის 28 თებერვალს ბათუმის საკრებულომ ბათუმის „ისტორიული უბნებისა და ტურისტული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის“ 2011 წლის მუნიციპალურ პროგრამაში პირველი ცვლილება შეიტანა და ახალი რედაქციით დაამტკიცა.<sup>88</sup>

ცვლილების მიხედვით, გაიზარდა პროგრამის ბიუჯეტი და 76,050,000 ლარი შეადგინა, რაც შემდეგი სახით გადახანგრძლივდა:<sup>89</sup>

პროგრამის დასაფინანსებლად საჭირო თანხები		
№	დასახელება	სულ
1	საძიებო, საპროექტო და საკონსტრუქციო სამუშაოები	2,200,000
2	ქუჩების, პარკებისა და სკვერების სამშენებლო-სარეკონსტრუქციო სამუშაოები	1,700,000
3	შენობა-ნაგებობებისა და მიმდებარე ტერიტორიების სამშენებლო-სარეკონსტრუქციო სამუშაოები	11,350,000
4	ალფაბეტური კომპის მშენებლობა	59,500,000
5	ველოსიპედების შექმნა და პარკინგის მოწყობა	1,300,000
<b>სულ ხარჯი</b>		<b>76,050,000</b>

<sup>86</sup> ბათუმის საკრებულოს 2010 წლის 31 დეკემბრის #187 განკარგულება, დანართი #1.  
<sup>87</sup> ბათუმის საკრებულოს 2010 წლის 31 დეკემბრის #187 განკარგულება, დანართი #1.  
<sup>88</sup> ბათუმის საკრებულოს 2011 წლის 28 თებერვლის #33 განკარგულება, დანართი #1.  
<sup>89</sup> ბათუმის საკრებულოს 2011 წლის 28 თებერვლის #33 განკარგულება, დანართი #1.

*2011 წლის პროგრამის დამტკიცებიდან მალევე, იმავე წლის 28 თებერვალს ბათუმის საკრებულომ ბათუმის „ისტორიული უბნებისა და ტურისტული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის“ 2011 წლის მუნიციპალურ პროგრამაში პირველი ცვლილება შეიტანა და ახალი რედაქციით დაამტკიცა.*



2011 წელს მიღებული კიდევ ერთი ცვლილების მიხედვით, პროგრამის ბიუჯეტი 84,625,000 ლარამდე გაიზარდა და აღნიშნული ცვლილება მხოლოდ ველოსიპედების შეძენასა და პარკინგის მოწყობას შეეხო. ცვლილების მიხედვით, აღნიშნულ ღონისძიებაზე 1,430,000 ლარი უნდა დახარჯულიყო.

ზემოთ მოყვანილ ცხრილში ასახული ციფრები ცხადყოფს, რომ ცვლილების შემდეგ მხოლოდ ალფაბეტური კომპის მშენებლობა დარჩა დაფინანსების იმავე ფარგლებში, რაც თავდაპირველი რედაქციით იყო განერილი, ხოლო დანარჩენი ოთხი ღონისძიებისთვის გათვალისწინებული დაფინანსება გაიზარდა. სხვა მხრივ, რაიმე სახის განსაკუთრებული ცვლილება პროგრამაში არ შესულა. **ამასთან, პროგრამაში, რომლის ბიუჯეტი უკვე 76,050,000 ლარს შეადგენდა, ისევ არ აისახა ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რა ტიპის აქტივობები იგეგმებოდა კონკრეტულად თითოეული ღონისძიების ქვეშ.**<sup>90</sup>

იგივე ტენდენცია გაგრძელდა მომდევნო ცვლილების დროს, რომლის მიხედვითაც, 2011 წლის 8 აპრილს მიღებული განკარგულების საფუძველზე, ბათუმის საკრებულომ პროგრამის ბიუჯეტი 80,300,000 ლარამდე გაზარდა.

ცვლილების მიხედვით, გაიზარდა საძიებო, საპროექტო და საკონსტრუქტორო სამუშაოებისთვის გათვალისწინებული თანხა და 2,350,000 ლარი შეადგინა, შენობა-ნაგებობებისა და მიმდებარე ტერიტორიების სამშენებლო-სარეკონსტრუქციო სამუშაოების დაფინანსებამ კი – 15,450,000 ლარი.<sup>91</sup> ამასთან, აღნიშნულ ცვლილებებს, ალფაბეტური კომპის მშენებლობის ნაწილში, მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობის სამუშაოებიც დაემატა.

პროგრამის ახალი რედაქციის დამტკიცებიდან 21 დღეში ბათუმის საკრებულომ მასში მორიგი ცვლილება განახორციელა. თუმცა, ამჯერად უცვლელი დარჩა პროგრამის მთლიანი ბიუჯეტი და ცვლილება მხოლოდ პროგრამის ერთი ღონისძიებიდან მეორეში თანხის გადატანას შეეხო.<sup>92</sup>

მომდევნო ცვლილება და, შესაბამისად, პროგრამის ახალი რედაქცია ბათუმის საკრებულომ 2011 წლის 24 ივნისს დაამტკიცა და პროგრამის ბიუჯეტი 84,495,000 ლარით განსაზღვრა.<sup>93</sup> გაზრდილი ბიუჯეტის მიხედვით, ხარჯები შემდეგ სახით გადანაწილდა:<sup>94</sup>

პროგრამის დასაფინანსებლად საჭირო თანხები		
№	დასახელება	სულ
1	ექსპერტიზის, საძიებო, საპროექტო და საკონსტრუქტორო სამუშაოები	2,900,000
2	ქუჩების, პარკებისა და სკვერების სამშენებლო-სარეკონსტრუქციო სამუშაოები	1,900,000
3	შენობა-ნაგებობებისა და მიმდებარე ტერიტორიების სამშენებლო-სარეკონსტრუქციო სამუშაოები	19,195,000
4	ალფაბეტური კომპის მშენებლობა და მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობის სამუშაოები	59,200,000
5	ველოსიპედების შეძენა და პარკინგის მოწყობა	1,300,000
<b>სულ ხარჯი</b>		<b>84,495,000</b>

2011 წელს მიღებული კიდევ ერთი ცვლილების მიხედვით, პროგრამის ბიუჯეტი 84,625,000 ლარამდე გაიზარდა და აღნიშნული ცვლილება მხოლოდ ველოსიპედების შეძენასა და პარკინგის მოწყობას შეეხო. ცვლილების მიხედვით, აღნიშნულ ღონისძიებაზე 1,430,000 ლარი უნდა დახარჯულიყო.<sup>95</sup>

<sup>90</sup> ბათუმის საკრებულოს 2011 წლის 28 თებერვლის #33 განკარგულება, დანართი #1.

<sup>91</sup> ბათუმის საკრებულოს 2011 წლის 8 აპრილის #78 განკარგულება, დანართი #1.

<sup>92</sup> ცვლილების მიხედვით, 300,000 ლარით შემცირდა ალფაბეტური კომპის მშენებლობისა და მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობისთვის განკუთვნილი ხარჯები და 59,200,000 ლარით განისაზღვრა. შედეგად, გაიზარდა ექსპერტიზის, საძიებო, საპროექტო და საკონსტრუქტორო სამუშაოების დაფინანსება და 2,650,000 ლარი შეადგინა. ბათუმის საკრებულოს 2011 წლის 29 აპრილის #91 განკარგულება, დანართი #1.

<sup>93</sup> ბათუმის საკრებულოს 2011 წლის 24 ივნისის #146 განკარგულება, დანართი #1.

<sup>94</sup> ბათუმის საკრებულოს 2011 წლის 24 ივნისის #146 განკარგულება, დანართი #1.

<sup>95</sup> ბათუმის საკრებულოს 2011 წლის 2 აგვისტოს #165 განკარგულება, დანართი #1.

რიგით მეექვსე და ბოლო ცვლილება 2011 წლის პროგრამაში იმავე წლის 23 დეკემბერს შევიდა და, ახალი რედაქციის მიხედვით, ბიუჯეტმა 86,193,600 ლარს მიაღწია.<sup>96</sup> ამასთან, პროგრამის მოქმედების ვადა 2012 წლის 1 მარტამდე გაგრძელდა. წლის ბოლოსკენ კიდევ ერთხელ დამტკიცებულ პროგრამაში ხარჯები ღონისძიებების მიხედვით შემდეგნაირად გადანაწილდა:<sup>97</sup>

პროგრამის დასაფინანსებლად საჭირო თანხები		
№	დასახელება	სულ
1	ექსპერტიზის, საძიებო, საპროექტო და საკონსტრუქტორო სამუშაოები	3,000,000
2	ქუჩების, პარკებისა და სკვერების სამშენებლო-სარეკონსტრუქციო სამუშაოები	1,900,000
3	შენობა-ნაგებობებისა და მიმდებარე ტერიტორიების სამშენებლო-სარეკონსტრუქციო სამუშაოები	17,884,300
4	ალფაბეტური კოშკის მშენებლობა და მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობის სამუშაოები	59,200,000
5	ველოსიპედების შეძენა და პარკინგის მოწყობა	4,209,300
<b>სულ ხარჯი</b>		<b>86,193,600</b>

ამრიგად, 2011 წელს ბათუმის „ისტორიული უბნებისა და ტურისტული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის“ 2011 წლის მუნიციპალური პროგრამა 69,650,000 ლარით დაიწყო და, წლის განმავლობაში შეტანილი ექვსი ცვლილების შემდეგ, საბოლოოდ 86,193,600 ლარს მიაღწია. ამასთან, ხარჯების ყველაზე დიდი წილი – 59,200,000 ლარი – ალფაბეტური კოშკის მშენებლობის და მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობისთვის იქნა მიმართული. პირველად 2011 წლის პროგრამაში მოხდა ისეთი მნიშვნელოვანი კომპონენტის შემოტანა, როგორცაა შეფასების ელემენტი. თუმცა, თავად შეფასების სისტემა ნაკლებად შეესაბამებოდა პროგრამის ადეკვატური შეფასების სისტემას. 2011 წლის პროგრამას კვლავ არ ახლდა მიღებული შედეგების გაზომვის სათანადო ინდიკატორები.

ვინაიდან 2011 წლის პროგრამაში განსაკუთრებული ადგილი უკავია ალფაბეტური კოშკის მშენებლობისა და მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობის სამუშაოებს, საია დაინტერესედა აღნიშნული გარემოებით და, შესაბამისი ინფორმაციის გამოთხოვნის მიზნით, ბათუმის მერიას მიმართა.<sup>98</sup>

ალფაბეტურ კოშკთან დაკავშირებით ბათუმის მერიის მიერ გაცემული ინფორმაციის ანალიზს ნარმოდგენილ კვლევაში ცალკე ადგილი ეთმობა.

**2.4. 2012 წელი**

თვითმმართველი ქალაქის – ბათუმის „ისტორიული უბნებისა და ტურისტული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის“ 2012 წლის მუნიციპალური პროგრამა ბათუმის საკრებულომ 2011 წლის 30 დეკემბერს დაამტკიცა.<sup>99</sup>

პროგრამის ბიუჯეტი 11,875,000 ლარით განისაზღვრა. პროგრამის ფარგლებში დაგეგმილი შესყიდვები, მსგავსად წინა წლებისა, ამჯერადაც „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად უნდა მომხდარიყო.

წინა წლების პროგრამის ბიუჯეტისგან განსხვავებით, 2012 წლის პროგრამის თავდაპირველი ვერსიის ბიუჯეტი მნიშვნელოვნად შემცირდა. ამასთან, ისევე

*2011 წელს ბათუმის „ისტორიული უბნებისა და ტურისტული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის“ 2011 წლის მუნიციპალური პროგრამა 69,650,000 ლარით დაიწყო და, წლის განმავლობაში შეტანილი ექვსი ცვლილების შემდეგ, საბოლოოდ 86,193,600 ლარს მიაღწია. ამასთან, ხარჯების ყველაზე დიდი წილი – 59,200,000 ლარი – ალფაბეტური კოშკის მშენებლობის და მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობისთვის იქნა მიმართული.*

<sup>96</sup> ბათუმის საკრებულოს 2011 წლის 23 დეკემბრის #303 განკარგულება, დანართი #1.  
<sup>97</sup> ბათუმის საკრებულოს 2011 წლის 23 დეკემბრის #303 განკარგულება, დანართი #1.  
<sup>98</sup> საიას 2013 წლის 13 მაისის #გ-04/186-13 განცხადება.  
<sup>99</sup> ბათუმის საკრებულოს 2011 წლის 30 დეკემბრის #327 განკარგულება, დანართი #1.

პროგრამის მიზნად ამჯერადაც განისაზღვრა ქალაქში ისტორიული უბნების, ისტორიული ძეგლების, შენობების აღდგენა-შენარჩუნება, ბათუმის ძველი უბნების განვითარება, კულტურული ობიექტების მშენებლობა-რესტავრაცია და ქუჩების მშენებლობა-რეკონსტრუქცია.

როგორც 2011 წელს, 2012 წლის პროგრამაშიც შენარჩუნებულ იქნა პროგრამის ღონისძიებების კალენდარი და შეფასების კრიტერიუმები.<sup>100</sup>

პროგრამის მიზნად ამჯერადაც განისაზღვრა ქალაქში ისტორიული უბნების, ისტორიული ძეგლების, შენობების აღდგენა-შენარჩუნება, ბათუმის ძველი უბნების განვითარება, კულტურული ობიექტების მშენებლობა-რესტავრაცია და ქუჩების მშენებლობა-რეკონსტრუქცია.<sup>101</sup>

2012 წლის პროგრამის აღწერაში აღინიშნა, რომ პროგრამის განხორციელება აუცილებელი იყო იმისათვის, რომ, ერთი მხრივ, ბათუმის ისტორიული ნაწილი თავისი ავთენტურობის შესაბამისი გამხდარიყო, ხოლო, მეორე მხრივ, მიმზიდველი ყოფილიყო ტურისტებისთვის. ამ მიზნისთვის პროგრამა ითვალისწინებდა საძიებო, საპროექტო და საკონსტრუქტორო სამუშაოებს. ასევე, შენობა-ნაგებობებისა და მიმდებარე ტერიტორიების სამშენებლო-სარეკონსტრუქციო სამუშაოებს.<sup>102</sup>

2012 წლის პროგრამის მიხედვით, ბათუმის თვითმმართველობამ მიზნად დაისახა შემდეგი ამოცანების განხორციელება:<sup>103</sup>

პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებები		
№	დასახელება	ღონისძიების აღწერა
1	ღონისძიება 1	შენობა-ნაგებობებისა და მიმდებარე ტერიტორიების სამშენებლო-სარეკონსტრუქციო სამუშაოები
2	ღონისძიება 2	ექსპერტიზის, საძიებო, საპროექტო და საკონსტრუქტორო სამუშაოები
3	ღონისძიება 3	ქუჩების, პარკების, სკვერებისა და მოედნების სამშენებლო-სარეკონსტრუქციო სამუშაოები
4	ღონისძიება 4	საზოგადოებრივი ველოსიპედების სისტემის მოწყობა
5	ღონისძიება 5	საზაფხულო თეატრის მშენებლობა

ზემოთ აღნიშნულ ცხრილში მოყვანილი ღონისძიებების შესრულების მიზნით, ბათუმის თვითმმართველობამ თანხები შემდეგი სახით გადაანაწილა:<sup>104</sup>

პროგრამის დასაფინანსებლად საჭირო თანხები ღონისძიებების მიხედვით (ლარებში)			
დასახელება	სულ ასიგნება (გადასახდელები) მათ შორის:		
	გარდამავალი	მიმდინარე	მიმდინარეს შემდგომი
<b>ხარჯები</b>			-
ღონისძიება 1	2 529,500	4 370,500	-
<b>ჯამი</b>	2 529,500	4 370,500	-
<b>არაფინანსური აქტივების ზრდა</b>			-
ღონისძიება 2	100,000	500,000	-
ღონისძიება 3	-	2 305,000	-
ღონისძიება 4	558,000	-	-
ღონისძიება 5	-	4 700,000	-

<sup>100</sup> ბათუმის საკრებულოს 2011 წლის 30 დეკემბრის #327 განკარგულება, დანართი #1.

<sup>101</sup> ბათუმის საკრებულოს 2011 წლის 30 დეკემბრის #327 განკარგულება, დანართი #1.

<sup>102</sup> ბათუმის საკრებულოს 2011 წლის 30 დეკემბრის #327 განკარგულება, დანართი #1.

<sup>103</sup> ბათუმის საკრებულოს 2011 წლის 30 დეკემბრის #327 განკარგულება, დანართი #1.

<sup>104</sup> ბათუმის საკრებულოს 2011 წლის 30 დეკემბრის #327 განკარგულება, დანართი #1.

ჯამი	658,000	7 505,000	-
ვალდებულებები			-
ლონისძიება 1	-	-	-
ლონისძიება ...	-	-	-
ჯამი	-	-	-
სულ ჯამი	3 187,500	11 875,500	-

პროგრამის აღწერიდან გამომდინარე, პროგრამის წარმატებით განხორციელების შემთხვევაში, ბათუმის თვითმმართველობა შემდეგი შედეგების მიღებას ელოდა:<sup>105</sup>

- დასრულებული შენობა-ნაგებობებისა და მიმდებარე ტერიტორიების სამშენებლო-სარეკონსტრუქციო სამუშაოები;
- დასრულებული ექსპერტიზის, საძიებო, საპროექტო და საკონსტრუქციო სამუშაოები;
- კეთილმოწყობილი ქუჩები, პარკები, სკვერები და მოედნები;
- მოწყობილი საზოგადოებრივი ველოსიპედების სისტემა;
- აშენებული საზაფხულო თეატრი.

*თუმცა, საყურადღებოა, რომ 2012 წლის პროგრამაში არ ასახულა სათანადო კრიტერიუმები, რომლის მიხედვითაც, შესაძლებელი იქნებოდა საბოლოო შედეგების გაზომვა. უფრო მეტიც, პროგრამის ის ნაწილი, რომელიც პროგრამის შედეგების შეფასების კრიტერიუმებს ეხება, ზოგადი ხასიათისაა და პროგრამის შედეგების ჩაშლილ ვარიანტს უფრო წარმოადგენს, ვიდრე პროგრამის განხორციელებით მიღებული შედეგების გაზომვად კრიტერიუმებს.*

ამრიგად, 2012 წლის ბათუმის ისტორიული უბნებისა და ტურისტული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის პროგრამის მიხედვით, პროგრამის შედეგების შეფასების კრიტერიუმებად შემდეგი ფაქტორები იქნა მიჩნეული:<sup>106</sup>

- შენობა-ნაგებობებისა და მიმდებარე ტერიტორიების სამშენებლო-სარეკონსტრუქციო სამუშაოები (გოგებაშვილის ქ. №44-ში არსებული შენობის ახალი ფასადის მოწყობა მესამე სართულის დაშენებით; გოგებაშვილის ქ. №26-ში მდებარე შენობის რეკონსტრუქცია მიშენებით; გოგებაშვილის ქ. №28-ში მდებარე შენობის ფასადის რეაბილიტაცია; ქუთაისის ქ. №33-ში მდებარე სამსართულიანი შენობის ფასადის რეკონსტრუქცია; ჩკალოვის ქ. №3-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის ფასადის რეაბილიტაცია; ჩკალოვის ქ. №4-ში მდებარე ორსართულიანი შენობის რეაბილიტაცია; ჩკალოვის №5-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის ფასადის რეაბილიტაცია; ჩკალოვის ქ. №4/31-ში მდებარე შენობის ფასადის რეაბილიტაცია; ჩკალოვის ქუჩაზე მდებარე მეჩეთის ფასადის რესტავრაცია-რეაბილიტაცია; გოგებაშვილის ქ. №14-ში არსებული შენობის რეკონსტრუქცია; გოგებაშვილის ქ. №42, 50, 52, 58-ში არსებული შენობების ფასადების რეკონსტრუქცია, გორგასლის ქ. №10-ში მდებარე შენობის ფასადის რეკონსტრუქცია);
- სხვადასხვა სამშენებლო-სარეკონსტრუქციო სამუშაოებსა და მომსახურებაზე საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა, ასევე, ექსპერტიზისა და საძიებო მომსახურების განვება;
- კოშკი-მადრევანისა და მიმდებარე სკვერის მშენებლობა-რეკონსტრუქცია;
- საზოგადოებრივი ველოსიპედების სისტემის მოწყობა (250 ცალი ველოსიპედი, 20 ტერმინალი);
- საზაფხულო თეატრის მშენებლობა – 1 ახალი შენობის აშენება.

*საყურადღებოა, რომ 2012 წლის პროგრამაში არ ასახულა სათანადო კრიტერიუმები, რომლის მიხედვითაც, შესაძლებელი იქნებოდა საბოლოო შედეგების გაზომვა.*

<sup>105</sup> ბათუმის საკრებულოს 2011 წლის 30 დეკემბრის #327 განკარგულება, დანართი #1.  
<sup>106</sup> ბათუმის საკრებულოს 2011 წლის 30 დეკემბრის #327 განკარგულება, დანართი #1.

2012 წლის პროგრამაში პირველი ცვლილების შეტანისთვის ბათუმის თვითმმართველობას ერთი თვეც არ დასჭირვებია და 2012 წლის 17 იანვარს პროგრამის ახალი რედაქცია დაამტკიცა.<sup>107</sup>

აღნიშნული ცვლილებით, პროგრამით განსახორციელებელ ღონისძიებათა ჩამონათვალს დამეცა ალფაბეტური კომპის მშენებლობისა და მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობის სამუშაოები.<sup>108</sup> შესაბამისად, შეიცვალა პროგრამის ის ნაწილიც, რომელიც პროგრამით დასაფინანსებელი ღონისძიებებისთვის საჭირო თანხებს შეეხებოდა და, ალფაბეტური კომპის მშენებლობისა და მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობის სამუშაოების დასაფინანსებლად, გარდამავალი გადასახდელების ნაწილში, ამ მიზნით 8,746,600 ლარი იქნა გათვალისწინებული.<sup>109</sup>

მთლიანობაში, პროგრამით დასაფინანსებლად საჭირო თანხები, როგორც მიმდინარე, ისე გარდამავალი გადასახდელებისთვის, შედეგი სახით განისაზღვრა:<sup>110</sup>

პროგრამის დასაფინანსებლად საჭირო თანხები ღონისძიებების მიხედვით (ლარებში)			
დასახელება	სულ ასიგნება (გადასახდელები) მათ შორის:		
	გარდამავალი	მიმდინარე	მიმდინარეს შემდგომი
<b>ხარჯები</b>			-
ღონისძიება 1	5,529,500	4,370,500	-
ჯამი	5,529,500	4,370,500	-
<b>არაფინანსური აქტივების ზრდა</b>			-
ღონისძიება 2	560,000	500,000	-
ღონისძიება 3	150,000	2,305,000	-
ღონისძიება 4	2,809,700	-	-
ღონისძიება 5		4,700,000	-
ღონისძიება 6	8,746,600		
ჯამი	12,266,300	7,505,000	-
<b>ვალდებულებები</b>			-
ღონისძიება 1	-	-	-
ღონისძიება ...	-	-	-
ჯამი	-	-	-
<b>სულ ჯამი</b>	<b>17,795,800</b>	<b>11,875,500</b>	-

ალფაბეტური კომპის შემთხვევაში, შეფასების კრიტერიუმად აშენებული ალფაბეტური კომპი და კეთილმოწყობილი ტერიტორია განისაზღვრა.

2012 წლის პროგრამისთვის ალფაბეტური კომპის მშენებლობისა და მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობის სამუშაოების დამატებამ ასახვა ჰპოვა პროგრამის იმ ნაწილში, რომელიც შეფასების კრიტერიუმებს განეკუთვნებოდა. შესაბამისად, ალფაბეტური კომპის შემთხვევაში, შეფასების კრიტერიუმად აშენებული ალფაბეტური კომპი და კეთილმოწყობილი ტერიტორია განისაზღვრა.<sup>111</sup>

2012 წლის იანვრის და თებერვლის თვეში ბათუმის თვითმმართველობამ პრო-

<sup>107</sup> ბათუმის საკრებულოს 2012 წლის 17 იანვრის #10 განკარგულება, დანართი #1.  
<sup>108</sup> ბათუმის საკრებულოს 2012 წლის 17 იანვრის #10 განკარგულება, დანართი #1.  
<sup>109</sup> ბათუმის საკრებულოს 2012 წლის 17 იანვრის #10 განკარგულება, დანართი #1.  
<sup>110</sup> ბათუმის საკრებულოს 2012 წლის 17 იანვრის #10 განკარგულება, დანართი #1.  
<sup>111</sup> ბათუმის საკრებულოს 2012 წლის 17 იანვრის #10 განკარგულება, დანართი #1.

გრამაში კიდევ ორი ცვლილება შეიტანა და, ორივე შემთხვევაში, პროგრამის ახალი რედაქცია დაამტკიცა.<sup>112</sup> აღნიშნული ცვლილება არ შეხებია პროგრამის მთლიან ბიუჯეტს და ისევ 11,875,000 ლარი დარჩა. იცვლებოდა მხოლოდ პროგრამით გათვალისწინებული ღონისძიებებისთვის საჭირო გარდამავალი და მიმდინარე ხარჯები, თუმცა, არ სცილდებოდა პროგრამის მთლიან ბიუჯეტს.<sup>113</sup>

2012 წლის 12 მარტს პროგრამაში შეტანილი ცვლილების მიხედვით, პროგრამას დაემატა ისეთი კომპონენტები, როგორცაა: შენობა-ნაგებობების სამშენებლო-სარეკონსტრუქციო სამუშაოების დროს მესაკუთრეთა მხრიდან თანადაფინანსებით მონაწილეობა და, ასევე, თანადაფინანსების პრინციპით შენობა-ნაგებობებზე დამატებითი ფართის დაშენება ან/და მიშენების წესები.<sup>114</sup>

2012 წელს პროგრამის ბიუჯეტი პირველად 30 მარტს შეტანილი ცვლილებით გაიზარდა და 12,270,500 ლარი შეადგინა.<sup>115</sup> გაზრდილი ბიუჯეტი პროგრამით გათვალისწინებული ღონისძიებებისთვის საჭირო გარდამავალ და მიმდინარე ხარჯებს შეეხებო. თუმცა, განსახორციელებელ ღონისძიებათა ოდენობა იგივე დარჩა.<sup>116</sup>

მომდევნო სამი თვის განმავლობაში ბათუმის თვითმმართველობამ პროგრამაში კიდევ ოთხი ცვლილება შეიტანა<sup>117</sup> და ყოველ ჯერზე პროგრამა ახალი რედაქციით მტკიცდებოდა. პარალელურად, იზრდებოდა პროგრამის ბიუჯეტი და 2012 წლის 28 ივნისისთვის 24,724,700 ლარი შეადგინა.<sup>118</sup>

**მიუხედავად იმისა, რომ 2012 წლის მარტიდან ივნისის ჩათვლით პროგრამაში შეტანილი ოთხი ცვლილების საფუძველზე პროგრამის ბიუჯეტი გაორმაგდა და 24,724,700 ლარს მიაღწია, ამ გარემოებას გავლენა არ მოუხდენია პროგრამის ისეთი კომპონენტების შინაარსობრივ მხარეზე, როგორცაა: პროგრამის აღწერა, განსახორციელებელი ღონისძიებები, საბოლოო შედეგები და პროგრამის შეფასების კრიტერიუმები. როგორც წესი, აღნიშნული კომპონენტები უცვლელად გადადიოდა პროგრამის ყოველ ახალ რედაქციაში.<sup>119</sup> სამაგიეროდ, პროგრამის გაზრდილი ბიუჯეტის ხარჯზე, იზრდებოდა და იცვლებოდა პროგრამით გათვალისწინებული ღონისძიებებისთვის საჭირო გარდამავალი და მიმდინარე ხარჯები.**

ბათუმის თვითმმართველობამ 2012 წელს კიდევ ოთხი ცვლილება შეიტანა ბათუმის ისტორიული უბნებისა და ტურისტული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის 2012 წლის პროგრამაში.<sup>120</sup> თუმცა, განსხვავებით წინა ოთხი ცვლილებისა,<sup>121</sup> აღნიშნული ცვლილებებით პროგრამის ბიუჯეტი მუდმივად

მომდევნო სამი თვის განმავლობაში ბათუმის თვითმმართველობამ პროგრამაში კიდევ ოთხი ცვლილება შეიტანა და ყოველ ჯერზე პროგრამა ახალი რედაქციით მტკიცდებოდა. პარალელურად, იზრდებოდა პროგრამის ბიუჯეტი და 2012 წლის 28 ივნისისთვის 24,724,700 ლარი შეადგინა.

<sup>112</sup> ბათუმის საკრებულოს 2012 წლის 31 იანვრის #13 განკარგულება, დანართი #1; ბათუმის საკრებულოს 2012 წლის 17 თებერვლის #31 განკარგულება, დანართი #1.

<sup>113</sup> ბათუმის საკრებულოს 2012 წლის 31 იანვრის #13 განკარგულება, დანართი #1; ბათუმის საკრებულოს 2012 წლის 17 თებერვლის #31 განკარგულება, დანართი #1.

<sup>114</sup> ბათუმის საკრებულოს 2012 წლის 12 მარტის #60 განკარგულება, დანართი #1.

<sup>115</sup> ბათუმის საკრებულოს 2012 წლის 30 მარტის #66 განკარგულება, დანართი #1.

<sup>116</sup> ბათუმის საკრებულოს 2012 წლის 30 მარტის #66 განკარგულება, დანართი #1.

<sup>117</sup> ბათუმის საკრებულოს 2012 წლის 30 მარტის #66 განკარგულება, დანართი #1; ბათუმის საკრებულოს 2012 წლის 3 მაისის #116 განკარგულება, დანართი #1; ბათუმის საკრებულოს 2012 წლის 21 მაისის #129 განკარგულება, დანართი #1; ბათუმის საკრებულოს 2012 წლის 28 ივნისის #149 განკარგულება, დანართი #1.

<sup>118</sup> ბათუმის საკრებულოს 2012 წლის 28 ივნისის #149 განკარგულება, დანართი #1.

<sup>119</sup> ბათუმის საკრებულოს 2012 წლის 30 მარტის #66 განკარგულება, დანართი #1; ბათუმის საკრებულოს 2012 წლის 3 მაისის #116 განკარგულება, დანართი #1; ბათუმის საკრებულოს 2012 წლის 21 მაისის #129 განკარგულება, დანართი #1; ბათუმის საკრებულოს 2012 წლის 28 ივნისის #149 განკარგულება, დანართი #1.

<sup>120</sup> ბათუმის საკრებულოს 2012 წლის 16 ივლისის #177 განკარგულება, დანართი #1; ბათუმის საკრებულოს 2012 წლის 27 ივლისის #187 განკარგულება, დანართი #1; ბათუმის საკრებულოს 2012 წლის 26 ოქტომბრის #247 განკარგულება, დანართი #1; ბათუმის საკრებულოს 2012 წლის 18 დეკემბრის #272 განკარგულება, დანართი #1.

<sup>121</sup> ბათუმის საკრებულოს 2012 წლის 30 მარტის #66 განკარგულება, დანართი #1; ბათუმის საკრებულოს 2012 წლის 3 მაისის #116 განკარგულება, დანართი #1; ბათუმის საკრებულოს 2012

მცირდებოდა და, საბოლოოდ, იმავე წლის 18 დეკემბერს დამტკიცებული პროგრამის ახალი რედაქციის მიხედვით, 18,333,000 ლარი შეადგინა.<sup>122</sup>

მსგავსად სხვა ცვლილებებისა, არც 2012 წლის ივლისში შეტანილ ორ ცვლილებას მოუხდენია გავლენა პროგრამის შინაარსობრივი მხარის ისეთ ნაწილებზე როგორცაა პროგრამის აღწერა, განსახორციელებელი ღონისძიებები, საბოლოო შედეგები და პროგრამის შეფასების კრიტერიუმები. ცვლილებების შედეგად შემცირებული ბიუჯეტი მხოლოდ პროგრამით გათვალისწინებული ღონისძიებებისთვის საჭირო გარდამავალი და მიმდინარე ხარჯებზე აისახა.<sup>123</sup>

**საყურადღებოა, რომ 2012 წლის პროგრამაში შეტანილი ცვლილებებიდან პირველად მხოლოდ 26 ოქტომბერს შეტანილი ცვლილებების შედეგად დამტკიცებული პროგრამის რედაქციაში შეიცვალა პროგრამის აღწერა.<sup>124</sup> თუმცა, როგორც უცნაურიც არ უნდა იყოს, პროგრამის აღწერის შინაარსობრივი მხარე და სხვადასხვა სახის სამუშაოების ჩამონათვალი მხოლოდ მაშინ გაიზარდა, როდესაც პროგრამის ბიუჯეტი 24,724,700 ლარიდან<sup>125</sup> 19,308,800 ლარამდე შემცირდა.<sup>126</sup>**

მნიშვნელოვანია ასევე, რომ იმ ცვლილებიდან, რომლებიც ბათუმის თვითმმართველობამ ბათუმის ისტორიული უბნებისა და ტურისტული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის 2012 წლის პროგრამაში შეიტანა, არც ერთს არ ახლავს დასაბუთება, თუ რით იყო განპირობებული აღნიშნული ცვლილებების განხორციელება. არც პროგრამის ბიუჯეტის გაზრდას და არც შემცირებას სათანადო გავლენა არ მოუხდენია პროგრამის საბოლოო შედეგებსა და პროგრამის შეფასების კრიტერიუმებზე.

ბათუმის ისტორიული უბნებისა და ტურისტული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის 2012 წლის პროგრამაში შეტანილი არაერთი ცვლილების შემდეგ, პროგრამამ საბოლოო სახე იმავე წლის დეკემბერში მიიღო და პროგრამის დასაფინანსებლად საჭირო თანხები, ღონისძიებების მიხედვით, შემდეგი სახით გადანაწილდა:<sup>127</sup>

პროგრამის დასაფინანსებლად საჭირო თანხები ღონისძიებების მიხედვით (ლარებში)			
დასახელება	სულ ასიგნება (გადასახდელები) მათ შორის:		
		გარდამავალი	მიმდინარე
ხარჯები			-
ლონ/ 1	შენობა-ნაგებობებისა და მიმდებარე ტერიტორიების სამშენებლო-სარეკონსტრუქციო სამუშაოები	5,529,500	3,492,400
ლონ/ 2	ექსპერტიზის, საძიებო, საპროექტო და საკონსტრუქციო სამუშაოები	-	417,900
<b>ჯამი</b>		<b>5,529,500</b>	<b>3,910,300</b>
<b>არაფინანსური აქტივების ზრდა</b>			-

არც პროგრამის ბიუჯეტის გაზრდას და არც შემცირებას სათანადო გავლენა არ მოუხდენია პროგრამის საბოლოო შედეგებსა და პროგრამის შეფასების კრიტერიუმებზე.

წლის 21 მაისის #129 განკარგულება, დანართი #1; ბათუმის საკრებულოს 2012 წლის 28 ივნისის #149 განკარგულება, დანართი #1.

<sup>122</sup> ბათუმის საკრებულოს 2012 წლის 18 დეკემბრის #272 განკარგულება, დანართი #1.

<sup>123</sup> ბათუმის საკრებულოს 2012 წლის 16 ივლისის #177 განკარგულება, დანართი #1; ბათუმის საკრებულოს 2012 წლის 27 ივლისის #187 განკარგულება, დანართი #1.

<sup>124</sup> ბათუმის საკრებულოს 2012 წლის 26 ოქტომბრის #247 განკარგულება, დანართი #1.

<sup>125</sup> ბათუმის საკრებულოს 2012 წლის 28 ივნისის #149 განკარგულება, დანართი #1.

<sup>126</sup> ბათუმის საკრებულოს 2012 წლის 26 ოქტომბრის #247 განკარგულება, დანართი #1.

<sup>127</sup> ბათუმის საკრებულოს 2012 წლის 18 დეკემბრის #272 განკარგულება, დანართი #1.

ლონ/ 1	შენობა-ნაგებობებისა და მიმდებარე ტერიტორიების სამშენებლო-სარეკონსტრუქციო სამუშაოები	-	4,700,800	-
ლონ/ 2	ექსპერტიზის, საძიებო, საპროექტო და საკონსტრუქციო სამუშაოები	560,000	201,800	-
ლონ/ 3	ქუჩების, პარკებისა, სკვერების და მოედნების სამშენებლო-სარეკონსტრუქციო სამუშაოები	150,000	1,203,400	-
ლონ/ 4	საზოგადოებრივი ველოსიპედების სისტემის მონაცობა	2,130,700	-	-
ლონ/ 5	საზაფხულო თეატრის მშენებლობა	-	6,689,000	211,200
ლონ/ 6	ალფაბეტური კოშკის მშენებლობა და მიმდებარე ტერიტორიების კეთილმონაცობა	8,746,600	542,800	
<b>ჯამი</b>		<b>11,587,300</b>	<b>13,337,800</b>	<b>211,200</b>
<b>ვალდებულებები</b>				<b>-</b>
ლონ/ ...		-	-	-
<b>ჯამი</b>		<b>-</b>	<b>-</b>	<b>-</b>
<b>სულ ჯამი</b>		<b>17,116,800</b>	<b>17,248,100</b>	<b>1,084,900</b>

ზემოთ აღნიშნული ცხრილის მიხედვით, განსაზღვრულ ღონისძიებებზე გადანიშნული თანხით შემდეგი სამუშაოები უნდა შესრულებულიყო:

- **ექსპერტიზის, საძიებო, საპროექტო და საზედამხებველო სამუშაოები** – საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა და საინჟინრო-გეოლოგიური კვლევა, სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის ექსპერტიზა, პროგრამის ფარგლებში განხორციელებული შესყიდვებისა და მშენებლობების ექსპერტიზა.
- **ქუჩების, პარკებისა და სკვერების სამშენებლო-სარეკონსტრუქციო სამუშაოები** – ძველ ბათუმში განსათავსებლად ურბანული ფურნიტურის შექმნა (ურნები, ბოძკინტები, ღობურები); ძველ ბათუმში ჭიშკრების სარესტავრაციო სამუშაოები; რუსთაველის ქუჩაზე ხემცენარეების განათება; ქალაქის ქუჩებსა და პარკებში ქანდაკებისა და სკულპტურული კომპოზიციების დამზადება- დადგმა.
- **შენობა-ნაგებობებისა და მიმდებარე ტერიტორიების სამშენებლო-სარეკონსტრუქციო სამუშაოები** – მ.აბაშიძის ქ.№25-ში მდებარე (ეროვნული ბანკის ყოფილი ფილიალის) შენობის სარეკონსტრუქციო სამუშაოები; გოგებაშვილის ქ. №14-ში შენობის რეკონსტრუქცია; გოგებაშვილის ქ. №58-ში შენობის რეკონსტრუქცია; გოგებაშვილის ქ. №26-ში შენობის ფასადის რეკონსტრუქცია; გოგებაშვილის ქ. №36/38-ში მდებარე შენობის რეკონსტრუქცია; გოგებაშვილის ქ. №42-ში მდებარე შენობის სარეაბილიტაციო სამუშაოები; გოგებაშვილის ქ. №40-42ა-ში მდებარე შენობის სარეაბილიტაციო სამუშაოები; გოგებაშვილის ქ. №44-ში შენობის ფასადის რეკონსტრუქცია; გოგებაშვილის ქ. №52-ში მდებარე შენობის სარეაბილიტაციო სამუშაოები; გოგებაშვილის ქ. №32-ში მდებარე შენობაზე ვიტრაჟების მონაცობა და განათება; კოშკი-შადრევნის შენობის მშენებლობა, საათისა და მონაცობილობების შექმნა-მონტაჟი, შენობის და მიმდებარე ტერიტორიის მოპირკეთებისა და განათების სამუშაოები; გორგასლის ქ. №47-ში მდებარე შენობის ფასადის განათების სამუშაოები; გოგებაშვილის ქ.№12-ში და №24-ში მდებარე შენობების ფასადის განათება; გოგე-



პროგრამის ბიუჯეტი წინა წლების იგივე პროგრამის ბიუჯეტზე ბევრად მცირე თანხით განისაზღვრა და მიმდინარე ხარჯის სახით 553,785 ლარი, ხოლო გარდამავალის მიხედვით – 1,108,115 ლარი შეადგინა.

ბაშვილის ქ. №58-ში მდებარე შენობის ფასადის განათება; ფარნავაზ მეფის ქ. №74-ში მდებარე შენობის ფასადის განათება; ჩკალოვის ქ. №31-ში მდებარე მეჩეთის შენობის რეკონსტრუქციის სამუშაოები; ჩკალოვის ქ. №3-ში, №4-ში, №4/31-ში, №5-ში მდებარე შენობების ფასადების რეკონსტრუქცია; იმედაშვილის ქ. №2-ში მდებარე შენობის ფასადის რეკონსტრუქცია; მ.აბაშიძის ქ. №27-ში და №29-ში მდებარე შენობების ფასადის დეკორატიული მოზაიკით მოპირკეთება; ვაჟა-ფშაველას/ფარნავაზ მეფის ქ. №35/74-ში მდებარე შენობის სარეაბილიტაციო სამუშაოები; ვაჟა-ფშაველას ქ.№33-ში, მახნიაშვილის ქ.№34-ში, გორგასლის ქ.№10-ში და ქუთაისის ქ. №31,33-ში მდებარე შენობების სარეაბილიტაციო სამუშაოები; ჭავჭავაძის ქ. №6-ში მდებარე შენობის სარეაბილიტაციო სამუშაოები; რუსთაველის ქ. №41-ში მდებარე შენობის სარეაბილიტაციო სამუშაოები; პროგრამის ფარგლებში შენობა-ნაგებობების დემონტაჟი; გორგილაძის ქ. №2-ში საათის მონტაჟი; დრამატული თეატრის მიმდებარე ტერიტორიაზე და შენობებზე სარეკლამო ეკრანების განთავსება; ძველ ბათუმში სადარბაზოებში ხის კარების მონტაჟი; გორგასლისა და ლ.ასათიანის ქუჩაზე მდებარე შენობების რეაბილიტაცია; ქუთაისის ქ. №8-ში მდებარე შენობის რეაბილიტაცია; წმინდა ნიკოლოზის სახელობის ეკლესიის ფასადის იზოლაციის სამუშაოები, ისტორიული და ტურისტული დანიშნულების მქონე სხვა შენობა-ნაგებობების რეაბილიტაცია.

- **ალფაბეტური კოშკის მშენებლობა და მიმდებარე ტერიტორიების კეთილმოწყობა** – ალფაბეტური კოშკის მშენებლობა; ალფაბეტური კოშკის კონსტრუქციის შედუღება და ლიფტების დამონტაჟების ხარისხის კონტროლი; ალფაბეტური კოშკის მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობა, პარკის მშენებლობა, ურბანული ფურნიტურის მონტაჟი, გარე განათების მოწყობა; ალფაბეტური კოშკის მიმდებარე ტერიტორიაზე საზოგადოებრივი ტუალეტის მშენებლობა.
- **საზოგადოებრივი ველოსიპედების სისტემის მოწყობა** – საზოგადოებრივი ველოსიპედების სისტემის შექმნა-მონტაჟი (250 ველოსიპედი, 20 ტერმინალი).
- **საზაფხულო თეატრის მშენებლობა და მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობა** – საზაფხულო თეატრის მშენებლობა 1200 მაყურებელზე, საზაფხულო თეატრის გახმოვანება-განათების აპარატურისა და კონსტრუქციების შექმნა-მონტაჟი, საზაფხულო თეატრის აღჭურვა საჭირო ინვენტარით და ავეჯით.<sup>128</sup>

მთლიანობაში, 2012 წლის პროგრამაში დასაბუთების გარეშე შეტანილი ცვლილებების ინტენსივობის, ასევე, ბიუჯეტის გაზრდა-შემცირების, პროგრამის აღწერის, მოსალოდნელი შედეგების და შეფასების კრიტერიუმების გათვალისწინებით, ბათუმის ისტორიული უბნებისა და ტურისტული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის 2012 წლის პროგრამა უფრო სპონტანურად დაგეგმილის და არა – ობიექტურ გათვლებზე დაფუძნებულის შთაბეჭდილებას ტოვებს.

### 2.5. 2013 წელი

ბათუმის ისტორიული უბნებისა და ტურისტული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის 2013 წლის პროგრამა ბათუმის საკრებულომ 2012 წლის 31 დეკემბერს ბათუმის მერიის კეთილმოწყობის სამსახურის კომპეტენციას მიკუთვნებულ პროგრამებთან ერთად დაამტკიცა. თუმცა, პროგრამის ბიუჯეტი წინა წლების იგივე პროგრამის ბიუჯეტზე ბევრად მცირე თანხით განისაზღვრა და მიმდინარე ხარჯის სახით 553,785 ლარი, ხოლო გარდამავალის მიხედვით – 1,108,115 ლარი შეადგინა.<sup>129</sup>

<sup>128</sup> ბათუმის საკრებულოს 2012 წლის 18 დეკემბრის #272 განკარგულება, დანართი #1.

<sup>129</sup> ბათუმის საკრებულოს 2012 წლის 31 დეკემბრის #297 განკარგულების პირველი პუნქტის „კ“ ქვეპუნქტი, დანართი #10.

პროგრამის თავდაპირველი რედაქციის მიხედვით განსახორციელებელ ღონისძიებათა შორის მხოლოდ სამი აქტივობა მოიაზრებოდა და ზემოთ აღნიშნული თანხები შემდეგი სახით ნაწილდებოდა:<sup>130</sup>

პროგრამის დასაფინანსებლად საჭირო თანხები ღონისძიებების მიხედვით (ლარებში)					
№	ღონისძიების დასახელება	გადასახდელის ეკონომიკური კატეგორია (ხარჯი, არაფინანსური აქტივები, ვალდებულებები)	სულ თანხა, მათ შორის:		
			გარდამავალი	მიმდინარე	მიმდინარეს შემდგომი
ა	ადგილობრივი ბიუჯეტი		1,108,115	553,785	0
1	საზაფხულო თეატრის მშენებლობა	არაფინანსური აქტივები	234,415	553,785	
2	გოგებაშვილის ქ. №40-42ა-ში მდებარე შენობის სარეაბილიტაციო სამუშაოები	ხარჯი	558,000	-	
3	გოგებაშვილის ქ. №44-ში მდებარე შენობის სარეკონსტრუქციო სამუშაოები	ხარჯი	315,700	-	
ბ	სხვა		0	0	0
ჯამი			1,108,115	553,785	0

როგორც ზემოთ მოყვანილი ცხრილიდან იკვეთება, 2013 წლის პროგრამის დამტკიცების დროს, ბათუმის თვითმმართველობას, რეალურად, მხოლოდ საზაფხულო თეატრის მშენებლობისთვის ჰქონდა თანხა, ხოლო დანარჩენი ორი აქტივობისთვის საჭირო თანხა მიმდინარე ხარჯებში არ ფიქსირდებოდა.

პირველად 2013 წლის პროგრამაში შემოვიდა განსახორციელებელი ღონისძიების დეტალური აღწერა და როგორც პროგრამაში იყო მითითებული, თითოეული განსახორციელებელი ღონისძიება შემდეგი სამუშაოების შესრულებას ითვალისწინებდა:

- **საზაფხულო თეატრის მშენებლობა და მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობა** – 1200 მაყურებელზე გათვლილი საზაფხულო თეატრის მშენებლობა, საზაფხულო თეატრის შესასვლელი ჰოლის იატაკსა და კიბეებზე გრანიტის ფილების დაგება, საზაფხულო თეატრის დარბაზში ჭერის შემოსვა-მოხატვა, ჭალების შექმნა-მონტაჟი. საზაფხულო თეატრის დარბაზის გათბობა-ვენტილაცია.
- **გოგებაშვილის ქ. №40-42ა-ში მდებარე შენობის სარეაბილიტაციო სამუშაოები** – ძველი შენობის დემონტაჟი და ახალის აშენება, ფასადის მოპირკეთება, მანსარდისა და სახურავის მოწყობა, დეკორატიული ორნამენტების და ფიგურების მოწყობა.
- **გოგებაშვილის ქ. №44-ში მდებარე შენობის სარეკონსტრუქციო სამუშაოები** – ძველი შენობის ნაწილობრივი დემონტაჟი, საძირკვლის გამაგრება, ტიხრების მოწყობა შენობაში, მანსარდისა და სახურავის მოწყობა, დეკორატიული ორნამენტების მოწყობა, ფასადის შეღებვა.<sup>131</sup>

2013 წლის პროგრამის დამტკიცების დროს, ბათუმის თვითმმართველობას, რეალურად, მხოლოდ საზაფხულო თეატრის მშენებლობისთვის ჰქონდა თანხა, ხოლო დანარჩენი ორი აქტივობისთვის საჭირო თანხა მიმდინარე ხარჯებში არ ფიქსირდებოდა.

<sup>130</sup> ბათუმის საკრებულოს 2012 წლის 31 დეკემბრის #297 განკარგულების პირველი პუნქტის „კ“ ქვეპუნქტი, დანართი #10.  
<sup>131</sup> ბათუმის საკრებულოს 2012 წლის 31 დეკემბრის #297 განკარგულების პირველი პუნქტის „კ“ ქვეპუნქტი, დანართი #10.

პროგრამას დაემატა ალფაბეტური კოშკის მშენებლობისა და მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობის, ასევე, ექსპერტიზის, საძიებო, საპროექტო და საზედამხედველო სამუშაოები. ბათუმის თვითმმართველობამ ორივე ღონისძიების აღწერის ნაწილში წინა წლებში გაფორმებული ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დაფარვა მიუთითა.

ბათუმის ისტორიული უბნებისა და ტურისტული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის 2013 წლის პროგრამაში შეიცვალა პროგრამის მოსალოდნელი შედეგები და მიღებული შედეგების შეფასების კრიტერიუმები. პროგრამის მიხედვით, მოსალოდნელ შედეგებად მიჩნეულ იქნა: ქალაქის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება და ქალაქის ტურისტული პოტენციალის და საერთაშორისო ცნობადობის გაზრდა, ხოლო ამ შედეგების შეფასების კრიტერიუმებად – დამატებით შექმნილი ტურისტული და დასვენების ობიექტები და მოზიდულ ტურისტთა და ვიზიტორთა რაოდენობის განსაზღვრა.<sup>132</sup>

2013 წლის პროგრამაში პირველი ცვლილება იმავე წლის იანვრის თვეში იქნა შეტანილი და პროგრამის მიმდინარე ბიუჯეტი 573,785 ლარამდე გაიზარდა, ხოლო ბიუჯეტის გარდამავალი ნაწილი 2,326,115 ლარით განისაზღვრა.<sup>133</sup>

ცვლილების მიუხედავად, უცვლელი დარჩა პროგრამის ისეთი კომპონენტები, როგორცაა მოსალოდნელი შედეგები და შედეგების შეფასების კრიტერიუმები. თუმცა, შეიცვალა განსახორციელებელ ღონისძიებათა ჩამონათვალი და მათი აღწერა.<sup>134</sup>

შედეგად, პროგრამას დაემატა ალფაბეტური კოშკის მშენებლობისა და მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობის, ასევე, ექსპერტიზის, საძიებო, საპროექტო და საზედამხედველო სამუშაოები. ბათუმის თვითმმართველობამ ორივე ღონისძიების აღწერის ნაწილში წინა წლებში გაფორმებული ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დაფარვა მიუთითა და ამ მიზნისთვის ხარჯების გარდამავალ ნაწილში ალფაბეტურ კოშკთან დაკავშირებით 186,300 ლარი, ხოლო, ექსპერტიზის, საძიებო, საპროექტო და საზედამხედველო სამუშაოებისთვის 105,000 ლარის გადახდა დაგეგმა.<sup>135</sup>

2013 წლის პროგრამაში შეტანილი პირველი ცვლილების მიხედვით, ბათუმის ისტორიული უბნებისა და ტურისტული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის პროგრამით გათვალისწინებული ღონისძიებებისთვის საჭირო თანხები შემდეგნაირად გამოიყურებოდა:<sup>136</sup>

პროგრამის დასაფინანსებლად საჭირო თანხები ღონისძიებების მიხედვით (ლარებში)					
№	ღონისძიების დასახელება	გადასახდელის ეკონომიკური კატეგორია (ხარჯი, არაფინანსური აქტივები, ვალდებულებები)	სულ თანხა, მათ შორის:		
			გარდამავალი	მიმდინარე	მიმდინარეს შემდგომი
ა	ადგილობრივი ბიუჯეტი		2,326,115	573,785	0
1	საზაფხულო თეატრის მშენებლობა	არაფინანსური აქტივები	441,815	553,785	

<sup>132</sup> ბათუმის საკრებულოს 2012 წლის 31 დეკემბრის #297 განკარგულების პირველი პუნქტის „კ“ ქვეპუნქტი, დანართი #10.

<sup>133</sup> ბათუმის საკრებულოს 2013 წლის 31 იანვრის #2 განკარგულების პირველი პუნქტის „გ.თ“ ქვეპუნქტი, დანართი #10.

<sup>134</sup> ბათუმის საკრებულოს 2013 წლის 31 იანვრის #2 განკარგულების პირველი პუნქტის „გ.თ“ ქვეპუნქტი, დანართი #10.

<sup>135</sup> ბათუმის საკრებულოს 2013 წლის 31 იანვრის #2 განკარგულების პირველი პუნქტის „გ.თ“ ქვეპუნქტი, დანართი #10.

<sup>136</sup> ბათუმის საკრებულოს 2013 წლის 31 იანვრის #2 განკარგულების პირველი პუნქტის „გ.თ“ ქვეპუნქტი, დანართი #10.

2	შენობა-ნაგებობებისა და მიმდებარე ტერიტორიების სამშენებლო-სარეკონსტრუქციო სამუშაოები	ხარჯი	1,573,800	-	
		არაფინანსური აქტივები	19,200	-	
3	ექსპერტიზის, საძიებო, საპროექტო და საზედამხედველო სამუშაოები	არაფინანსური აქტივები	105,000	-	
4	ალფაბეტური კომპის მშენებლობა და მიმდებარე ტერიტორიების კეთილმოწყობა	არაფინანსური აქტივები	186,300	-	
ბ	სხვა		0	0	0
	ჯამი		2,326,115	573,785	0

ანგარიშზე მუშაობის დროს საიასთვის 2013 წლის პროგრამაში შეტანილი კიდევ ორი ცვლილების შესახებ გახდა ცნობილი. პირველი მათგანი ბათუმის საკრებულომ მარტის თვეში მიიღო და პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელ ღონისძიებათა ჩამონათვალს ქუჩების, პარკებისა და სკვერების სამშენებლო-სარეკონსტრუქციო სამუშაოები დაემატა, რაც ზ. გორგილაძის ქუჩაზე არსებულ სკვერში ცილინდრული ფორმის სარეკლამო ეკრანის ელექტროენერჯის ქსელში ჩართვასაც გულისხმობდა.<sup>137</sup> ცვლილების მიხედვით, პროგრამის მთლიანი მიმდინარე ბიუჯეტი 457,985 ლარით განისაზღვრა, ხოლო გარდამავალი ნაწილი – 2,670,715 ლარით.<sup>138</sup>

2013 წლის პროგრამაში შეტანილი ბოლო ცვლილება, რომლის შესახებაც საიამ ანგარიშზე მუშაობის პერიოდში შეიტყო, იმავე წლის 23 მაისს იქნა მიღებული. ცვლილება პროგრამის მიმდინარე ხარჯებს შეეხო და ის 527,985 ლარამდე გაიზარდა. გაზრდილი მიმდინარე ხარჯი კი, საზაფხულო თეატრის მშენებლობისა და მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობისთვის იქნა მიმართული.<sup>139</sup>

**2.6. დასკვნა**

ამრიგად, ბათუმის თვითმმართველობის მიერ 2009-2013 წლებში განხორციელებული ბათუმის „ისტორიული უბნებისა და ტურისტული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის პროგრამის“ ანალიზის შედეგად ცნობილი ხდება, რომ პროგრამის შემუშავება არ იყო დაფუძნებული ზუსტ და ამომწურავ ინფორმაციაზე. პარალელურად, შესაბამისი წლების პროგრამის მსვლელობის დროს მუდმივად იცვლებოდა პროგრამა და ყოველ ჯერზე, შეტანილი ცვლილების მიხედვით, პროგრამა ახალი რედაქციით მტკიცდებოდა. ამასთან, არც ერთ ცვლილებას, რომელიც 2009-2013 წლებში იქნა შეტანილი, არ ახლავს რაიმე სახის დასაბუთება.

2009-2013 წლების პროგრამა მოკლებულია შესასრულებელი სამუშაოების შეფასების კრიტერიუმების შესახებ ინფორმაციას, რაც თავისთავად აჩენს კითხვებს იმის შესახებ, თუ რამდენად სათანადოდ და ობიექტურ მონაცემებზე დაყრდნობით ხდებოდა ყოველი მომდევნო წლის პროგრამის დაგეგმვა.

<sup>137</sup> ბათუმის საკრებულოს 2013 წლის 29 მარტის #36 განკარგულების პირველი პუნქტის „ბ.ზ“ ქვეპუნქტი, დანართი #10.

<sup>138</sup> ბათუმის საკრებულოს 2013 წლის 29 მარტის #36 განკარგულების პირველი პუნქტის „ბ.ზ“ ქვეპუნქტი, დანართი #10.

<sup>139</sup> ბათუმის საკრებულოს 2013 წლის 23 მაისის #80 განკარგულების პირველი პუნქტის „ბ.გ“ ქვეპუნქტი, დანართი #10.

*2013 წლის პროგრამაში შეტანილი ბოლო ცვლილება, რომლის შესახებაც საიამ ანგარიშზე მუშაობის პერიოდში შეიტყო, იმავე წლის 23 მაისს იქნა მიღებული. ცვლილება პროგრამის მიმდინარე ხარჯებს შეეხო და ის 527,985 ლარამდე გაიზარდა.*

### 3. შემსრულებელი კომპანიები


2009 წლიდან მოყოლებული, ბათუმის ისტორიული უბნებისა და ტურისტული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის 2009-2013 წლების პროგრამის ფარგლებში, ბათუმის მერიამ 76 პირთან ჯამში 207,284,988 ლარის ღირებულების 414 კონტრაქტი გააფორმა.<sup>140</sup>

ბათუმის ისტორიული უბნებისა და ტურისტული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის 2009-2013 წლების ყველა პროგრამაში მითითებულია, რომ პროგრამის ფარგლებში დაგეგმილი შესყიდვები სახელმწიფო შესყიდვების კანონმდებლობით დადგენილი წესით უნდა მომხდარიყო.

ბათუმის მერიის მიერ მონოდედებული ინფორმაციის მიხედვით, 2009-2013 წლებში პროგრამის ფარგლებში ყველაზე მეტი – 65 კონტრაქტი შპს „Creative Impressions Caucasus“-თან გაფორმდა, ხოლო გაფორმებული კონტრაქტების ღირებულების გათვალისწინებით, ყველაზე მეტი – ჯამში 59,113,658 ლარის ღირებულების – კონტრაქტი შპს „CDM DOMINGO Y LAZARO INGENIEROS. S.I.“-თან იქნა გაფორმებული.<sup>141</sup>

წარმოდგენილი კვლევის წინამდებარე თავში საია ბათუმის ისტორიული უბნებისა და ტურისტული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის 2009-2013 წლების პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული სამუშაოებისა და მომსახურების შესყიდვის მიზნით, ბათუმის მერიის მიერ შერჩეული კომპანიების მხოლოდ ნაწილს ეხება და ისიც გარკვეული სპეციფიკის გათვალისწინებით, რაც უშუალოდ შემსრულებელი კომპანიების კვლევას არ მოიცავს. ინფორმაცია 2009-2013 წლების პროგრამის ფარგლებში ბათუმის მერიის მიერ შერჩეული ყველა კომპანიის, შესასრულებელი სამუშაოს/მომსახურების და ხელშეკრულებით გათვალისწინებული ღირებულების შესახებ კვლევაში დანართის სახით არის წარმოდგენილი.<sup>142</sup>


2009-2013 წლებში ბათუმის ისტორიული უბნებისა და ტურისტული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის პროგრამის ფარგლებში გაფორმებული კონტრაქტების რაოდენობის მიხედვით, ათეულში შემდეგი კომპანიები ხვდებიან:<sup>143</sup>




ბათუმის ისტორიული უბნებისა და ტურისტული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის 2009-2013 წლების პროგრამის ფარგლებში, ბათუმის მერიამ 76 პირთან ჯამში 207,284,988 ლარის ღირებულების 414 კონტრაქტი გააფორმა.

<sup>140</sup> ბათუმის მერიის 2013 წლის 1 აპრილის #04-04/4001 კორესპონდენცია;  
<sup>141</sup> ბათუმის მერიის 2013 წლის 1 აპრილის #04-04/4001 კორესპონდენცია;  
<sup>142</sup> იხ. დანართი #1;  
<sup>143</sup> ბათუმის მერიის 2013 წლის 1 აპრილის #04-04/4001 კორესპონდენცია;

იგივე პროგრამის ფარგლებში 2009-2013 წლებში გაფორმებული კონტრაქტების ჯამური ღირებულების გათვალისწინებით, ათეულს შემდეგი კომპანიები ავსებენ:<sup>144</sup>




რაც შეეხება 10 ყველაზე დიდ კონტრაქტს, რომლებიც 2009-2013 წლებში ბათუმის ისტორიული უბნებისა და ტურისტული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის პროგრამის ფარგლებში ბათუმის თვითმმართველობის მიერ იქნა გაფორმებული, შემდეგია:



<sup>144</sup> ბათუმის მერიის 2013 წლის 1 აპრილის #04-04/4001 კორესპონდენცია;

ისეთმა შპს-ებმა, როგორცაა: „ანაგი“, „გზა“, „ზიმო“ და „ფიროსმანი“, 2010 წელს ერთიან ნაციონალურ მოძრაობას იურიდიული პირებისთვის კანონმდებლობით განსაზღვრული მაქსიმალური თანხა შესწირეს.

საინტერესოა, რომ კომპანიების ნაწილი, რომლებიც 2009-2013 წლებში ბათუმის ისტორიული უბნებისა და ტურისტული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული სამუშაოების შემსრულებელ მხარეს წარმოადგენდნენ, პოლიტიკური გაერთიანება ერთიანი ნაციონალური მოძრაობის შემწირველებიც იყვნენ. საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის ვებ-გვერდზე<sup>145</sup> დაცული ინფორმაციის მიხედვით, მარტო 2010 წელს ერთიანი ნაციონალური მოძრაობის შემწირველების სიაში ფიგურირებდნენ შემდეგი კომპანიები:<sup>146</sup>



მნიშვნელოვანია, რომ მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ საქართველოს კანონის 2010 წელს მოქმედი რედაქცია აწესებდა იურიდიული პირების მიერ პოლიტიკური სუბიექტებისთვის ერთი წლის განმავლობაში შესანიშნავი თანხის მაქსიმალურ ზღვარს – 100,000 ლარის ფარგლებში.<sup>147</sup> შესაბამისად, როგორც ზემოთ მოყვანილი დიაგრამიდან ჩანს, ისეთმა შპს-ებმა, როგორცაა: „ანაგი“, „გზა“, „ზიმო“ და „ფიროსმანი“, 2010 წელს ერთიან ნაციონალურ მოძრაობას იურიდიული პირებისთვის კანონმდებლობით განსაზღვრული მაქსიმალური თანხა შესწირეს.

ამასთან, მიუხედავად იმისა, რომ ანგარიშზე მუშაობის დროს საიას მიზანს არ წარმოადგენდა კონკრეტული შემსრულებელი კომპანიების სიღრმისეული კვლევა, რამდენიმე კომპანიასთან დაკავშირებით მაინც მოგვინია გარკვეულ საკითხებთან შეხება, რაც წარმოდგენილი კვლევის მომდევნო თავშია ასახული.

<sup>145</sup> [http://www.cec.gov.ge/;](http://www.cec.gov.ge/)

<sup>146</sup> <http://old.cec.gov.ge/financial/?lang=geo;>

<sup>147</sup> საქართველოს ორგანული კანონი მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ; მუხლი 27; 2011 წლის 28 დეკემბრამდე რედაქცია;

#### 4. ინფორმაციული პროექტი

ბათუმის ისტორიული უბნებისა და ტურისტული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის 2009-2013 წლების პროგრამის ფარგლებში, ბათუმში არაერთი პროექტი დაფინანსდა. ბუნებრივია, პროექტის მასშტაბების და ბიუჯეტის გათვალისწინებით, ყველა იმ ღონისძიების განხილვა, რომელიც პროექტის ფარგლებში განხორციელდა, წარმოდგენილ კვლევაში ვერ მოხდებოდა.

შესაბამისად, ანგარიშზე მუშაობის დროს საიამ აქცენტი იმ ღონისძიებებზე გააკეთა, რომლებზე დახარჯული თანხაც ბევრად აღემატებოდა სხვა ღონისძიებებზე დახარჯულ თანხას.

მიუხედავად იმისა, რომ ანგარიშში პროგრამის ფარგლებში დაფინანსებული ყველა პროექტი ვერ მოხვდა, ვფიქრობთ, ის ძირითადი მიგნებები, რომლებიც კვლევის პერიოდში გამოიკვეთა, ნათლად მიუთითებს ბათუმის ისტორიული უბნებისა და ტურისტული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის 2009-2013 წლების პროგრამის ფარგლებში დაფინანსებული პროექტების ძირითად ტენდენციებზე.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ანგარიშში შევიდა ისეთი პროექტებიც, რომლებიც მართალია პროგრამის ფარგლებში დაფინანსდა და მილიონობით ლარი იქნა გადახდილი სამუშაოების შესრულებაში, მაგრამ საბოლოოდ ობიექტი არ აშენდა ან პროექტი მნიშვნელოვნად შეიცვალა.

##### 4.1. ალფაბეტური კოშკი

ბათუმის ისტორიული უბნებისა და ტურისტული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის 2009-2013 წლების პროგრამა ნათლად მოწმობს, რომ განხორციელებულ პროექტებს შორის ყველაზე დიდი თანხა ალფაბეტური კოშკის მშენებლობაზე იქნა მიმართული და გაფორმებული კონტრაქტების მთლიანმა ღირებულებამ 59,724,541 ლარი შეადგინა, რაც 2009-2013 წლების პროგრამის მთლიანი ბიუჯეტის 30%-ს შეადგენს.<sup>148</sup>

შესაბამისად, საიამ წერილობით მიმართა ბათუმის მერიას და ალფაბეტური კოშკის მშენებლობასთან დაკავშირებით გაფორმებული ყველა ხელშეკრულებისა და ამ ხელშეკრულებებით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულების დამადასტურებელი მიღება-ჩაბარების აქტების ასლები გამოითხოვა. ბათუმის მერიას ასევე უნდა გაეცა პასუხი კითხვაზე, სახელმწიფო შესყიდვის რომელი ფორმა იქნა გამოყენებული ბათუმის მერიის მიერ ალფაბეტური კოშკის მშენებლობისთვის.<sup>149</sup>

განცხადებით მოთხოვნილი ინფორმაციის პასუხად, ბათუმის მერიამ საიას მხოლოდ ალფაბეტური კოშკის მშენებლობის პროცესში გამოყენებული სახელმწიფო შესყიდვის ფორმის შესახებ ინფორმაცია მიაწოდა და აღნიშნა, რომ ალფაბეტური კოშკის მშენებლობის პროცესში სახელმწიფო შესყიდვები გამარტივებული შესყიდვის საშუალებით ხორციელდებოდა. **რაც შეეხება განცხადებით მოთხოვნილ დანარჩენ ინფორმაციას, ბათუმის მერიის მიერ არ იქნა გაცემული იმ მოტივით, რომ დოკუმენტების ორიგინალები 2013 წლის 11 იანვარს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სავაჭროდებო სამსახურის მიერ იყო ამოღებული.**<sup>150</sup>

ამრიგად, ანგარიშზე მუშაობის დროს საიასთვის ცნობილი გახდა, რომ ბათუმის ისტორიული უბნებისა და ტურისტული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის 2009-2013 წლების პროგრამის ფარგლებში დაფინანსებული ყველაზე

<sup>148</sup> ბათუმის მერიის 2013 წლის 1 აპრილის #04-04/4001 კორესპონდენცია;

<sup>149</sup> საიას 2013 წლის 13 მაისის #გ-04/186-13 განცხადება;

<sup>150</sup> ბათუმის მერიის 2013 წლის 27 მაისის #04-04/13849 კორესპონდენცია;

თემა 4

*ანგარიშში შევიდა ისეთი პროექტებიც, რომლებიც მართალია პროგრამის ფარგლებში დაფინანსდა და მილიონობით ლარი იქნა გადახდილი სამუშაოების შესრულებაში, მაგრამ საბოლოოდ ობიექტი არ აშენდა ან პროექტი მნიშვნელოვნად შეიცვალა.*



დიდი პროექტის ფარგლებში გაფორმებული ხელშეკრულებები საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის მიერ იყო ამოღებული. აღნიშნული გარემოება კი, თავისთავად აჩენს კითხვებს პროექტის შესახებ.

შესაბამისად, ალფაბეტურ კომპიან დაკავშირებით ქვემოთ მოყვანილი ყველა ინფორმაცია, ძირითადად, 2012 წლის სექტემბრის თვეში ბათუმის მერიის მიერ გაზეთ „ბათუმელებისთვის“ საჯარო ინფორმაციის ფორმით მიწოდებული ოფიციალური დოკუმენტების ანალიზის შედეგად არის მომზადებული,<sup>151</sup> ხოლო ნაწილი – ბათუმის მერიის მიერ საიასთვის მიწოდებული ბათუმის ისტორიული უბნებისა და ტურისტული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის 2009-2013 წლების პროგრამის ფარგლებში გაფორმებული ხელშეკრულებების საფუძველზე.

სამწუხაროდ, ბათუმის მერიამ თავის დროზე „გაზეთ ბათუმელებს“ მოთხოვნილი ინფორმაცია სრულყოფილი სახით არ მიაწოდა, თუმცა, რაც მიაწოდა, სრულებით საკმარისია იმის საილუსტრაციოდ, თუ როგორ, რა ფორმით და რამდენად ფორსირებულ რეჟიმში ხდებოდა ალფაბეტური კომპიანის მშენებლობა ბათუმში.

ბათუმის მერიის მიერ საიასთვის მიწოდებული სიის თანახმად, რომელიც ბათუმის ისტორიული უბნებისა და ტურისტული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის 2009-2013 წლების პროგრამის ფარგლებში გაფორმებულ ხელშეკრულებებს შეეხება, ალფაბეტური კომპიანის მშენებლობის პროცესში ბათუმის მერიამ სულ შვიდ პირთან გააფორმა ხელშეკრულებები სახელმწიფო შესყიდვების შესახებ. სახელშეკრულებო თანხების მთლიანი ოდენობა შემდეგნაირად ნაწილდება:

№	ორგანიზაცია	ხელშეკრულებების საერთო რაოდენობა	ხელშეკრულებების საერთო ღირებულება ლარი
1	შპს „ზიმო“	2	1,025,147
2	სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო	1	300,000
3	შპს „გზა“	2	2,574,603
4	“APPLUS+Norcontrol S.L.U.”	1	144,759
5	შპს „კომპანია ბლექ სი გრუპი“	3	5,405,436
6	შპს “CDM DOMINGO Y LAZARO INGENIEROS. S.I.” წარმომადგენლობა საქართველოში	1	752,000
7	შპს “CDM DOMINGO Y LAZARO INGENIEROS. S.I.”	1	49,522,596
	სულ	11	59,724,541

ზემოთ აღნიშნულ ცხრილში მოყვანილი ჯამური თანხა 59,724,541 ლარი მეტწილად განსხვავდება იმ ციფრისგან, რომელიც ბათუმის მერიამ თავის დროზე „გაზეთ ბათუმელებს“ მიაწოდა. შესაბამისად, ბექდური მედიასამუშაოებისთვის მიწოდებული ინფორმაციის თანახმად, იგივე შვიდ იურიდიულ პირთან გაფორმებული ხელშეკრულებების სახელშეკრულებო თანხების მთლიანი ოდენობა შემდეგნაირად ნაწილდება:

<sup>151</sup> ბათუმის მერიის 2012 წლის 12 სექტემბრის #04-04/23828 კორესპონდენცია;

№	ორგანიზაცია	ხელშეკრულებების საერთო რაოდენობა	ხელშეკრულებების საერთო ღირებულება	
			ლარი	ევრო
1	შპს „ზიმო“	2	1,600,000	-
2	სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო	1	300,000	-
3	შპს „გზა“	2	2,731,829	
4	„APPLUS + Norcontrol S.L.U“	1	-	52,800
5	შპს „კომპანია ბლექ სი გრუპი“	3	5,915,930	-
6	შპს „CMD DOMINGO Y LAZARO INGENIEROS“ წარმომადგენლობა საქართველოში	1	752,000	
7	შპს „CMD DOMINGO Y LAZARO INGENIEROS“	1	-	16,000,000
	სულ	11	11,299,759	16,052,800
	საერთო თანხა ლარებში <sup>1</sup>	11	50,827,433	

არც ერთი კონტრაქტი, რომელიც ბათუმის მერიის მიერ იქნა მიწოდებული მედია საშუალებისთვის, არ შეიცავს ინფორმაციას შესრულებული სამუშაოს მიღება-ჩაბარების აქტების შესახებ.

ქვემოთ, წარმოდგენილია ინფორმაცია თითოეულ კომპანიასთან გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულებების შესახებ, რომელიც ბათუმის მერიის მიერ 2012 წლის სექტემბრის თვეში „გაზეთ ბათუმელებისთვის“ მიწოდებული ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე მომზადდა. თუმცა, თავიდანვე უნდა აღინიშნოს, რომ არც ერთი კონტრაქტი, რომელიც ბათუმის მერიის მიერ იქნა მიწოდებული მედია საშუალებისთვის, არ შეიცავს ინფორმაციას შესრულებული სამუშაოს მიღება-ჩაბარების აქტების შესახებ.<sup>152</sup>

**4.1.1. შპს „ზიმო“**

შპს „ზიმოსთან“ პირველი კონტრაქტი ბათუმის მერიამ 2010 წლის 25 ნოემბერს გააფორმა და ხელშეკრულების საგნად ალფაბეტური კოშკის მშენებლობისთვის მოსამზადებელი სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვა განსაზღვრა. სახელშეკრულებო სამუშაოების მთლიანი ღირებულება 1,000,000 ლარს შეადგენდა. ხელშეკრულებით აღებული ვალდებულებები შპს „ზიმოს“ 2011 წლის 1 თებერვლამდე უნდა შეესრულებინა.<sup>153</sup>

ხელშეკრულების მიხედვით, შპს „ზიმოს“ უნდა განეხორციელებინა ისეთი ღონისძიებები, როგორცაა: დროებითი ელ-მომარაგებისა და წყალ-მომარაგების სისტემების გაკეთება, რკინა ბეტონის ფილებით დროებითი გზის მოწყობა, ასევე, სამშენებლო მოედნის და გზების მოსწორება ბუღ-დოზერით, ბურღვა-აფეთქებითი სამუშაოები და სხვა.<sup>154</sup>

შპს „ზიმოსთან“ მეორე კონტრაქტი ბათუმის მერიამ 2011 წლის 27 იანვარს გააფორმა და ამჯერადაც ხელშეკრულების საგნად ალფაბეტური კოშკის მშენებლობისთვის მოსამზადებელი სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვა განისაზღვრა.<sup>155</sup> საინტერესოა, რომ, ისევე როგორც შპს „ზიმოსთან“ გა-

<sup>152</sup> ბათუმის მერიის 2012 წლის 12 სექტემბრის #04-04/23828 კორესპონდენცია;  
<sup>153</sup> 2010 წლის 25 ნოემბრის #443 ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ; მხარეები: თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის მერია და შპს „ზიმო“;  
<sup>154</sup> 2010 წლის 25 ნოემბრის #443 ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ; მხარეები: თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის მერია და შპს „ზიმო“;  
<sup>155</sup> 2011 წლის 27 იანვრის #5 ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ; მხარეები: თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის მერია და შპს „ზიმო“;

ალფაბეტური კოშკის მშენებლობისთვის მოსამზადებელი სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვის პროცესში ბათუმის მერიამ ერთ პირთან მოლაპარაკებისა და გამარტივებული სახელმწიფო შესყიდვის ფორმა გამოიყენა.

ფორმებული პირველი ხელშეკრულების დროს, მეორე შემთხვევაშიც სახელშეკრულებო თანხა მრგვალი ციფრი აღმოჩნდა და 600,000 ლარი შეადგინა.<sup>156</sup>

2011 წლის 27 იანვარს შპს „ზიმოსთან“ გაფორმებული ხელშეკრულების მიხედვით, კომპანიას აღებული ვალდებულებები 2011 წლის 1 აპრილამდე უნდა შეესრულებინა. თუმცა, ხელშეკრულებაზე თანდართული შესასრულებელი გეგმა-გრაფიკის მიხედვით, სამუშაოები თებერვლის თვის ჩათვლით უნდა დასრულებულიყო.<sup>157</sup>

ხელშეკრულების თანახმად, შპს „ზიმოს“, გარდა იმისა, რომ უნდა შეესრულებინა იმავე ტიპის სამუშაოები, რომელსაც ითვალისწინებდა შპს „ზიმოსთან“ 2010 წლის 25 ნოემბერს გაფორმებული ხელშეკრულება, ასევე, უნდა განხორციელებულიყო ისეთი სამუშაოები, როგორცა: ნანგრევების დანანგრევა პნევმო-ჩაქუჩით, ნანგრევების დატვირთვა ექსკავატორით ა/თვითმცლელზე, ტრანსპორტირება ნაგავსაყრელზე და სხვა.<sup>158</sup>

2011 წლის 4 აპრილს მხარეებს შორის მიღწეული შეთანხმების მიხედვით, ცვლილებები განხორციელდა ბათუმის მერიასა და შპს „ზიმოს“ შორის 2011 წლის 27 იანვარს გაფორმებულ ხელშეკრულებაში. **ხელშეკრულების მოქმედების ვადის ამოწურვის შემდეგ ხელშეკრულებაში შეტანილი ცვლილების მიხედვით, მთლიანი სახელშეკრულებო თანხა 74,853 ლარით შემცირდა.** აღნიშნულის მიზეზად კი, ბათუმის მერიის მიერ კომპანიისთვის უსასყიდლოდ გადაცემული რკინაბეტონის ფილები იქნა დასახელებული.<sup>159</sup>

**ალფაბეტური კოშკის მშენებლობისთვის მოსამზადებელი სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვის შესახებ შპს „ზიმოსთან“ გაფორმებულ არც ერთ ხელშეკრულებას არ ახლავს მიღება-ჩაბარების აქტი შესრულებული სამუშაოების შესახებ. შესაბამისად, საიასთვის უცნობია, თუ რეალურად როდის და რამდენად ჯეროვნად იქნა შესრულებული კომპანიის მიერ აღებული ვალდებულებები.**

საიას მოსაზრებით, არანაკლებ მნიშვნელოვანია ის, თუ სახელმწიფო შესყიდვის რა ფორმით ხდებოდა ბათუმის მერიის მიერ ალფაბეტური კოშკის მშენებლობისთვის მოსამზადებელი სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვა.

როგორც ბათუმის მერიის მიერ გაცემული ოფიციალური დოკუმენტებიდან ირკვევა, ალფაბეტური კოშკის მშენებლობისთვის მოსამზადებელი სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვის პროცესში ბათუმის მერიამ ერთ პირთან მოლაპარაკებისა და გამარტივებული სახელმწიფო შესყიდვის ფორმა გამოიყენა. საფუძვლად კი, შპს „ზიმოსთან“ გაფორმებული ორივე ხელშეკრულების შემთხვევაში, მითითებულ იქნა საქართველოს მთავრობის 2010 წლის 20 ოქტომბრის №1348 განკარგულება.<sup>160</sup>

2010 წლის 25 ნოემბერს შპს „ზიმოსთან“ გაფორმებულ ხელშეკრულებაში აღნიშნულია ხელშეკრულებების გაფორმების დროს მოქმედი სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მე-3 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტი, რომელიც იმავე წლის 1 დეკემბრიდან კანონიდან იქნა ამოღებული და შპს „ზიმოსთან“ ხელშეკრულების გაფორმების დროს ჯერ კიდევ მოქმედ ნორმას წარმოადგენდა.<sup>161</sup>

<sup>156</sup> 2011 წლის 27 იანვრის #5 ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ; მხარეები: თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის მერია და შპს „ზიმო“;

<sup>157</sup> 2011 წლის 27 იანვრის #5 ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ; მხარეები: თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის მერია და შპს „ზიმო“; ინფორმაცია სამუშაოების გეგმა-გრაფიკის შესახებ;

<sup>158</sup> 2011 წლის 27 იანვრის #5 ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ; მხარეები: თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის მერია და შპს „ზიმო“;

<sup>159</sup> 2011 წლის 4 აპრილის მხარეთა შეთანხმება 2011 წლის 27 იანვრის სახელმწიფო შესყიდვების შესახებ #5 ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე. მხარეები: თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის მერია და შპს „ზიმო“;

<sup>160</sup> 2010 წლის 25 ნოემბრის #443 ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ; მხარეები: თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის მერია და შპს „ზიმო“;

<sup>161</sup> საქართველოს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებებისა

ხელშეკრულების გაფორმების დროს ზემოთ აღნიშნული საკანონმდებლო ნორმა ითვალისწინებდა სახელმწიფო შესყიდვის ერთ პირთან მოლაპარაკების გზით განხორციელების შესაძლებლობას, თუკი სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიებების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად გატარების მიზნით, საქართველოს პრეზიდენტის ან/და საქართველოს მთავრობის სამართლებრივი აქტით დადგინდებოდა შესყიდვების განხორციელების აღნიშნული ფორმა.<sup>162</sup> პრაქტიკულად, იგივე შინაარსის ჩანაწერი იყო კიდევ ერთ სამართლებრივ დოკუმენტში, რომელიც სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის ბრძანებით იყო დამტკიცებული.<sup>163</sup>

საყურადღებოა, რომ საქართველოს მთავრობის მიერ მიღებული განკარგულება,<sup>164</sup> რომელიც ბათუმის მერიას დაგეგმილი სამუშაოების ერთ პირთან მოლაპარაკების გზით შესყიდვის უფლებას ანიჭებდა, არ შეიცავს დასაბუთებას იმის შესახებ, თუ კონკრეტულად რა გარემოებებით იყო განპირობებული შესყიდვის ზემოთ აღნიშნული ფორმით განხორციელების აუცილებლობა. უფრო მეტიც, აღნიშნული განკარგულებით, ბათუმის მერიამ, ალფაბეტური კოშკის სამშენებლო სამუშაოების შეზღუდულ ვადებში ჩატარების მიზნით, მრავალწლიანი სახელმწიფო შესყიდვების განსახორციელებლად, ერთ პირთან მოლაპარაკების პირობით 60,000,000 ლარის ხარჯვის უფლება მიიღო.<sup>165</sup>

ამასთან, კანონის ის ნორმა, რომელიც საქართველოს პრეზიდენტს და საქართველოს მთავრობას უფლებას აძლევდა, შემსყიდველი ორგანიზაციისთვის ერთ პირთან მოლაპარაკებით სახელმწიფო შესყიდვის განხორციელების უფლება მიენიჭებინა, ზოგადი ხასიათის ნორმა იყო და იმის შესაძლებლობას იძლეოდა, რომ აღნიშნული უფლებამოსილება საქართველოს პრეზიდენტს და საქართველოს მთავრობას ნებისმიერ დროს გამოეყენებინათ.<sup>166</sup>

პრაქტიკულად იდენტური ფორმით მოხდა სახელმწიფო შესყიდვის განხორციელება შპს „ზიმოსთან“ გაფორმებული მეორე ხელშეკრულების შემთხვევაშიც. 2011 წლის 27 იანვრით დათარიღებულ ხელშეკრულებაში აღნიშნულია საქართველოს მთავრობის 2010 წლის 20 ოქტომბრის №1348 განკარგულება და სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის მე-10<sup>1</sup> მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი.<sup>167</sup>

შპს „ზიმოსთან“ 600,000 ლარის ღირებულების სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვების შესახებ გაფორმებული ხელშეკრულების დროს უკვე მოქმედებდა ახალი საკანონმდებლო ნორმა, რომელიც სახელმწიფო შესყიდვების ელექტრონული ფორმით განხორციელებას ითვალისწინებდა.<sup>168</sup> თუმცა, ბათუმის მერიამ ამჯერად გამარტივებული სახელმწიფო შესყიდვის ფორმა გამოიყენა ალფაბეტური კოშკის მშენებლობისთვის მოსამზადებელი სამუშაოების სანარმოებლად.

საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ გამარტივებული შესყიდვა, როგორც

და დამატების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის შესახებ; თბილისი, 2010 წლის 28 ივნისი; #3164;

<sup>162</sup> საქართველოს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონში დამატებისა და ცვლილებებისა შეტანის თაობაზე, 2006 წლის 18 ივლისი; #3481;

<sup>163</sup> სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2006 წლის 3 იანვრის #1 ბრძანება სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის დებულების დამტკიცების შესახებ; მუხლი 23, პუნქტი 2, „ე“ ქვეპუნქტი.

<sup>164</sup> საქართველოს მთავრობის 2010 წლის 20 ოქტომბრის #1348 განკარგულება;

<sup>165</sup> საქართველოს მთავრობის 2010 წლის 20 ოქტომბრის #1348 განკარგულება;

<sup>166</sup> საქართველოს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის შესახებ; თბილისი, 2010 წლის 28 ივნისი; #3164;

<sup>167</sup> 2011 წლის 27 იანვრის #5 ხელშეკრულებები სახელმწიფო შესყიდვების შესახებ; მხარეები თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის მერია და შპს „ზიმო“;

<sup>168</sup> საქართველოს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის შესახებ; თბილისი, 2010 წლის 28 ივნისი; #3164;

თემა 4

კანონის ის ნორმა, რომელიც საქართველოს პრეზიდენტს და საქართველოს მთავრობას უფლებას აძლევდა, შემსყიდველი ორგანიზაციისთვის ერთ პირთან მოლაპარაკებით სახელმწიფო შესყიდვის განხორციელების უფლება მიენიჭებინა, ზოგადი ხასიათის ნორმა იყო და იმის შესაძლებლობას იძლეოდა, რომ აღნიშნული უფლებამოსილება საქართველოს პრეზიდენტს და საქართველოს მთავრობას ნებისმიერ დროს გამოეყენებინათ.

2011 წლის 8 ივნისს ბათუმის მერიამ შპს „გზასთან“ ალფაბეტური კოშკის მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობის პირველი ეტაპის სამუშაოების შესყიდვის შესახებ 2,498,370 ლარის ღირებულების კონტრაქტი გააფორმა.

სახელმწიფო შესყიდვის ერთ-ერთი სახე, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონში 2009 წლის 20 ნოემბერს შეტანილი ცვლილებების შემდეგ იქნა დამატებული და 2,000 ლარამდე ღირებულების საქონლისა და მომსახურების და 5,000 ლარამდე ღირებულების სამუშაოს (თავდაცვასთან, უშიშროებასა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვასთან დაკავშირებული შესყიდვების შემთხვევაში — 5,000 ლარამდე ღირებულების საქონელი და მომსახურება და 10,000 ლარამდე ღირებულების სამუშაო) სახელმწიფო შესყიდვას გულისხმობდა. იმავედროულად, კანონი ადგენდა, რომ გამარტივებული შესყიდვის განხორციელება შესაძლებელი იყო მიმწოდებელთან სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პირდაპირ დადებით, ელექტრონული საშუალებების გამოყენების გარეშე ანდა გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა ან ელექტრონული ტენდერისათვის გათვალისწინებული პროცედურებით.<sup>169</sup>

კანონი ასევე ადგენდა, რომ გამარტივებული შესყიდვა განხორციელდებოდა სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის 10<sup>1</sup> მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში. კანონის აღნიშნული მუხლიდან კი, შპს „ზიმოსთან“ 600,000 ლარის ღირებულების კონტრაქტის გაფორმების საფუძველად, ბათუმის მერიამ კანონის ის ნაწილი გამოიყენა, რომელიც გამარტივებული შესყიდვის წინაპირობად სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიებების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარებას ითვალისწინებდა და საქართველოს პრეზიდენტის ან/და საქართველოს მთავრობის სამართლებრივი აქტით დადგენილი შესყიდვების ფორმით ხორციელდებოდა.<sup>170</sup>

*საზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის თანახმად, სახელმწიფო შესყიდვების მიზანთა ნაწილს განეკუთვნება: სახელმწიფო შესყიდვებისთვის გამიზნული ფულადი სახსრების რაციონალური ხარჯვისა და სახელმწიფო შესყიდვების საჯაროობის უზრუნველყოფა; სახელმწიფო საჭიროებისათვის აუცილებელი საქონლის წარმოების, მომსახურების განევისა და სამშენებლო სამუშაოს შესრულების სფეროში ჯანსაღი კონკურენციის განვითარება.<sup>171</sup> თუმცა, სახელმწიფო შესყიდვის ის ფორმები, რომლებიც ბათუმის მერიამ შპს „ზიმოსთან“ ალფაბეტური კოშკის მშენებლობისთვის მოსამზადებელი სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვის დროს გამოიყენა, ეჭვის ქვეშ აყენებს სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონით განსაზღვრულ შემოსესებულ მიზნებს.*

#### 4.1.2. შპს „გზა“

შპს „ზიმო“ არ ყოფილა ერთადერთი კომპანია, ვისთანაც ალფაბეტური კოშკის მშენებლობის დროს ბათუმის მერიამ, სახელმწიფო შესყიდვის მიზნით, გამარტივებული სახელმწიფო შესყიდვის ფორმა გამოიყენა.

2011 წლის 8 ივნისს ბათუმის მერიამ შპს „გზასთან“ ალფაბეტური კოშკის მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობის პირველი ეტაპის სამუშაოების შესყიდვის შესახებ 2,498,370 ლარის ღირებულების კონტრაქტი გააფორმა.<sup>172</sup>

ისევე როგორც შპს „ზიმოსთან“ ალფაბეტური კოშკის მშენებლობისთვის მოსამზადებელი სამუშაოების დროს, შპს „გზასთან“ ალფაბეტური კოშკის მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობის პირველი ეტაპის სამუშაოების

<sup>169</sup> 2009 წლის 20 ნოემბრის #2107 საქართველოს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“; მუხლი 1, პუნქტი 2, „ს“ ქვეპუნქტი;

<sup>170</sup> 2009 წლის 20 ნოემბრის #2107 საქართველოს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“; მუხლი 1, პუნქტი 2, „ს“ ქვეპუნქტი; 2011 წლის 27 იანვრის #5 ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ; მხარეები: თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის მერია და შპს „ზიმო“;

<sup>171</sup> საქართველოს კანონი სახელმწიფო შესყიდვების შესახებ, მუხლი 2;

<sup>172</sup> 2011 წლის 8 ივნისის #162 ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ; მხარეები: თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის მერია და შპს „გზა“;

შესყიდვის თაობაზე გაფორმებული გამარტივებული შესყიდვის საფუძვლად სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის 10<sup>1</sup> მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი იქნა მითითებული, ხოლო აღნიშნული ნორმის გამოყენების წინაპირობად – საქართველოს მთავრობის 2010 წლის 20 ოქტომბრის №1348 და 2011 წლის 31 იანვრის №190 განკარგულებები.<sup>173</sup>

საქართველოს მთავრობის 2011 წლის 31 იანვრის №190 განკარგულებით, ცვლილება შევიდა საქართველოს მთავრობის 2010 წლის 20 ოქტომბრის №1348 განკარგულებაში და, საკანონმდებლო ცვლილებებიდან გამომდინარე, ერთ პირთან მოლაპარაკება გამარტივებული შესყიდვის ფორმით შეიცვალა. სხვა მხრივ, რაიმე სახის დამატებითი ინფორმაცია და დასაბუთება მთავრობის №190 განკარგულებაში არ ასახულა.

რაც შეეხება ხელშეკრულების ფარგლებში გასანევ სამუშაოებს, ხელშეკრულებაზე თანდართული კრებსითი ხარჯთაღრიცხვის მიხედვით, იგი შემდეგნაირად ნაწილდებოდა:

სამუშაოს დასახელება	ღირებულება ლარში
მოსამზადებელი სამუშაოები (მინის სამუშაოები)	421,512
შესასვლელი გზისა და ავტოსადგომების მოწყობა (ასფალტ-ბეტონის საფარი)	538,381
გრანიტის ფილების მოწყობა (მოსამზადებელი სამუშაოები)	40,851
გლუვი დეკორატიული ბეტონი	299,520
თეთრი ლორღის საფარის მოწყობის სამუშაოები	4,630
ბეტონის ბორდიურების მოწყობა (ბეტონის საფუძველზე)	34,629
ბაზალტისა და გრანიტის ბორდიურების მოწყობა	111,046
საფეხმავლო გადასასვლელი	7,271
სანიაღვრე საკანალიზაციო სისტემის მოწყობის სამუშაოები	309,668
პარკის სასმელი წყლის სისტემა	25,989
გაზონის მოწყობის სამუშაოები	169,730
პარკის აქსესუარები	154,030
ჯამი	2,117,262
დღგ 18%	381,107
სულ ჯამი	2,498,370

მხარეებს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოები შპს „გზას“ 2011 წლის 1 აგვისტომდე უნდა შეესრულებინა.

თუმცა, 2010 წლის 20 ივლისს შპს „გზამ“ წერილობით მიმართა ბათუმის მერიას და სამუშაოების დასრულების ვადის გადაწვევა ითხოვა. **გადავადების მოთხოვნის საფუძველად კომპანიის მიერ მითითებულ იქნა „რედისონის“ და „კემპინსკის“ სასტუმროების მეპატრონეების მხრიდან ტერიტორიის დროულად გათავისუფლების პირობის შეუსრულებლობა და, ასევე, პროექტის თავდაპირველ ვარიანტში ცვლილების შეტანა.**<sup>174</sup>

წარდგენილი განცხადების საფუძველზე, ბათუმის მერიის კეთილმოწყობის სამსახურის მიერ 2011 წლის 29 ივლისს მერიის სახელზე მომზადდა შესაბამისი მოხსენებითი ბარათი, სადაც აღინიშნა, რომ შემოწმების შედეგად დასტურდებოდა კომპანიის ზემოთ აღნიშნული მოთხოვნების საფუძვლიანობა და მიზანშეწონილი იყო ხელშეკრულების ვადის 2011 წლის 15 სექტემბრამდე

*მხარეებს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოები შპს „გზას“ 2011 წლის 1 აგვისტომდე უნდა შეესრულებინა.*

<sup>173</sup> 2011 წლის 8 ივნისის #162 ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ; მხარეები: თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის მერია და შპს „გზა“;  
<sup>174</sup> შპს „გზის“ 2011 წლის 20 ივლისის #01/10-221 განცხადება;

ალფაბეტურ კოშკთან დაკავშირებით, ბათუმის მერიამ შპს „გზასთან“ კიდევ ერთი ხელშეკრულება გააფორმა და ხელშეკრულების საგანს ამჯერადაც კოშკის მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობის პირველი ეტაპის სამუშაოები წარმოადგენდა.

გაგრძელება.<sup>175</sup> შესაბამისად, იმავე დღეს მხარეებს შორის შედგა შეთანხმება, რომლის მიხედვითაც განისაზღვრა, რომ ხელშეკრულების მოქმედების ვადა 2011 წლის 15 სექტემბრამდე გრძელდებოდა. ამასთან, შპს „გზას“ უნდა უზრუნველყო საბანკო გარანტიის ვადის გაგრძელების დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარდგენა.<sup>176</sup>

რაც შეეხება შეცვლილ ხარჯთაღრიცხვას, აღნიშნული გარემოება ხელშეკრულებაში მოგვიანებით, იმავე წლის 15 აგვისტოს მხარეებს შორის გაფორმებული კიდევ ერთი შეთანხმების დოკუმენტით განისაზღვრა და მთლიანი სახელშეკრულებო თანხა 960 ლარითა და 49 თეთრით შემცირდა.<sup>177</sup>

ალფაბეტურ კოშკთან დაკავშირებით, ბათუმის მერიამ შპს „გზასთან“ კიდევ ერთი ხელშეკრულება გააფორმა და ხელშეკრულების საგანს ამჯერადაც კოშკის მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობის პირველი ეტაპის სამუშაოები წარმოადგენდა. ოღონდ ხელშეკრულებაშივე აღინიშნა, რომ აღნიშნული ხელშეკრულება დამატებითი სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვას წარმოადგენდა.<sup>178</sup>

ხელშეკრულების მიხედვით, შესასრულებელი სამუშაოების ღირებულება 233,459 ლარსა და 98 თეთრს შეადგენდა, რაც ხელშეკრულებისთვის თანდართული კრებსითი ხარჯების მიხედვით, შემდეგი სახით ნაწილდებოდა:

№	სამუშაოს დასახელება	თანხა
1	თეთრი ღორღის საფარის მოწყობის სამუშაოები	5,302
2	გაზონის მოწყობის სამუშაოები	56,015
3	ანბანის კოშკის ელექტრო სამონტაჟო სამუშაოები	162,613
4	საფეხმავლო გადასასვლელი	9,527
ჯამი		233,459

ხელშეკრულების თანახმად, შპს „გზას“ სამუშაოები 2011 წლის 1 ნოემბრამდე უნდა შეესრულებინა. თუმცა, **ხელშეკრულების ვადის მოქმედების ბოლო დღეს მხარეებს შორის გაფორმდა შეთანხმება, რომლის მიხედვითაც, ხელშეკრულებაში ცვლილებები იქნა შეტანილი. შეთანხმების მიხედვით, სახელშეკრულებო თანხა მცირდებოდა 157,226.72 ლარით და 76,233.26 ლარს შეადგენდა.**<sup>179</sup> საინტერესოა ის გარემოება, თუ რამ გამოიწვია სახელშეკრულებო თანხის შემცირება. როგორც მხარეთა შორის გაფორმებულ შეთანხმების დოკუმენტშია აღნიშნული, თეთრი ღორღის საფარის სამუშაოები 353.21 კვ.მ-ის ნაცვლად 225.80 კვ.მ-ზე იქნა შესრულებული, ხოლო ალფაბეტური კოშკის ელექტრო სამონტაჟო სამუშაოების ნაწილი – ოპტიკურ ბოჭკოვანი კაბელის სამონტაჟო სამუშაოები – მხოლოდ 800 გრძ.მ-ზე დარჩენილი ელექტრო კაბელების სამონტაჟო სამუშაოების შეუსრულებლობის მიზეზად მხარეთა შეთანხმების დოკუმენტში აღნიშნულია, რომ ალფაბეტური კოშკის მშენებლობის მწარმოებელ ესპანურ კომპანიას შემოსაზღვრული აქვს მიმდებარე სამშენებლო ტერიტორია. შესაბამისად, მხარეები შეთანხმდნენ, რომ სახელშეკრულებო ფასი შემცირებულიყო.<sup>180</sup>

**როგორც შპს „გზის“, ასევე, შპს „ზიმოს“ შემთხვევაშიც, საიასთვის უცნობია ინფორმაცია ხელშეკრულებებით გათვალისწინებული სამუშაო-**

<sup>175</sup> ბათუმის მერიის 2011 წლის 29 ივლისის #04-03/11434 კორესპონდენცია;

<sup>176</sup> 2011 წლის 29 ივლისის მხარეთა შეთანხმება #1 – 2011 წლის 8 ივნისის სახელმწიფო შესყიდვის შესახებ #162 ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

<sup>177</sup> 2011 წლის 15 აგვისტოს მხარეთა შეთანხმება #2 – 2011 წლის 8 ივნისის სახელმწიფო შესყიდვის შესახებ #162 ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

<sup>178</sup> 2011 წლის 22 სექტემბრის #276 ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ; მხარეები: თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის მერია და შპს „გზას“;

<sup>179</sup> 2011 წლის 31 ოქტომბრის მხარეთა შეთანხმება #1 – 2011 წლის 22 სექტემბრის სახელმწიფო შესყიდვის შესახებ #276 ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

<sup>180</sup> 2011 წლის 31 ოქტომბრის მხარეთა შეთანხმება #1 – 2011 წლის 22 სექტემბრის სახელმწიფო შესყიდვის შესახებ #276 ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

**ბის საბოლოო შესრულების თარიღის და ამ სამუშაოების შესრულების შედეგად გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტების შესახებ.**

შპს „გზასთან“ გაფორმებული ორი ხელშეკრულება და შემდგომში ამ ხელშეკრულებების ირგვლივ განვითარებული მოვლენები, რაც ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანით გამოიხატა, იძლევა იმის ვარაუდის შესაძლებლობას, რომ რიგ შემთხვევებში შესაძლოა ეს ცვლილებები ფორმალური იურიდიული მოთხოვნების დაცვას ემსახურებოდა (მაგ. ცვლილების შეტანა ხელშეკრულების მოქმედების ვადის ამოწურვის დღეს) და ალფაბეტური კომპის ირგვლივ განვითარებული მოვლენები ბევრად უფრო რთული და კომპლექსური ხასიათისაა. მილიონობით ლარის ღირებულების კონტრაქტების გაფორმების წინაპირობად, გამარტივებული სახელმწიფო შესყიდვების ფორმის გამოყენებაზე რომ აღარაფერი ითქვას, მნიშვნელოვანია, თუ რამდენად თანმიმდევრულად ხდებოდა ბათუმის მერიის მიერ მთლიანად ალფაბეტური კომპის მშენებლობის პროცესის დაგეგმვა და შემდგომი მართვა. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ შპს „გზა“ არ არის ერთადერთი კომპანია, ვისთანაც გაფორმებული ხელშეკრულებები და ამ ხელშეკრულებების ირგვლივ განვითარებული მოვლენები ზემოთ აღნიშნულ კითხვებს აჩენს.

**4.1.3. შპს „კომპანია ბლექ სი გრუპი“**

„კომპანია ბლექ სი გრუპთან“ ბათუმის მერიამ სულ 5,915,930 ლარის ღირებულების სამი კონტრაქტი გააფორმა. მათ შორის, პირველი ხელშეკრულების თანახმად, 2011 წლის 19 დეკემბერს 2,009,852 ლარის ღირებულების სამუშაოები გამარტივებული სახელმწიფო შესყიდვის სახით იქნა შესყიდული ბათუმის მერიის მიერ.<sup>181</sup> შესაბამისად, ამ შემთხვევაშიც შესყიდვის აღნიშნული ფორმის გამოყენების საფუძვლად საქართველოს მთავრობის ის განკარგულება იქნა მითითებული, რაც შპს „გზის“ შემთხვევაში.<sup>182</sup>

ხელშეკრულების მიხედვით, შპს „კომპანია ბლექ სი გრუპს“ ქ. ბათუმში ალფაბეტური კომპის მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობის და ელექტრო მომარაგების მეორე ეტაპის სამუშაოები 2012 წლის 1 თებერვლამდე უნდა შეესრულებინა.<sup>183</sup>

ხელშეკრულებით გათვალისწინებული 2,009,852 ლარიდან ყველაზე მეტი – 1,550,265 ლარი – “MIRACLE PARK”-ის მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობაზე უნდა დახარჯულიყო.<sup>184</sup>

თუმცა, ხელშეკრულების მოქმედების ვადის ამოწურვამდე ათი დღით ადრე, „კომპანია ბლექ სი გრუპმა“ წერილობით მიმართა ბათუმის მერიას და, ხელშეკრულების ვადის გახანგრძლივების პარალელურად, ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებული სამუშაოების ორ ნაწილად გაყოფა ითხოვა. ერთი ნაწილი ძირითადი სამშენებლო სამუშაოებისა და მასალების შეძენას გულისხმობდა მონტაჟის გარეშე, ხოლო მეორე – უშუალოდ მონტაჟს. აღნიშნულის მიზეზად კომპანია ხელშეკრულების შესრულების პროცესში გამოკვეთილ, პროექტით გაუთვალისწინებელ სამუშაოებს ასახელებდა.<sup>185</sup>

თავის მხრივ, ბათუმის მერიის კეთილმოწყობის სამსახურმა 2012 წლის 26 იანვარს ბათუმის მერის სახელზე მომზადებულ მოხსენებით ბარათში გაიზიარა „კომპანია ბლექ სი გრუპის“ ზემოთ აღნიშნული მოსაზრება და მხარი დაუჭირა.<sup>186</sup>

<sup>181</sup> 2011 წლის 19 დეკემბრის #345 ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ; მხარეები: თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის მერია და შპს „კომპანია ბლექ სი გრუპი“;  
<sup>182</sup> საქართველოს მთავრობის 2010 წლის 20 ოქტომბრის #1348 და 2011 წლის 31 იანვრის #190 განკარგულებები;  
<sup>183</sup> 2011 წლის 19 დეკემბრის #345 ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ; მხარეები: თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის მერია და შპს „კომპანია ბლექ სი გრუპი“;  
<sup>184</sup> 2011 წლის 19 დეკემბრის #345 ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ; მხარეები: თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის მერია და შპს „კომპანია ბლექ სი გრუპი“;  
<sup>185</sup> შპს „კომპანია ბლექ სი გრუპის“ 2012 წლის 20 იანვრის #0101-BSG-OUT-0970 განცხადება;  
<sup>186</sup> ქალაქ ბათუმის მერიის კეთილმოწყობის სამსახურის 2012 წლის 26 იანვრის #04-03/907 მოხსენებითი ბარათი;

თაპი 4

ხელშეკრულებით გათვალისწინებული 2,009,852 ლარიდან ყველაზე მეტი – 1,550,265 ლარი – “MIRACLE PARK”-ის მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობაზე უნდა დახარჯულიყო.



ხელშეკრულება  
3,412,829 ლარის  
ღირებულების  
სამუშაოების შესყიდვას  
გულისხმობდა  
და ამჯერადაც  
გამარტივებული  
სახელმწიფო  
შესყიდვის ფორმით  
განხორციელდა.

შესაბამისად, იმავე დღეს ბათუმის მერიასა და შპს „კომპანია ბლექ სი გრუპს“ შორს გაფორმდა მხარეთა შეთანხმება, რომლის მიხედვითაც, ცვლილებები შევიდა მხარეებს შორის გაფორმებული 2011 წლის 19 დეკემბრის ხელშეკრულებაში.<sup>187</sup>

მხარეთა შეთანხმებაში აღინიშნა, რომ მოცემულ ეტაპზე ვერ ხორციელდებოდა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ბაზალტის ბორდიურების და გრძივი სანიაღვრე არხების ცხაურების მონტაჟი, გამწვანებისთვის განკუთვნილ ტერიტორიაზე კორდის დაგება, ტროტუარის მოწყობამდე საგზაო ნიშნების დაყენება და მთლიანად ტერიტორიის საპროექტო ნიშნულში მიყვანა.<sup>188</sup>

თუმცა, მოვლენები აღნიშნული ხელშეკრულების ირგვლივ ამით არ ამონურულა და 2012 წლის 8 აგვისტოს „კომპანია ბლექ სი გრუპის“ მიერ მორიგი წერილი იქნა წარდგენილი ბათუმის მერიაში. წერილში კომპანია აღნიშნავდა, რომ ბათუმის მერიის ხელმძღვანელობასთან **სიტყვიერი შეთანხმების შესაბამისად, აღარ შესრულდა 132,543 ლარის ღირებულების სამუშაოები**. აქედან გამომდინარე, კომპანია მზად იყო, წინასწარ ავანსად მიღებული თანხიდან 106,034.65 ლარი ბათუმის მერიისთვის დაებრუნებინა.<sup>189</sup>

ბათუმის მერიის კეთილმოწყობის სამსახურმა გაიზიარა კომპანიის პოზიცია თანხის დაბრუნების ნაწილში და მერის სახელზე მომზადებულ მოხსენებით ბარათში აღნიშნა, რომ მიღებული საავანსო თანხის დაბრუნების დაგვიანებისთვის შპს „კომპანია ბლექ სი გრუპს“ უნდა დაკისრებოდა პირგასამტეხლო დასაბრუნებელი საავანსო თანხის 0,1%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.<sup>190</sup>

შედეგად, მხარეებს შორის 2012 წლის 14 აგვისტოს გაფორმებულ შეთანხმების დოკუმენტში მიეთითა, რომ კომპანიის მიერ შესრულებული იყო ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების ძირითადი ნაწილი, ხოლო, ბათუმის მერიასთან შეთანხმებით, არ შესრულდა გარკვეული მოცულობის სამუშაოები. ყოველივე აღნიშნულზე კი, მხარეებს შორის გაფორმებული იყო შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტი.<sup>191</sup>

რიგით მეორე კონტრაქტი ბათუმის მერიამ შპს „კომპანია ბლექ სი გრუპთან“ 2012 წლის 27 იანვარს გააფორმა. ხელშეკრულება 3,412,829 ლარის ღირებულების სამუშაოების შესყიდვას გულისხმობდა და ამჯერადაც გამარტივებული სახელმწიფო შესყიდვის ფორმით განხორციელდა. კონტრაქტის თანახმად, „კომპანია ბლექ სი გრუპს“ ალფაბეტური კომპის მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობის მესამე ეტაპის სამუშაოები უნდა შეესრულებინა.<sup>192</sup>

საყურადღებოა ის გარემოება, რომ მაშინ როცა ბათუმის მერიამ „კომპანია ბლექ სი გრუპთან“ ალფაბეტური კომპის მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობის მესამე ეტაპის სამუშაოების შესყიდვის შესახებ გააფორმა კონტრაქტი, კომპანიას ჯერ კიდევ არ ჰქონდა შესრულებული ალფაბეტური კომპის მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობის მეორე ეტაპის სამუშაოები და, როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, მხარეთა შეთანხმებით ხელშეკრულების მოქმედების ვადა პირველ ივლისამდე იყო გაგრძელებული.<sup>193</sup>

ალფაბეტური კომპის მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობის მესამე

<sup>187</sup> 2012 წლის 26 იანვრის მხარეთა შეთანხმება #1 – 2011 წლის 19 დეკემბრის სახელმწიფო შესყიდვის შესახებ #345 ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

<sup>188</sup> 2012 წლის 26 იანვრის მხარეთა შეთანხმება #1 – 2011 წლის 19 დეკემბრის სახელმწიფო შესყიდვის შესახებ #345 ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

<sup>189</sup> შპს „კომპანია ბლექ სი გრუპის“ 2012 წლის 8 აგვისტოს განცხადება;

<sup>190</sup> ბათუმის მერიის კეთილმოწყობის სამსახურის 2012 წლის 9 აგვისტოს #04-03/21495 მოხსენებითი ბარათი;

<sup>191</sup> 2012 წლის 14 აგვისტოს მხარეთა შეთანხმება #2 – 2011 წლის 19 დეკემბრის სახელმწიფო შესყიდვის შესახებ #345 ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

<sup>192</sup> 2012 წლის 27 იანვრის #14 ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ; მხარეები: თვითმმართველი ქალაქის – ბათუმის მერია და შპს „კომპანია ბლექ სი გრუპი“;

<sup>193</sup> 2012 წლის 26 იანვრის მხარეთა შეთანხმება #1 – 2011 წლის 19 დეკემბრის სახელმწიფო შესყიდვის შესახებ #345 ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

ეტაპის სამუშაოები „კომპანია ბლექ სი გრუპს“ 2012 წლის პირველ ივლისამდე უნდა განეხორციელებინა.<sup>194</sup>

ამრიგად, 2012 წლის პირველი ივლისისთვის კომპანიას ერთდროულად ორი ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები უნდა შეესრულებინა.<sup>195</sup>

ბათუმის მერიის მიერ გაცემულ დოკუმენტებში ფიგურირებს „კომპანია ბლექ სი გრუპს“ მიერ ქ. ბათუმის მერიის კეთილმოწყობის სამსახურისთვის 2012 წლის 23 აპრილს გაგზავნილი წერილი, სადაც კომპანია აღნიშნავდა, რომ სამუშაოების წარმოების პროცესში არსებული სიტუაციიდან გამომდინარე, რამდენიმე ცვლილება მოხდა, რის გამოც პროექტი საერთო ჯამში 295,473 ლარით ძვირდებოდა.<sup>196</sup>

საიასთვის უცნობია, თუ რა ბედი ეწია „კომპანია ბლექ სი გრუპს“ მიერ ბათუმის მერიის კეთილმოწყობის სამსახურში წარდგენილ აღნიშნულ განცხადებას, რადგანაც ბათუმის მერიის მიერ „გაზეთ ბათუმელებისთვის“ მიწოდებულ ინფორმაციაში ამ განცხადებასთან დაკავშირებით ბათუმის მერიის პოზიციის შესახებ არაფერია ნათქვამი.

სამაგიეროდ, ბათუმის მერიის გაცემულ დოკუმენტებში მოიპოვება 2012 წლის 4 მაისით დათარიღებული მხარეთა შეთანხმება, რომლის მიხედვითაც, მთლიანი სახელშეკრულებო თანხა 23,971 ლარით შემცირდა.

**მოცემულ შემთხვევაში, ლოგიკურად ჩნდება კითხვა, თუ როგორ მოხდა მხარეთა შეთანხმების გაფორმებამდე თერთმეტი დღით ადრე, კომპანიის მიერ მომზადებული წერილისა და შესაბამისი ხარჯთაღრიცხვის მიხედვით, პროექტის 295,473 ლარით გაძვირება, ხოლო, 2012 წლის 4 მაისით დათარიღებული მხარეთა შეთანხმების თანახმად – მთლიანი სახელშეკრულებო თანხის 23,971 ლარით შემცირება.**

საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ მხარეებს შორის 2012 წლის 4 მაისს გაფორმებულ შეთანხმებაში არაერთი მექანიკური შეცდომაა დაშვებული, რაც, ძირითადად, თარიღების და ხელშეკრულების ნომრების არასწორ მითითებაში გამოიხატება.<sup>197</sup> შესაბამისად, ბათუმის მერიამ და შპს „კომპანია ბლექ სი გრუპს“ ისე გააფორმეს მხარეთა შეთანხმება ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის შესახებ, რომ შესაძლოა აღნიშნული შეთანხმების მომზადებისთვის სათანადო დრო და ყურადღება არ დაუთმიათ.

გარდა ზემოთ აღნიშნული ორი კონტრაქტისა, ბათუმის მერიამ შპს „კომპანია ბლექ სი გრუპსთან“ 2012 წელს კიდევ ერთი კონტრაქტი გააფორმა. თუმცა, ხსენებული ორი კონტრაქტისგან განსხვავებით, მესამე შემთხვევაში, სახელშეკრულებო თანხა შედარებით მოკრძალებულ თანხას – 493,249 ლარს შეადგენდა.<sup>198</sup>

„კომპანია ბლექ სი გრუპსთან“ ბათუმის მერიის მიერ გაფორმებული ორი კონტრაქტის მსგავსად, მესამე კონტრაქტის მიხედვითაც, კომპანიას 2012 წლის 16 მაისით დათარიღებული კონტრაქტით გათვალისწინებული სამუშაოები, კერძოდ, ალფაბეტური კოშკის მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობა იმავე წლის პირველ ივლისამდე უნდა დაესრულებინა.<sup>199</sup>

ამრიგად, მიუხედავად იმისა, რომ წინა ორი ხელშეკრულებიდან ერთის

<sup>194</sup> 2012 წლის 27 იანვრის #14 ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ; მხარეები: თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის მერია და შპს „კომპანია ბლექ სი გრუპი“;

<sup>195</sup> 2012 წლის 27 იანვრის #14 ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ; მხარეები: თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის მერია და შპს „კომპანია ბლექ სი გრუპი“; 2011 წლის 19 დეკემბრის #345 ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ; მხარეები: თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის მერია და შპს „კომპანია ბლექ სი გრუპი“;

<sup>196</sup> შპს „კომპანია ბლექ სი გრუპს“ 2012 წლის 23 აპრილის #0101-BSG-OUT-1124 განცხადება;

<sup>197</sup> 2012 წლის 4 მაისის მხარეთა შეთანხმება #1 – 2012 წლის 27 იანვრის სახელმწიფო შესყიდვის შესახებ #14 ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

<sup>198</sup> 2012 წლის 16 მაისის #188 ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ; მხარეები: თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის მერია და შპს „კომპანია ბლექ სი გრუპი“.

<sup>199</sup> 2012 წლის 16 მაისის #188 ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ; მხარეები: თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის მერია და შპს „კომპანია ბლექ სი გრუპი“.

თემა 4

უცნობია, თუ რა ბედი ეწია „კომპანია ბლექ სი გრუპს“ მიერ ბათუმის მერიის კეთილმოწყობის სამსახურში წარდგენილ აღნიშნულ განცხადებას, რადგანაც ბათუმის მერიის მიერ „გაზეთ ბათუმელებისთვის“ მიწოდებულ ინფორმაციაში ამ განცხადებასთან დაკავშირებით ბათუმის მერიის პოზიციის შესახებ არაფერია ნათქვამი.

ყველა იმ კონტრაქტიდან, რომლებიც ბათუმის მერიამ ალფაბეტური კომპანია მშენებლობისა და მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობის მიზნით 2010-2012 წლებში სხვადასხვა კომპანიასთან გააფორმა, ყველაზე გამორჩეული და საინტერესოა ესპანურ კომპანია შპს „CMD DOMINGO Y LAZARO INGENIEROS, S.I.“-თან 2010 წლის 19 ნოემბერს გაფორმებული ხელშეკრულება.

შემთხვევაში, კომპანიამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულების ვადის გაგრძელება ითხოვა,<sup>200</sup> ხოლო მეორე კონტრაქტის შემთხვევაში, მრავალი კითხვის შემცველი ცვლილება იქნა მასში შეტანილი,<sup>201</sup> ალფაბეტური კომპანია მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობის მეოთხე ეტაპის სამუშაოების შესრულება ბათუმის მერიამ ისევ შპს „კომპანია ბლექ სი გრუპს“ მიანდო. შესაბამისად, კომპანიასთან 2012 წლის 16 მაისს გაფორმებული ხელშეკრულების მიხედვით, „კომპანია ბლექ სი გრუპს“ იმავე წლის პირველი ივლისისთვის ერთდროულად სამი ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოები უნდა დაესრულებინა.

მთლიანობაში, შპს „კომპანია ბლექ სი გრუპთან“ გაფორმებული სამი ხელშეკრულება და შემდგომში ამ ხელშეკრულებების ირგვლივ განვითარებული მოვლენები, კიდევ უფრო აძლიერებს ეჭვს იმის თაობაზე, რომ მილიონობით ლარის ღირებულების კონტრაქტების გაფორმების მიზნით, გამარტივებული სახელმწიფო შესყიდვების ფორმის გამოყენება და ალფაბეტური კომპანიის მშენებლობის პროცესის დაგეგმვა და შემდგომი მართვა (მათ შორის, კომპანიის მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობის სამუშაოების ნაწილში) არ ატარებდა თანმიმდევრულ ხასიათს და, რაც შემთხვევებში, გადანაცვლებები სპონტანურად მიიღებოდა.

**4.1.4. შპს „CMD DOMINGO Y LAZARO INGENIEROS, S.I.“**

ყველა იმ კონტრაქტიდან, რომლებიც ბათუმის მერიამ ალფაბეტური კომპანიის მშენებლობისა და მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობის მიზნით 2010-2012 წლებში სხვადასხვა კომპანიასთან გააფორმა, ყველაზე გამორჩეული და საინტერესოა ესპანურ კომპანია შპს „CMD DOMINGO Y LAZARO INGENIEROS, S.I.“-თან 2010 წლის 19 ნოემბერს გაფორმებული ხელშეკრულება №434 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ.

ზემოთ აღნიშნული ხელშეკრულებით, ბათუმის მერიამ ესპანურ კომპანიასთან, არც მეტი, არც ნაკლები, 16 მილიონი ევროს ღირებულების კონტრაქტი გააფორმა ალფაბეტური კომპანიის მშენებლობის და დასრულების სახელმწიფო შესყიდვაზე.<sup>202</sup> საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალურ ვებ-გვერდზე დაცული ინფორმაციის მიხედვით, ესპანურ კომპანიასთან კონტრაქტის გაფორმების დღეს 16 მილიონი ევრო ეროვნულ ვალუტაში 38,337,600 ლარს შეადგენდა.<sup>203</sup>

საყურადღებოა, რომ კონტრაქტი, რომელიც შესასრულებელი სამუშაოს ღირებულების გათვალისწინებით საერთაშორისო ტენდერის გამოცხადების წინაპირობას იძლეოდა, ბათუმის მერიამ ერთ პირთან მოლაპარაკების გზით გააფორმა და აღნიშნულის საფუძველად სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის ის ნორმა გამოიყენა, რომელიც ესპანურ კომპანიასთან კონტრაქტის გაფორმების დროს ჯერ კიდევ იურიდიული ძალის მქონე იყო.<sup>204</sup>

სახელმწიფო შესყიდვის აღნიშნული ფორმის გამოყენების წინაპირობად საიას მიერ წარმოდგენილ კვლევაში უკვე არაერთხელ აღნიშნული საქართველოს მთავრობის 2010 წლის 20 ოქტომბრის №1348 განკარგულება იქნა მითითებული.<sup>205</sup>

<sup>200</sup> 2011 წლის 19 დეკემბრის #345 ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ; მხარეები: თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის მერია და შპს „კომპანია ბლექ სი გრუპი“.

<sup>201</sup> 2012 წლის 27 იანვრის #14 ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ; მხარეები: თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის მერია და შპს „კომპანია ბლექ სი გრუპი“.

<sup>202</sup> 2010 წლის 19 ნოემბრის #439 ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ; მხარეები: თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის მერია და შპს „CMD DOMINGO Y LAZARO INGENIEROS, S.I.“.

<sup>203</sup> <http://www.nbg.ge/index.php?m=582&lng=geo> ;

<sup>204</sup> საქართველოს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის შესახებ; თბილისი, 2010 წლის 28 ივნისი; #3164;

<sup>205</sup> 2010 წლის 19 ნოემბრის #439 ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ; მხარეები:

**შპს „CMD DOMINGO Y LAZARO INGENIEROS, S.I.“-თან 16 მილიონი ევროს ღირებულების კონტრაქტის ერთ პირთან მოლაპარაკების საშუალებით გაფორმება, როგორც მინიმუმ იმის ნათელი მაგალითია, თუ რამდენად არაკონკურენტულ და გაუმჭვირვალე სახეს ატარებდა ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან საჯარო ფინანსების ხარჯვის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილება.**

ხელშეკრულების თანახმად, ესპანურ კომპანიას 16 მილიონი ევროს ღირებულების სამუშაოები 2011 წლის 15 სექტემბრამდე უნდა დაესრულებინა, რაც გულისხმობდა შემდეგს:

- ალფაბეტური კოშკისთვის ადგილის მომზადება;
- კოშკის პროექტის (შემდგომში პროექტი) შესაბამისად, საფუძვლის მასალის მინოდება და კოშკის საფუძვლის მოწყობა;
- სრული საინჟინრო გათვლების ჩატარება, დეტალური ნახაზების და კონსტრუქციის ასანყოფი ნახაზების მომზადება პროექტის შესაბამისად;
- ბაზური მასალის მინოდება;
- კოშკის დამზადება;
- ალფაბეტური კოშკის შემადგენელი ნაწილების ტრანსპორტირება სამუშაო ადგილიდან ანყოფის ადგილამდე;
- კოშკის საბოლოო მდგომარეობაში მოყვანა;
- შეღებვის სისტემის მინოდება და გამოყენება;
- შუშის სფეროს მინოდება და მონტაჟი პროექტის შესაბამისად;
- ლიფტების მინოდება და მონტაჟი პროექტის შესაბამისად;
- ყველა საჭირო კომპონენტის მინოდება და მონტაჟი, რასაც მოიცავს პროექტი;
- პროექტის შესაბამისად, კოშკის რესტორნის მშენებლობის დასრულება;
- ოთახები სატელევიზიო სტუდიებისთვის, პროექტის მიხედვით;
- ამ პუნქტით გათვალისწინებული სამუშაოების ჩასატარებლად აუცილებელი მუშახელისა და მათი ხარჯების უზრუნველყოფა: თვითმფრინავი და ტრანსპორტი, საცხოვრებელი ადგილი, კვება და ა.შ.;
- უსაფრთხოების სრული მოწყობილობა: პერსონალის აღჭურვილობა, უსაფრთხოების ქამრები, ბადეები, და ა.შ.;
- ხარისხის კონტროლის სისტემა ევროპული სტანდარტების მიხედვით ან მათთან დაახლოებული, მათ შორის: ბაზური მასალა (ტესტები, დოკუმენტაცია, ნარმოშობის შემოწმება და გეომეტრიული პარამეტრების კონტროლი), საწარმო პროცესები (შედულების ტესტირება, პენეტრაციული სითხე ან მაგნიტური ნაწილაკები ან რენტგენი). ხარისხის კონტროლი ობიექტზე არ შედის.<sup>206</sup>

ალფაბეტური კოშკის მშენებლობა და კოშკის სამუშაოების მთლიანი ღირებულება იმდენად მასშტაბური იყო, რომ შპს „CMD DOMINGO Y LAZARO INGENIEROS, S.I.“-მა, სპეციალურად ამ მიზნით, შესაბამისი ვებ-გვერდი შექმნა, სადაც დეტალურად წარმოადგინა ინფორმაცია პროექტის შესახებ.<sup>207</sup>

ამასთან, მიუხედავად იმისა, რომ მთლიანი სახელშეკრულებო თანხა 16 მილიონ ევროს შეადგენდა, კონტრაქტის თანახმად, ბათუმის მერიამ რიგი ისეთი ვალდებულებებიც აიღო საკუთარ თავზე, რასაც დამატებით ხელი უნდა შეეწყოს ალფაბეტური კოშკის სამუშაოების წარმატებით დასრულებისთვის. კერძოდ, ხელშეკრულების თანახმად, ბათუმის მერია მზად იყო, სამშენებლო ტერიტორიაზე მოეწყოს იზოლირებული ადგილი (ფარული ოთახი), რომელიც

ალფაბეტური კოშკის მშენებლობა და კოშკის სამუშაოების მთლიანი ღირებულება იმდენად მასშტაბური იყო, რომ შპს „CMD DOMINGO Y LAZARO INGENIEROS, S.I.“-მა, სპეციალურად ამ მიზნით, შესაბამისი ვებ-გვერდი შექმნა, სადაც დეტალურად წარმოადგინა ინფორმაცია პროექტის შესახებ.

თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის მერია და შპს „CMD DOMINGO Y LAZARO INGENIEROS, S.I.“;  
<sup>206</sup> 2010 წლის 19 ნოემბრის #439 ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ; მხარეები: თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის მერია და შპს „CMD DOMINGO Y LAZARO INGENIEROS, S.I.“;  
<sup>207</sup> <http://www.alphabictower.com>;

**ბათუმის მერიის მიერ საიასთვის მიწოდებული ბათუმის ისტორიული უბნებისა და ტურისტული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის 2009-2013 წლების პროგრამის ფარგლებში გაფორმებული ხელშეკრულებების სიაში შპს „CMD DOMINGO Y LAZARO INGENIEROS, S.I“-სთან აღფაბეტური კომპის მშენებლობის მიზნით გაფორმებული ხელშეკრულების ღირებულება 49,522,596 ლარით არის შეფასებული გადასახადების ჩათვლით.**

კომპანიის განკარგულებაში იქნებოდა. ბათუმის მერია ასევე ვალდებული იყო, მოემზადებინა სათანადოდ დაცული ტერიტორია მშენებლობის ადგილთან ახლოს, სადაც შეინახებოდა მშენებლობისათვის საჭირო სამშენებლო მასალა. ხოლო, თუკი სამშენებლო ადგილის პირობები ასეთ საშუალებას არ იძლეოდა, მაშინ მერიას უნდა დაეფარა ხარჯები, რასაც ესპანური კომპანია სამშენებლო მასალების სხვა ადგილზე შენახვისათვის გაიღებდა.<sup>208</sup>

ამასთან, სამშენებლო ადგილს, რომელსაც ბათუმის მერია გამოყოფდა აღფაბეტური კომპის მშენებლობის მიზნით, შემდეგი მინიმალური მოთხოვნები უნდა დაეკმაყოფილებინა:

- კანონმდებლობით განსაზღვრული ყველა ნებართვა მშენებლობის სანარმოებლად;
- კარგი მისაწვდომობა სამშენებლო ადგილზე, რაც გულისხმობს მისასვლელის არსებობას, 5 მეტრიანი მინიმალური სიგანის მქონე ბეტონის ან ასფალტის საფარითა და დრენაჟის სისტემით;
- „შემსყიდველმა“ უნდა უზრუნველყოს შესაბამისად წყლისა და ელენერჯის მიწოდება საფასურის გარეშე, რაც მიყვანილი უნდა იყოს სამშენებლო ადგილზე.<sup>209</sup>

**საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ ბათუმის მერია ვალდებული იყო, უზრუნველყო საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახდელების გადახდა საქართველოს ტერიტორიაზე აღფაბეტური კომპის მშენებლობისათვის საჭირო ტექნიკისა და აღჭურვილობის დროებით შეყვანისას.<sup>210</sup> აღნიშნული კი, თავისთავად, ზრდიდა აღფაბეტური კომპის მშენებლობასთან დაკავშირებულ ხარჯებს.**

საყურადღებოა ისიც, რომ ბათუმის მერიის მიერ საიასთვის მიწოდებული ბათუმის ისტორიული უბნებისა და ტურისტული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის 2009-2013 წლების პროგრამის ფარგლებში გაფორმებული ხელშეკრულებების სიაში შპს „CMD DOMINGO Y LAZARO INGENIEROS, S.I“-სთან აღფაბეტური კომპის მშენებლობის მიზნით გაფორმებული ხელშეკრულების ღირებულება 49,522,596 ლარით არის შეფასებული გადასახადების ჩათვლით.<sup>211</sup>

სამწუხაროდ, ბათუმის მერიის მიერ გაცემული დოკუმენტები არ შეიცავს ინფორმაციას იმის შესახებ, განხორციელდა თუ არა ბათუმის მერიასა და შპს „CMD DOMINGO Y LAZARO INGENIEROS, S.I“-ს შორის 2010 წლის 19 ნოემბერს გაფორმებულ ხელშეკრულებაში რაიმე სახის ცვლილება. 2012 წლის სექტემბრის თვეში „გაზეთ ბათუმელებისთვის“ მიწოდებულ დოკუმენტებში არ მოიძებნება ასევე ინფორმაცია, რომელიც ესპანური კომპანიის მხრიდან ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებას დადასტურებდა.<sup>212</sup>

ანგარიშზე მუშაობის დროს საიამ სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს მიერ მომზადებული დასკვნა მოიპოვა, რომელიც შპს „CMD DOMINGO Y LAZARO INGENIEROS, S.I“-ს მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების ღირებულების საექსპერტო შეფასებას ეხება.<sup>213</sup>

2012 წლის 27 თებერვლით დათარიღებული საექსპერტო დასკვნის შესაბამისად, აღფაბეტური კომპის სამშენებლო სამუშაოების ფაქტობრივად

<sup>208</sup> 2010 წლის 19 ნოემბრის #439 ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ; მხარეები: თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის მერია და შპს „CMD DOMINGO Y LAZARO INGENIEROS, S.I“.

<sup>209</sup> 2010 წლის 19 ნოემბრის #439 ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ; მხარეები: თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის მერია და შპს „CMD DOMINGO Y LAZARO INGENIEROS, S.I“;

<sup>210</sup> 2010 წლის 19 ნოემბრის #439 ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ; მხარეები: თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის მერია და შპს „CMD DOMINGO Y LAZARO INGENIEROS, S.I“;

<sup>211</sup> ბათუმის მერიის 2013 წლის 1 აპრილის #04-04/4001 კორესპონდენცია;

<sup>212</sup> ბათუმის მერიის 2012 წლის 12 სექტემბრის #04-04/23828 კორესპონდენცია;

<sup>213</sup> სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2012 წლის 24 თებერვლის #005821-2012/03/1 დასკვნა;

შესრულებული სამუშაოების ღირებულებამ 15,736,027 ევრო შეადგინა, რაც ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებული სამუშაოების ღირებულებაზე 263,972 ევროთი ნაკლებია.<sup>214</sup>

**4.1.5. შპს „CMD DOMINGO Y LAZARO INGENIEROS, S.I.“-ის წარმომადგენლობა საქართველოში“**

შპს „CMD DOMINGO Y LAZARO INGENIEROS, S.I.“-ის წარმომადგენლობა საქართველოში“ ესპანურმა კომპანია შპს „CMD DOMINGO Y LAZARO INGENIEROS, S.I.“-მა დააფუძნა 2010 წლის 29 ნოემბერს, როგორც ამავე კომპანიის ფილიალი.<sup>215</sup> ხოლო ბათუმის მერიამ 2012 წლის 17 იანვარს, გამარტივებული სახელმწიფო შესყიდვის ფორმით, კომპანიასთან 752,000 ლარის ღირებულების სამუშაოების შესყიდვაზე ხელშეკრულება გააფორმა.<sup>216</sup>

კონტრაქტის თანახმად, კომპანიას ალფაბეტური კოშკის შიდა ინტერიერის დამატებითი სამუშაოები უნდა შეესრულებინა, რაც მოიცავდა შემდეგს:

- საინჟინრო მოდიფიკაციების და საპროექტო ნახაზების (არქიტექტორული და საინჟინრო) მოდიფიკაცია სართულის ახალი დანაწილებისთვის;
- მოსამზადებელი სამუშაოები;
- შესრულებული სამუშაოების დემონტაჟი;
- მიწოდებული მასალების ადაპტირება ხელახალი გამოყენებისთვის;
- საჭირო ბაზური მასალის მიწოდება;
- ელექტრო სისტემების (დაბალი ძაბვა, განათება, კომუნიკაციები) მონტაჟი;
- მექანიკური სისტემების (კონდიციონერები და გამწოვი სისტემა, წყალკანალიზაცია, ჩამდინარე წყლები, ხანძარსაწინააღმდეგო და სატვირთო ლიფტი) მონტაჟი;
- შენობის შეფუთვა და დატიხვრა (გიბსოკარდონის სამუშაოები და თერმოიზოლაცია);
- ვერტიკალური მოპირკეთების სამუშაოები (კერამიკა, ლებვა);
- ჰორიზონტალური მოპირკეთების სამუშაოები (იატაკის და ჭერის ზედაპირი);
- სადურგლო სამუშაოების შესრულება (კარები).<sup>217</sup>

კონტრაქტშივე აღინიშნა, რომ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები მოიცავდა მხოლოდ იმ სართულის სამუშაოების შესრულებას, სადაც სატელევიზიო სტუდია უნდა განთავსებულიყო.<sup>218</sup>

ზემოთ აღნიშნული სამუშაოები ესპანური კომპანიის ფილიალს 2012 წლის პირველ მარტამდე უნდა შეესრულებინა. თუმცა, **ხელშეკრულებით განსაზღვრული ვადის ამონურვამდე სამი დღით ადრე მხარეებს შორის გაფორმდა შეთანხმების დოკუმენტი, რომლითაც მხარეები შეთანხმდნენ, რომ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულების ვადა იმავე წლის 10 აპრილამდე გადაინევდა.**<sup>219</sup>

<sup>214</sup> სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2012 წლის 24 თებერვლის #005821-2012/03/1 დასკვნა;

<sup>215</sup> [https://enreg.reestri.gov.ge/main.php?c=mortgage&m=get\\_output\\_by\\_id&scandoc\\_id=157073&app\\_id=176322](https://enreg.reestri.gov.ge/main.php?c=mortgage&m=get_output_by_id&scandoc_id=157073&app_id=176322);

<sup>216</sup> 2012 წლის 17 იანვრის #2 ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ; მხარეები: თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის მერია და შპს „CMD DOMINGO Y LAZARO INGENIEROS, S.I.-ის წარმომადგენლობა საქართველოში“;

<sup>217</sup> 2012 წლის 17 იანვრის #2 ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ; მხარეები: თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის მერია და შპს „CMD DOMINGO Y LAZARO INGENIEROS, S.I.-ის წარმომადგენლობა საქართველოში“;

<sup>218</sup> 2012 წლის 17 იანვრის #2 ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ; მხარეები: თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის მერია და შპს „CMD DOMINGO Y LAZARO INGENIEROS, S.I.-ის წარმომადგენლობა საქართველოში“;

<sup>219</sup> 2012 წლის 17 იანვრის #2 ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ; მხარეები: თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის მერია და შპს „CMD DOMINGO Y LAZARO INGENIEROS, S.I.-ის

კონტრაქტის თანახმად, კომპანიას ალფაბეტური კოშკის შიდა ინტერიერის დამატებითი სამუშაოები უნდა შეესრულებინა

ბათუმის მერიის მიერ 2012 წელს ალფაბეტურ კომპოზიციით დაკავშირებით გაცემულ დოკუმენტებში არ მოიპოვება ინფორმაცია იმის შესახებ, რეალურად როდის შესრულდა კომპანიის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები, რამდენად ჯეროვნად და კანონის მოთხოვნების შესაბამისად.

ამასთან, ანგარიშზე მუშაობის დროს საიამ მოიპოვა სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ მომზადებული დასკვნა, რომელიც შპს „CMD DOMINGO Y LAZARO INGENIEROS, S.I.“-ის ფილიალის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების ღირებულების საექსპერტო შეფასებას ეხება.<sup>220</sup>

საექსპერტო დასკვნის შესაბამისად, ალფაბეტური კომპიის სფეროში შიდა ინტერიერის დამატებითი სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების ფაქტობრივი შესრულება ექსპერტის მიერ 752,000 ლარად იქნა შეფასებული და აღინიშნა, რომ სამუშაოების ფაქტობრივი შესრულება ემთხვეოდა ხარჯთაღრიცხვის მიხედვით განსაზღვრულ სამუშაოებს.<sup>221</sup>

თუმცა, ექსპერტიზის ბიუროს მიერ მომზადებული აღნიშნული დასკვნის საფუძველზე, შეუძლებელია კომპანიის მიერ შესრულებული სამუშაოების ხარისხზე მსჯელობა და ის მხოლოდ სამუშაოს ღირებულებას ეხება.

ამასთან, თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ მთელ დასკვნაში არასწორად არის მითითებული შემსრულებელი კომპანიის ზუსტი იურიდიული დასახელება და ნაცვლად – შპს „CMD DOMINGO Y LAZARO INGENIEROS, S.I.“-ის წარმომადგენლობა საქართველოში – ყველგან ამავე კომპანიის დამფუძნებელი ესპანური კომპანია შპს „CMD DOMINGO Y LAZARO INGENIEROS, S.I.“-ია მითითებული, ხოლო ექსპერტიზის დასკვნის ერთ ნაწილში შეცდომით არის აღნიშნული, რომ ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოების ღირებულება 263,972 ევროთი ნაკლებია ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებული სამუშაოების ღირებულებაზე,<sup>222</sup> როგორც მინიმუმ, შესაძლებელია დაისვას კითხვები, რომლებიც ექსპერტიზის ბიუროს მიერ დასკვნის მომზადების პროცესში განეული საქმიანობის ჯეროვან და ობიექტურ შეფასებასთან იქნება დაკავშირებული.

4.1.6. სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს

ალფაბეტური კომპიის მშენებლობის პროცესში ბათუმის მერიამ კიდევ ორი იურიდიულ პირთან გააფორმა კონტრაქტი. აქედან ერთი – სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროსთან გაფორმდა (შემდგომში ექსპერტიზის ეროვნული ბიურო). ხელშეკრულების მთლიანი ღირებულება 300,000 ლარით განისაზღვრა. აღნიშნული თანხის სანაცვლოდ, ექსპერტიზის ბიუროს, ალფაბეტური კომპიის მშენებლობასთან დაკავშირებით, ექსპერტიზის ორგანიზება, საექსპერტო დასკვნისა და შესაბამისი აქტის შედგენის მომსახურება ევალებოდა.<sup>223</sup> მხარეებს შორის გაფორმებული ხელშეკრულების თანახმად, ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს კონტრაქტით განსაზღვრული მომსახურება 2011 წლის 25 დეკემბრის ჩათვლით უნდა გაენიჭა.<sup>224</sup>

წარმომადგენლობა საქართველოში“; 2012 წლის 27 თებერვლის მხარეთა შეთანხმება #1 – 2012 წლის 17 იანვრის სახელმწიფო შესყიდვის შესახებ #2 ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

<sup>220</sup> სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2012 წლის 30 მარტის #010037-2012/03/1 დასკვნა;

<sup>221</sup> სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2012 წლის 30 მარტის #010037-2012/03/1 დასკვნა;

<sup>222</sup> სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2012 წლის 30 მარტის #010037-2012/03/1 დასკვნა;

<sup>223</sup> 2011 წლის 13 მაისის #139 ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ; მხარეები: თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის მერია და სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო;

<sup>224</sup> 2011 წლის 13 მაისის #139 ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ; მხარეები: თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის მერია და სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო

თუმცა, ხელშეკრულების გაფორმებიდან მალევე ხელშეკრულებაში პირველი ცვლილება იქნა შეტანილი და მხარეები შეთანხმდნენ, რომ მომსახურების საფასური განისაზღვრებოდა ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მომსახურების ტარიფებით.<sup>225</sup>

**მომდევნო ცვლილება ხელშეკრულების მოქმედების ვადის ამონურვამდე სამი დღით ადრე იქნა შეტანილი და მხარეები შეთანხმდნენ, რომ ხელშეკრულების მოქმედების ვადა, ნაცვლად 2011 წლის 25 დეკემბრისა, 2012 წლის 1 მაისამდე გაგრძელდებოდა.**<sup>226</sup>

ხელშეკრულების ვადის ამონურვამდე მხარეებმა კონტრაქტში კიდევ ერთი ცვლილება შეიტანეს, რომელიც ამჯერადაც ხელშეკრულების მოქმედების ვადის გაგრძელებას შეეხო. მხარეთა შეთანხმებით, რომელიც ხელშეკრულების მოქმედების ვადის ამონურვის დღეს – 2012 წლის 1 მაისს იქნა ხელმოწერილი, ხელშეკრულების მოქმედების ვადა იმავე წლის პირველ სექტემბრამდე გაგრძელდა.<sup>227</sup>

სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროსთან გაფორმებული ხელშეკრულების შემთხვევაშიც, უცნობია, თუ როდის, რამდენად კანონის მოთხოვნების დაცვით შესრულდა ექსპერტიზის ბიუროს მიერ ნაკისრი ვალდებულებები და როდის გაფორმდა მხარეებს შორის შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტი.

#### 4.1.7. “APPLUS + Norcontrol S.LU.”

კიდევ ერთ ესპანურ კომპანია “APPLUS + Norcontrol S.LU.”-თან კონტრაქტი ბათუმის მერიამ 2011 წლის 10 ივნისს გააფორმა. ხელშეკრულების თანახმად, კომპანიას უნდა განეხორციელებინა შედუღების ინსპექცია, კონტროლი და არამრღვევი გამოცდა ტესტირებისა და კონტროლის საშუალებით ალფაბეტური კომპის მშენებლობისა და ანყობის პროცესში.<sup>228</sup> ხელშეკრულების თანახმად, აღნიშნული მომსახურების სანაცვლოდ, ბათუმის მერიას ესპანური კომპანიისთვის 52,800 ევრო უნდა გადაეხადა, რაც ხელშეკრულების გაფორმების დღეს არსებული კურსის მიხედვით, 119,845 ლარს შეადგენდა.<sup>229</sup> **ამასთან, კონტრაქტშივე აღინიშნა, რომ ესპანური კომპანიისთვის გადასარიცხი 52,800 ევრო არ მოიცავდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს და მათი გადახდა თავად შემსყიდველი მხარის – ბათუმის მერიის ვალდებულებას წარმოადგენდა.**<sup>230</sup>

მხარეთა შეთანხმებით, ხელშეკრულების მოქმედების ვადა ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან ხუთი თვით განისაზღვრა და 2011 წლის 10 ნოემბერს უნდა დასრულებულიყო. მაგრამ **ხელშეკრულებით აღებული ვალდებულების შესრულების ვადის ამონურვამდე ერთი დღით ადრე, მხარეები შეთანხმდნენ, რომ აღნიშნული ვადა იმავე წლის 25 დეკემბრამდე გაგრძელდებოდა.**<sup>231</sup>

**ხელშეკრულების გაგრძელებული ვადის ამონურვამდე ორი დღით ადრე, მხარეებმა კიდევ ერთი შეთანხმება გააფორმეს და ამჯერად უკვე ხელშეკ-**

*მხარეთა შეთანხმებით, რომელიც ხელშეკრულების მოქმედების ვადის ამონურვის დღეს – 2012 წლის 1 მაისს იქნა ხელმოწერილი, ხელშეკრულების მოქმედების ვადა იმავე წლის პირველ სექტემბრამდე გაგრძელდა.*

თავი 4

ექსპერტიზის ეროვნული ბიურო;

<sup>225</sup> 2011 წლის 24 მაისის მხარეთა შეთანხმება #1 – 2011 წლის 13 მაისის სახელმწიფო შესყიდვის შესახებ #139 ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

<sup>226</sup> 2011 წლის 22 დეკემბრის მხარეთა შეთანხმება #2 – 2011 წლის 13 მაისის სახელმწიფო შესყიდვის შესახებ #139 ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

<sup>227</sup> 2012 წლის 1 მაისის მხარეთა შეთანხმება #3 – 2011 წლის 13 მაისის სახელმწიფო შესყიდვის შესახებ #139 ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

<sup>228</sup> 2011 წლის 10 ივნისის #165 ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ; მხარეები: თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის მერია და “APPLUS + Norcontrol S.LU.”

<sup>229</sup> <http://www.nbg.ge/index.php?m=582&lng=geo>

<sup>230</sup> 2011 წლის 10 ივნისის #165 ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ; მხარეები: თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის მერია და “APPLUS + Norcontrol S.LU.”

<sup>231</sup> 2011 წლის 9 ნოემბრის მხარეთა შეთანხმება #1 – 2011 წლის 10 ივნისის სახელმწიფო შესყიდვის შესახებ #165 ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;



**რულების მოქმედების ვადა 2012 წლის პირველ მარტამდე გააგრძელეს.<sup>232</sup>**

იმის გათვალისწინებით, რომ ბათუმის მერიის მიერ არ მომხდარა სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროსა და ესპანურ კომპანია “APPLUS + Norcontrol S.LU.”-თან გაფორმებული ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების თაობაზე შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტების გაცემა, საიასთვის უცნობი დარჩა, რეალურად როდის და რამდენად ჯეროვნად იქნა შესრულებული მათ მიერ აღნიშნული ვალდებულებები.

ზემოთ ხსენებული ორივე კონტრაქტის გაფორმების დროს ბათუმის მერიამ სახელმწიფო შესყიდვების იგივე ფორმა გამოიყენა, რასაც სხვა იურიდიულ პირებთან იყენებდა ალფაბეტური კომპის მშენებლობის პროცესში. ამასთან, სხვა კომპანიებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში შეტანილი ცვლილებებისგან განსხვავებით, რომელსაც თან ახლდა ხელშეკრულების მოქმედების ვადის გაგრძელება და იმ გარემოებების აღწერა, სადაც ვადის გაგრძელების აუცილებლობაზე იყო საუბარი, სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროსა და ესპანურ კომპანია “APPLUS + Norcontrol S.LU.”-თან გაფორმებული ხელშეკრულებების შემთხვევებში, მსგავსი განმარტებები არ არსებობს.

თუმცა, შესაძლებელია, რომ კონტრაქტით გასაწევი მომსახურების სპეციფიკიდან გამომდინარე, როგორც ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს, ასევე, ესპანური კომპანიის შემთხვევაში, ხელშეკრულებებში ცვლილებების შეტანა და ვადის გაგრძელება სხვა კომპანიების მხრიდან შესაბამისი სამუშაოების დროულად შეუსრულებლობით ყოფილიყო განპირობებული.

**4.1.8. დასკვნა**

ალფაბეტური კომპის მშენებლობის ირგვლივ განვითარებული მოვლენები ცხადყოფს, რომ კომპის მშენებლობის პროცესი, ხშირ შემთხვევაში, ფორსირებულად მიმდინარეობდა. მუდმივად ხდებოდა ხელშეკრულებებში ცვლილებების შეტანა და შესასრულებელი სამუშაოების ვადის გადაწევა.

ალფაბეტური კომპის მშენებლობის პროცესში გამოყენებული შესყიდვის ფორმები ეჭვის ქვეშ აყენებს სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონით განსაზღვრული ისეთი მიზნების მიღწევას, როგორცაა: სახელმწიფო შესყიდვებისთვის განკუთვნილი ფულადი სახსრების რაციონალური ხარჯვისა და სახელმწიფო შესყიდვების საჯაროობის უზრუნველყოფა; სახელმწიფო საქროებისათვის აუცილებელი საქონლის წარმოების, მომსახურების განწევისა და სამშენებლო სამუშაოს შესრულების სფეროში ჯანსაღი კონკურენციის განვითარება.

უცნობია, თუ რა პრინციპით ხდებოდა შესასრულებელი სამუშაოებისთვის შესაბამისი კომპანიების შერჩევა. ამასთან, ბათუმის მერიის მიერ გაცემული იმ ხელშეკრულებების ჩამონათვალში, რომლებიც ბათუმის ისტორიული უბნებისა და ტურისტული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის 2009-2013 წლების პროგრამის ფარგლებში იქნა გაფორმებული, არ ფიგურირებს ხელშეკრულება, ალფაბეტური კომპის მშენებლობის მიზნით, შესაბამისი ტერიტორიის საინჟინრო გეოლოგიურ კვლევასთან დაკავშირებით.

ალფაბეტური კომპის მშენებლობის პროცესში გამოყენებული შესყიდვის ფორმები ეჭვის ქვეშ აყენებს სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონით განსაზღვრული ისეთი მიზნების მიღწევას, როგორცაა: სახელმწიფო შესყიდვებისთვის განკუთვნილი ფულადი სახსრების რაციონალური ხარჯვისა და სახელმწიფო შესყიდვების საჯაროობის უზრუნველყოფა.

<sup>232</sup> 2011 წლის 23 დეკემბრის მხარეთა შეთანხმება #2 – 2011 წლის 10 ივნისის სახელმწიფო შესყიდვის შესახებ #165 ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

#### 4.2. ქ. ბათუმში ოპერისა და ბალეტის სახლის მშენებლობა

ოპერისა და ბალეტის შენობის მშენებლობა ბათუმში ერთ-ერთია იმ პროექტ-თაგან, რომელიც ბათუმის ისტორიული უბნებისა და ტურისტული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის 2009-2013 წლების პროგრამიდან დაფინანსდა.

შესაბამისად, პროექტთან დაკავშირებით მეტი ინფორმაციის მოპოვების მიზნით, 2013 წლის მაისის თვეში საიამ წერილობითი განცხადებით მიმართა ბათუმის მერიას და შემდეგი ინფორმაციის გაცემა მოითხოვა:

- „ქ. ბათუმში ოპერისა და ბალეტის სახლის მშენებლობის“ მიზნით გაფორმებული ყველა ხელშეკრულებისა და ხელშეკრულებებით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულების დამადასტურებელი მიღება-ჩაბარების აქტების ასლი (მათ შორის, შპს „CMD DOMINGO Y LAZARO INGENIEROS. S.I.“-სა და შპს „ტუოვთან“);
- სახელმწიფო შესყიდვების რომელი ფორმა იქნა გამოყენებული ბათუმის თვითმმართველობის მიერ – „ქ. ბათუმში ოპერისა და ბალეტის სახლის“ მშენებლობის მიზნით;
- სად მდებარეობს „ბათუმის „ისტორიული უბნებისა და ტურისტული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის პროგრამის“ ფარგლებში აშენებული ბათუმის ოპერისა და ბალეტის სახლი.<sup>233</sup>

წარდგენილ განცხადებასთან დაკავშირებით, ბათუმის მერიის მიერ ორი ხელშეკრულება იქნა გაცემული, რომელთა ანალიზის საფუძველზე შესაძლებელია სახელმწიფო შესყიდვის იმ ფორმის განსაზღვრა, რომელიც ბათუმის მერიამ ბათუმში ოპერისა და ბალეტის სახლის მშენებლობის პროცესში გამოიყენა. თუმცა, ბათუმის მერიის მიერ გაცემული მასალები არ მოიცავს ინფორმაციას იმის შესახებ, თუ სად არის განთავსებული ქ. ბათუმში ოპერისა და ბალეტის სახლი, რომლის მშენებლობაც ბათუმის ისტორიული უბნებისა და ტურისტული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის პროგრამიდან უნდა მომხდარიყო.<sup>234</sup>

შპს „ტუოვთან“ გაფორმებული ხელშეკრულების მიხედვით, კომპანიას ქ. ბათუმში ოპერისა და ბალეტის სახლის მშენებლობისთვის გამოყოფილი უბნის საინჟინრო-გეოლოგიური სამუშაოები უნდა შეესრულებინა, რომლის ღირებულება 110,550 ლარით განისაზღვრა და 2009 წლის 1 ოქტომბრამდე უნდა დასრულებულიყო.<sup>235</sup>

მხარეებს შორის ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მე-3 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტით განსაზღვრული, იმ დროისთვის ჯერ კიდევ მოქმედი, ერთ პირთან მოლაპარაკების გზით გაფორმდა. ხელშეკრულების აღნიშნული ფორმით დადებამ კი, საქართველოს მთავრობის 2009 წლის 18 მარტის №196 განკარგულება დაედო საფუძვლად.<sup>236</sup>

შპს „ტუოვთან“ გაფორმებულ ხელშეკრულებაზე თანდართული შესრულებული სამუშაოს მიღება-ჩაბარების აქტისა<sup>237</sup> და ბათუმის მერიის კეთილმოწყობის სამსახურის მიერ მომზადებული მოხსენებითი ბარათის<sup>238</sup> თანახმად, კომპანიის მიერ აღებული ვალდებულებები 2009 წლის 14 აგვისტოსთვის იქნა შესრულებული და ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების რეალურმა ღირებულებამ 103,341 ლარი შეადგინა, რაც ბათუმის მერიის მიერ იმავე წლის 27 აგვისტოს იქნა ანაზღაურებული.<sup>239</sup>

<sup>233</sup> საიას 2013 წლის 13 მაისის #გ-04/184-13 განცხადება;

<sup>234</sup> ბათუმის მერიის 2013 წლის 14 ივნისის #04-04/13848 კორესპონდენცია;

<sup>235</sup> 2009 წლის 10 ივლისის #212 ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ; მხარეები: თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის მერია და შპს „ტუოვი“;

<sup>236</sup> 2009 წლის 10 ივლისის #212 ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ; მხარეები: თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის მერია და შპს „ტუოვი“;

<sup>237</sup> #212 ხელშეკრულების #1 მიღება-ჩაბარების აქტი;

<sup>238</sup> ბათუმის მერიის კეთილმოწყობის სამსახურის 2009 წლის 18 აგვისტოს #1-6/587 მოხსენებითი ბარათი;

<sup>239</sup> 2009 წლის 27 აგვისტოს #0074 საგადასახადო დავალება;

წარდგენილ განცხადებასთან დაკავშირებით, ბათუმის მერიის მიერ ორი ხელშეკრულება იქნა გაცემული.

მაშინ, როცა პრეზიდენტი აღნიშნულ განცხადებას აკეთებდა, არც შენობის გეგმა არსებობდა და არც ოპერისა და ბალეტის სახლის მშენებლობისთვის გამოყოფილი უბნის საინჟინრო-გეოლოგიური დასკვნა.

ამრიგად, შპს „ტუოვს“ ბათუმის მერიამ, ქ. ბათუმში ოპერისა და ბალეტის სახლის მშენებლობისთვის გამოყოფილი უბნის საინჟინრო-გეოლოგიური სამუშაოების შესრულებისთვის 103,341 ლარი გადაუხადა.

შპს „ტუოვთან“ ხელშეკრულების გაფორმებამდე და ქ. ბათუმში ოპერისა და ბალეტის სახლის მშენებლობისთვის გამოყოფილი უბნის საინჟინრო-გეოლოგიური სამუშაოების შესახებ შესაბამისი დასკვნის მიღებამდე, ბათუმის მერიამ, ოპერისა და ბალეტის სახლის მშენებლობის მიზნით, საპროექტო მომსახურების თაობაზე შპს „CMD DOMINGO Y LAZARO INGENIEROS, S.I.“-სთან გააფორმა ხელშეკრულება. ხელშეკრულების თანახმად, ესპანურ კომპანიას ოპერისა და ბალეტის სახლის საპროექტო მომსახურების სამუშაოები უნდა შეესრულებინა.<sup>240</sup>

საყურადღებოა, რომ ბათუმის მერიამ ოპერისა და ბალეტის სახლის მშენებლობისთვის ჯერ შენობის პროექტი დაუკვეთა ესპანურ კომპანიას და მხოლოდ ერთი თვის შემდეგ გააფორმა ხელშეკრულება მშენებლობისთვის გამოყოფილი უბნის საინჟინრო-გეოლოგიური სამუშაოების შესახებ.<sup>241</sup>

უფრო მეტიც, 2009 წლის 11 მაისს, ანუ ზუსტად იმ დღეს, როდესაც ბათუმის მერიამ შპს „CMD DOMINGO Y LAZARO INGENIEROS, S.I.“-სთან, ბათუმში ოპერისა და ბალეტის სახლის მშენებლობის მიზნით, შესაბამისი პროექტის მომზადების თაობაზე გააფორმა ხელშეკრულება, საქართველოს პრეზიდენტმა ბათუმში „**მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე ლამაზი, ყველაზე თანამედროვე ოპერის თეატრის**“ მშენებლობის დაწყების თაობაზე გააკეთა საჯარო განცხადება.<sup>242</sup> თუმცა, მაშინ, როცა პრეზიდენტი აღნიშნულ განცხადებას აკეთებდა, არც შენობის გეგმა არსებობდა და არც ოპერისა და ბალეტის სახლის მშენებლობისთვის გამოყოფილი უბნის საინჟინრო-გეოლოგიური დასკვნა.

პროექტი, რომელიც ესპანურ კომპანიას ბათუმში ოპერისა და ბალეტის სახლის მშენებლობისთვის უნდა მოემზადებინა, სამ მნიშვნელოვან კომპონენტს მოიცავდა, კერძოდ:

- კონცეპტუალურ გეგმას;
- საძირკვლის გეგმას;
- შენობისა და მიმდებარე სივრცის გეგმას.

ზემოთ აღნიშნული მომსახურების სანაცვლოდ, ბათუმის მერიამ აიღო ვალდებულება, რომ კომპანიას 940,000 ევროს გადაუხდოდა, რაც ხელშეკრულების გაფორმების დროს არსებული კურსის მიხედვით 2,086,800 ლარს შეადგენდა.<sup>243</sup> თუმცა, ყურადღება უნდა მიექცეს იმ გარემოებას, რომ მხარეებს შორის გაფორმებული სახელშეკრულებით თანხა – 940,000 ევრო – არ მოიცავდა საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ გადასახადებს და მისი გადახდა ბათუმის მერიის მოვალეობას წარმოადგენდა,<sup>244</sup> რაც კიდევ უფრო ზრდიდა ხელშეკრულებით გათვალისწინებული საპროექტო მომსახურების ღირებულებას. ბათუმის მერიის მიერ საიასთვის მიწოდებული ინფორმაციის თანახმად, რომელიც ბათუმის ისტორიული უბნებისა და ტურისტული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის 2009-2013 წლების პროგრამის ფარგლებში გაფორმებული ხელშეკრულებების სიას მოიცავს, ესპანურ კომპანიასთან ბათუმში ოპერისა და ბალეტის სახლის საპროექტო მომსახურების მიზნით გაფორმებული ხელშეკრულების ღირებულება კიდევ უფრო მეტ – 2,167,300

<sup>240</sup> 2009 წლის 11 მაისის #137 ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ; მხარეები: თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის მერია და შპს „CMD DOMINGO Y LAZARO INGENIEROS, S.I.“;

<sup>241</sup> 2009 წლის 11 მაისის #137 ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ; მხარეები: თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის მერია და შპს „CMD DOMINGO Y LAZARO INGENIEROS, S.I.“; 2009 წლის 10 ივლისის #212 ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ; მხარეები: თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის მერია და შპს „ტუოვი“;

<sup>242</sup> [http://netgazeti.ge/GE/issue0/News/785/;](http://netgazeti.ge/GE/issue0/News/785/)

<sup>243</sup> <http://www.nbg.ge/index.php?m=582&lng=geo;>

<sup>244</sup> 2009 წლის 11 მაისის #137 ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ; მხარეები: თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის მერია და შპს „CMD DOMINGO Y LAZARO INGENIEROS, S.I.“;

ლარს შეადგენს.<sup>245</sup>

ხელშეკრულების მიხედვით, ესპანურ კომპანიას მომსახურების შესრულების საბოლოო ვადად 2009 წლის 1 ნოემბერი განესაზღვრა.<sup>246</sup>

პროექტის აღწერილობის თანახმად, ხელშეკრულების საფუძველზე განისაზღვრა, რომ პროექტი სამი ნაწილისგან შედგებოდა და შემდეგ კომპონენტებს მოიცავდა:

ნაწილი I

- სხვადასხვა იდეის ან კონცეფციის შემოთავაზება;
- შერჩეული კონცეფციის სამ განზომილებიანი სურათები;
- გენერალური გეგმა;
- წინასწარი პროგრამა ყოველი საფეხურისთვის;
- წინასწარი ჭრილი.<sup>247</sup>

ნაწილი II

- საძირკვლის საინჟინრო გეგმა;
- საძირკვლის სტრუქტურული ნახაზები;
- ფასების გაანგარიშება (ერთეულების ჩამონათვალი).<sup>248</sup>

ნაწილი III

- არქიტექტურული გეგმა;
- სტრუქტურული გეგმა;
- ხარისხისა და მასალის მახასიათებლები;
- დამონტაჟება – სპეციფიკური პროექტები;
- აკუსტიკის გეგმა;
- დეკორატიული განათების გეგმა;
- ზემო ხედის გეგმა, ჭრილები და სამ განზომილებიანი გამოსახულება;
- ფასების გაანგარიშება (ერთეულების ჩამონათვალი).<sup>249</sup>

საინტერესოდ განვითარდა მოვლენები ბათუმში ოპერისა და ბალეტის სახლის მშენებლობის მიზნით შესაბამისი პროექტის მომზადების თაობაზე შპს „CMD DOMINGO Y LAZARO INGENIEROS, S.I.“-სთან ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ. კერძოდ, საიას ხელთ არსებული ხელშეკრულებისთვის თანდართული დოკუმენტების მიხედვით, ცნობილი ხდება, რომ მხარეებს შორის პირველი მიღება-ჩაბარების აქტი ხელშეკრულების გაფორმებიდან სამ დღეში, 2009 წლის 14 მაისს გაფორმდა და ესპანური კომპანიის მიერ პროექტით გათვალისწინებული კონცეპტუალური გეგმის მომზადებას ეხებოდა. აღნიშნული მიღება-ჩაბარების აქტის თანახმად, განეული მომსახურება მოიცავდა:

- სხვადასხვა იდეის ან კონცეფციის შემოთავაზებას;
- შერჩეული კონცეფციის სამ განზომილებიან სურათებს;

<sup>245</sup> ბათუმის მერიის 2013 წლის 1 აპრილის #04-04/4001 კორესპოდენცია;

<sup>246</sup> 2009 წლის 11 მაისის #137 ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ; მხარეები: თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის მერია და შპს „CMD DOMINGO Y LAZARO INGENIEROS, S.I.“;

<sup>247</sup> 2009 წლის 11 მაისის #137 ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ; მხარეები: თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის მერია და შპს „CMD DOMINGO Y LAZARO INGENIEROS, S.I.“;

<sup>248</sup> 2009 წლის 11 მაისის #137 ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ; მხარეები: თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის მერია და შპს „CMD DOMINGO Y LAZARO INGENIEROS, S.I.“;

<sup>249</sup> 2009 წლის 11 მაისის #137 ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ; მხარეები: თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის მერია და შპს „CMD DOMINGO Y LAZARO INGENIEROS, S.I.“;

*მხარეებს შორის პირველი მიღება-ჩაბარების აქტი ხელშეკრულების გაფორმებიდან სამ დღეში, 2009 წლის 14 მაისს გაფორმდა და ესპანური კომპანიის მიერ პროექტით გათვალისწინებული კონცეპტუალური გეგმის მომზადებას ეხებოდა.*

- გენერალურ გეგმას;
- წინასწარ პროგრამას ყოველი საფეხურისთვის;
- წინასწარ ქრილს.<sup>250</sup>

აღნიშნული მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე, ბათუმის მერიის არქიტექტურისა და ურბანული დაგეგმარების სამსახურის მიერ მომზადდა მოხსენებითი ბარათი, სადაც აღნიშნული იყო კომპანიის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირველი ეტაპის სამუშაოების შესრულების შესახებ. მოხსენებითი ბარათის საფუძველზე, სამსახურმა ესპანური კომპანიისთვის მთლიანი სახელშეკრულებო თანხის 40%-ის – 376,000 ევროს ანაზღაურება ითხოვა.<sup>251</sup> შედეგად, ბათუმის მერიამ შპს „CMD DOMINGO Y LAZARO INGENIEROS, S.I.“-ს 2009 წლის 22 მაისს 859,423 ლარი გადაურიცხა, ხოლო კიდევ 240,640 ლარი გადასახადების სახით გადაიხადა.<sup>252</sup>

მომდევნო მიღება-ჩაბარების აქტი მხარეებს შორის იმავე წლის 3 ნოემბერს გაფორმდა და წესით ხელშეკრულებით განსაზღვრული პროექტის აღწერილობის მე-2 და მე-3 ეტაპების მომსახურების შესრულებასთან უნდა ყოფილიყო დაკავშირებული. თუმცა, რეალურად, მხარეებს შორის გაფორმებული მეორე მიღება-ჩაბარების აქტი არა ბათუმში ოპერისა და ბალეტის სახლის პროექტს, არამედ საგამოფენო დარბაზის პროექტირებას ეხებოდა.

საიასთვის უცნობია, თუ როგორ შეიცვალა ოპერისა და ბალეტის სახლის პროექტი საგამოფენო დარბაზის პროექტით, მითუმეტეს, რომ ბათუმის მერიის მიერ მონოდეზულ დოკუმენტებში, რომლებიც ბათუმში ოპერისა და ბალეტის სახლის მშენებლობას ეხება, არაფერია ნათქვამი ხელშეკრულებაში შეტანილი ცვლილების ან რაიმე სხვა მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების შესახებ, რომლის საფუძველზეც, ცნობილი გახდებოდა, თუ როდის, როგორ, რა ფორმით და რა მიზეზით შეიცვალა ოპერისა და ბალეტის სახლის პროექტი საგამოფენო დარბაზის პროექტით.<sup>253</sup>

ბათუმის მერიასა და ესპანურ კომპანიას შორის 2009 წლის 3 ნოემბერს გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის თანახმად, შპს „CMD DOMINGO Y LAZARO INGENIEROS, S.I.“-ის მიერ მომზადებული საგამოფენო დარბაზის პროექტირების პროგრამა შემდეგ კომპონენტებს მოიცავდა:

- ტერიტორიაზე განთავსება;
- გამოყენების პროგრამა;
- ქრილები;
- ფასადები;
- ინტერიერის ხედები;
- ნაკადები.<sup>254</sup>

ზემოთ აღნიშნული მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე, ბათუმის მერიის არქიტექტურისა და ურბანული დაგეგმარების სამსახურის მიერ მორიგი მოხსენებითი ბარათი იქნა მომზადებული, სადაც აღნიშნული იყო კომპანიის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ახალი საგამოფენო დარბაზის მშენებლობის პროექტის მომზადების შესახებ. მოხსენებითი ბარათის საფუძველზე, სამსახურმა ესპანური კომპანიისთვის მთლიანი სახელშეკრულებო თანხის 22%-ის, ანუ 206,800 ევროს ანაზღაურება ითხოვა.<sup>255</sup> შედეგად, ბათუმის მერიამ შპს „CMD DOMINGO Y LAZARO INGENIEROS, S.I.“-ს

**მხარეებს შორის გაფორმებული მეორე მიღება-ჩაბარების აქტი არა ბათუმში ოპერისა და ბალეტის სახლის პროექტს, არამედ საგამოფენო დარბაზის პროექტირებას ეხებოდა.**

<sup>250</sup> თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის მერიას და შპს „CMD DOMINGO Y LAZARO INGENIEROS, S.I.“-ს შორის 2009 წლის 14 მაისს გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტი;

<sup>251</sup> ბათუმის მერიის არქიტექტურისა და ურბანული დაგეგმარების სამსახურის 2009 წლის 21 მაისის #01-20/214 მოხსენებითი ბარათი;

<sup>252</sup> 2009 წლის 22 მაისს #0020, #0021 და #0022 საგადასახადო დავალებები;

<sup>253</sup> ბათუმის მერიის 2013 წლის 14 ივნისის #04-04/13848 კორესპოდენცია;

<sup>254</sup> თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის მერიას და შპს „CMD DOMINGO Y LAZARO INGENIEROS, S.I.“-ს შორის 2009 წლის 3 ნოემბერს გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტი;

<sup>255</sup> ბათუმის მერიის არქიტექტურისა და ურბანული დაგეგმარების სამსახურის 2009 წლის 9 ნოემბრის #01-20/522 მოხსენებითი ბარათი;

2009 წლის 10 ნოემბერს 522,170 ლარი გადაურიცხა, ხოლო კიდევ 146,207 ლარი გადასახადების სახით გადაიხადა.<sup>256</sup>

ამრიგად, ბათუმის მერიამ, ბათუმში ოპერისა და ბალეტის სახლის პროექტისა და საინჟინრო-გეოლოგიური სამუშაოები მომზადების მიზნით, შპს „ტოვოს“ და შპს „CMD DOMINGO Y LAZARO INGENIEROS, S.I.“-ს (გადასახადების ჩათვლით) ჯამში 1,871,781 ლარი გადაუხადა. თუმცა, ოპერისა და ბალეტის ახალი სახლი ბათუმში არ აშენებულა, მიუხედავად იმისა, რომ ბათუმის ძველ ბუღვარში დიდხანს იყო განთავსებული შესაბამისი ბანერი, რომლის თანახმად, ბათუმის ოპერის თეატრი 2010 წლის ზაფხულში უნდა გახსნილიყო.<sup>257</sup>



ესპანური კომპანია შპს „CMD DOMINGO Y LAZARO INGENIEROS, S.I.“-ის საიტზე – [www.cmdingenieros.com](http://www.cmdingenieros.com) – დღემდე წარმოდგენილია ინფორმაცია ბათუმში ოპერისა და ბალეტის სახლის შესახებ და პროექტის მთლიანი ბიუჯეტი 25 მილიონი ევროთი არის განსაზღვრული. ესპანური კომპანია შპს „CMD DOMINGO Y LAZARO INGENIEROS, S.I.“-ის საიტზე – [www.cmdingenieros.com](http://www.cmdingenieros.com) პროექტის შესახებ ინფორმაციას თან ერთვის ასევე შესაბამისი ფოტოები:<sup>258</sup>



<sup>256</sup> 2009 წლის 22 მაისს #0020, #0021 და #0022 საგადასახადო დავალებები;

<sup>257</sup> [http://www.google.com/imgres?um=1&client=firefox-a&sa=N&rls=org.mozilla:en-US:official&hl=en&biw=1366&bih=626&tbnid=4hMsNgpUR\\_2CjM:&imgrefurl=http://netgazeti.ge/GE/issue0/News/785/&docid=m8XW7hd\\_dRMuRM&itg=1&imgurl=http://netgazeti.ge/images/cms-image-000000493.jpg&w=188&h=160&ei=cmfKUezoiXVtAa08YD4Dw&zoom=1&iact=rc&page=1&tbnh=128&tbnw=145&start=0&ndsp=16&ved=1t:429,r:9,s:0&tx=974&ty=445#imgdii=4hMsNgpUR\\_2CjM%3A%3Bt9vsc-3SY13UJM%3B4hMsNgpUR\\_2CjM%3A;](http://www.google.com/imgres?um=1&client=firefox-a&sa=N&rls=org.mozilla:en-US:official&hl=en&biw=1366&bih=626&tbnid=4hMsNgpUR_2CjM:&imgrefurl=http://netgazeti.ge/GE/issue0/News/785/&docid=m8XW7hd_dRMuRM&itg=1&imgurl=http://netgazeti.ge/images/cms-image-000000493.jpg&w=188&h=160&ei=cmfKUezoiXVtAa08YD4Dw&zoom=1&iact=rc&page=1&tbnh=128&tbnw=145&start=0&ndsp=16&ved=1t:429,r:9,s:0&tx=974&ty=445#imgdii=4hMsNgpUR_2CjM%3A%3Bt9vsc-3SY13UJM%3B4hMsNgpUR_2CjM%3A;)

<sup>258</sup> <http://www.cmdingenieros.com/en/proyectos/edificacion/palacio-opera-batumi;>



აღნიშნული ფოტოები მოწმობს, რომ ბათუმის ისტორიული უბნებისა და ტურისტული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის 2009-2013 წლების პროგრამის ფარგლებში ამ ფორმის და გეგმარების შენობა ბათუმში საერთოდ არ აშენებულა.

ბათუმში ოპერისა და ბალეტის სახლის მშენებლობის თაობაზე საუბრის ბოლოს ასევე უნდა აღინიშნოს, რომ შპს „ტუოვთან“ დადებული სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულების მსგავსად, შპს „CMD DOMINGO Y LAZARO INGENIEROS, S.I.“-თანაც სახელმწიფო შესყიდვის ერთ პირთან მოლაპარაკების ფორმა იქნა გამოყენებული.<sup>259</sup> სხვადასხვა პროექტში შესყიდვის აღნიშნული მეთოდის მასიურად გამოყენება კიდევ უფრო აძლიერებს საიას მოსაზრებას, რომ ბათუმის ისტორიული უბნებისა და ტურისტული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის 2009-2013 წლების პროგრამით გათვალისწინებული

თანხების ხარჯვის დროს უგულებელყოფილი იყო სახელმწიფო შესყიდვების განკუთვნილი ფულადი სახსრების რაციონალური ხარჯვა და სახელმწიფო შესყიდვების საჯაროობა, ასევე, საქონლის წარმოების, მომსახურების განევისა და სამშენებლო სამუშაოების შესრულების სფეროში ჯანსაღი კონკურენციის უზრუნველყოფა.

<sup>259</sup> 2009 წლის 11 მაისის #137 ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ; მხარეები: თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის მერია და შპს „CMD DOMINGO Y LAZARO INGENIEROS, S.I.“;

**4.3. ბათუმის ისტორიული ფორტის (თეთრი კოშკების) მშენებლობა**

ბათუმის ისტორიული ფორტის (თეთრი კოშკების) მშენებლობა იმ პროექტთა რიცხვს განეკუთვნება, რომლის მშენებლობაც ბათუმის ისტორიული უბნებისა და ტურისტული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის 2009-2013 წლების პროგრამით გათვალისწინებული ხარჯებიდან უნდა დაფინანსებულიყო.

შესაბამისად, პროექტთან დაკავშირებით მეტი ინფორმაციის მოპოვების მიზნით, 2013 წლის მაისის თვეში საიამ წერილობით მიმართა ბათუმის მერიას და შემდეგი ინფორმაციის გაცემა მოითხოვა:

- „შავი ზღვის სანაპიროზე ბათუმის ისტორიული ფორტის (თეთრი კოშკების)“ მშენებლობის მიზნით გაფორმებული ყველა ხელშეკრულებისა და ამ ხელშეკრულებებით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულების დამადასტურებელი მიღება-ჩაბარების აქტების ასლები;
- „ბათუმის „ისტორიული უბნებისა და ტურისტული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის პროგრამის“ ფარგლებში აშენებული ბათუმის ისტორიული ფორტის (თეთრი კოშკები) მისამართი.<sup>260</sup>

ბათუმის მერიას ასევე უნდა გაეცა ინფორმაცია იმის შესახებ, სახელმწიფო შესყიდვის რომელი ფორმა იქნა გამოყენებული შავი ზღვის სანაპიროზე ბათუმის ისტორიული ფორტის (თეთრი კოშკების) მშენებლობის პროცესში.<sup>261</sup>

მერიის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, ცნობილი ხდება, რომ შავი ზღვის სანაპიროზე ბათუმის ისტორიული ფორტის (თეთრი კოშკების) მშენებლობის მიზნით, ბათუმის მერიამ ერთი კონტრაქტი გააფორმა და ისტორიული ფორტის მშენებლობა შპს „Creative impressions Caucasus“-ს მიანდო. კონტრაქტი, რომლის თავდაპირველი საერთო ღირებულება 2,260,113 ლარით განისაზღვრა, ბათუმის მერიამ, საქართველოს მთავრობის მიერ მიღებული განკარგულებების<sup>262</sup> საფუძველზე, ერთ პირთან მოლაპარაკების გზით გააფორმა შპს „Creative impressions Caucasus“-თან.<sup>263</sup> **ამრიგად, ისტორიული ფორტის მშენებლობის თავდაპირველ ეტაპზევე გამოირიცხა სახელმწიფო შესყიდვების ისეთი ფორმები, რომლებიც სახელმწიფო შესყიდვის პროცესში გამჭვირვალობის და კონკურენციის უფრო მაღალ სტანდარტებს ამკვიდრებს.**

ხელშეკრულების თანახმად, კომპანიას ბათუმში ისტორიული ფორტის მშენებლობა 2010 წლის 1 მაისამდე უნდა დაესრულებინა.<sup>264</sup>

ამასთან, ხელშეკრულებაზე თანდართული ლოკალურ-რესურსული ხარჯ-თაღრიცხვის თანახმად, ხელშეკრულება მოიცავდა როგორც მოსამზადებელ, ისე უშუალოდ ფორტის მშენებლობის სამუშაოებს,<sup>265</sup> მათ შორის: გეოდეზიურ სამუშაოებს, საძირკველში ბალასტის ჩაყრასა და მონყობას, მონოლითური კედლის და თალის მონყობას, ფასადის მოპირკეთებას ბუნებრივი ქვით, სახურავის ჰიდროიზოლაციას, დეკორატიული ხის მოაჯირებისა და კონსტრუქციული სვეტების მონყობას, ზარბაზნის დამზადებასა და მონტაჟს და ა.შ.<sup>266</sup>

მხარეებს შორის გაფორმებული ხელშეკრულების სპეციფიკური პირობების თანახმად, ბათუმის მერიამ აიღო ვალდებულება, რომ შპს „Creative impressions

*ხელშეკრულების თანახმად, კომპანიას ბათუმში ისტორიული ფორტის მშენებლობა 2010 წლის 1 მაისამდე უნდა დაესრულებინა.*

**თავი 4**

<sup>260</sup> საიას 2013 წლის 17 მაისის #გ-04/183-13 განცხადება;  
<sup>261</sup> საიას 2013 წლის 17 მაისის #გ-04/183-13 განცხადება;  
<sup>262</sup> საქართველოს მთავრობის 2009 წლის 29 აპრილის #321 და 9 ოქტომბრის #739 განკარგულებები;  
<sup>263</sup> 2009 წლის 19 ოქტომბრის #315 ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ; მხარეები: თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის მერია და შპს „Creative impressions Caucasus“;  
<sup>264</sup> 2009 წლის 19 ოქტომბრის #315 ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ; მხარეები: თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის მერია და შპს „Creative impressions Caucasus“;  
<sup>265</sup> 2009 წლის 19 ოქტომბრის #315 ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ; მხარეები: თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის მერია და შპს „Creative impressions Caucasus“;  
<sup>266</sup> 2009 წლის 19 ოქტომბრის #315 ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ; მხარეები: თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის მერია და შპს „Creative impressions Caucasus“, ხელშეკრულების თანდართული ლოკალურ-რესურსული ხარჯთაღრიცხვა;



ხელშეკრულების ვადის ამონურვამდე სამი დღით ადრე, მხარეებს შორის გაფორმდა შეთანხმების დოკუმენტი, რომლის ძალითაც, ხელშეკრულების მოქმედების ვადა იმავე წლის 1 დეკემბრამდე გაგრძელდა.

Caucasus"-ისთვის, ხელშეკრულებით განსაზღვრული საერთო ღირებულების 80%, ანუ 1,808,090 ლარი წინასწარ გადაერიცხა.<sup>267</sup> აღნიშნული ვალდებულება ბათუმის მერიამ კომპანიასთან ხელშეკრულების გაფორმებიდან მესამე დღეს სისრულეში მოიყვანა,<sup>268</sup> ხოლო მოგვიანებით კიდევ 137,857 ლარი გადაურიცხა.<sup>269</sup>

როგორც ზემოთ აღინიშნა, შპს „Creative impressions Caucasus“-ს ხელშეკრულებით აღებული ვალდებულები 2010 წლის 1 მაისამდე უნდა შეესრულებინა, თუმცა, ხელშეკრულების ვადის ამონურვამდე სამი დღით ადრე, მხარეებს შორის გაფორმდა შეთანხმების დოკუმენტი, რომლის ძალითაც, ხელშეკრულების მოქმედების ვადა იმავე წლის 1 დეკემბრამდე გაგრძელდა.<sup>270</sup>

მოგვიანებით, იმავე წლის 12 ნოემბერს კიდევ ერთი ცვლილება შევიდა ხელშეკრულებაში, რამაც მნიშვნელოვნად განსაზღვრა ბათუმის ფორტის მშენებლობის შემდგომი ბედი.

2010 წლის 12 ნოემბერს გაფორმებული შეთანხმების თანახმად, მხარეები შეთანხმდნენ, რომ მათ შორის 2009 წლის 19 ოქტომბერს გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულება შეწყვეტილიყო და შპს „Creative impressions Caucasus“-ს დაებრუნებინა ბათუმის მერიისთვის გადაურიცხული 1,026,897 ლარი.<sup>271</sup> თუმცა, მხარეთა შეთანხმების დოკუმენტში არაფერი იყო ნათქვამი იმის შესახებ, თუ რამ განაპირობა ხელშეკრულების შეწყვეტა. ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ ბათუმის თვითმმართველობის მიერ მიღებულ არც იმ განკარგულებაშია ნათქვამი არაფერი, რომლის ძალითაც ცვლილება შევიდა ბათუმის ისტორიული უბნებისა და ტურისტული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის 2010 წლის პროგრამაში და ისტორიული ფორტის მშენებლობა პროგრამიდან საერთოდ იქნა ამოღებული. ამდენად, საიასთვის უცნობი დარჩა, კონკრეტულად რამ განაპირობა ბათუმში ისტორიული ფორტის მშენებლობის სამუშაოების შეწყვეტა. მით უმეტეს, რომ 2010 წლის 11 ოქტომბრით დათარიღებულ წერილში შპს „Creative impressions Caucasus“ ბათუმის მერიის კეთილმონყოფის სამსახურს ისტორიული ფორტის სამუშაოების მოახლოებული დასრულების შესახებ აცხობინებდა.<sup>272</sup>

შედეგად, ბათუმის მერიის მიერ მონოდებული დოკუმენტების ურთიერთგაანგარიშების საფუძველზე, ნათელი ხდება, რომ ბათუმში ისტორიული ფორტის მშენებლობის მიზნით, ბათუმის მერიამ შპს „Creative impressions Caucasus“-ს ჯამში 1,945,947 ლარი გადაურიცხა<sup>273</sup> (მათ შორის, 1,808,090 ლარი წინასწარ<sup>274</sup>), ხოლო მოგვიანებით, ხელშეკრულების შეწყვეტის შემდეგ, 1,026,897 ლარის უკან დაბრუნებაზე შეუთანხმდა.<sup>275</sup> საერთო ჯამში კი, არაშენებული ისტორიული ფორტის სამუშაოებზე ბათუმის მერიამ ბათუმის ისტორიული უბნებისა და ტურისტული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის პროგრამიდან მინიმუმ 919,050 ლარი დახარჯა.

ბათუმში ისტორიული ფორტის მშენებლობის ირგვლივ განვითარებული მოვ-

<sup>267</sup> 2009 წლის 19 ოქტომბრის #315 ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ; მხარეები: თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის მერია და შპს „Creative impressions Caucasus“;

<sup>268</sup> 2009 წლის 21 ოქტომბრის #0115 საგადასახადო დავალება;

<sup>269</sup> 2009 წლის 26 ოქტომბრის #0319 და 2010 წლის 11 იანვრის #0001 საგადასახადო დავალებები;

<sup>270</sup> 2010 წლის 28 აპრილის #1 მხარეთა შეთანხმება - 2009 წლის 19 ოქტომბრის #315 სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის შესახებ; მხარეები: თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის მერია და შპს „Creative impressions Caucasus“;

<sup>271</sup> 2010 წლის 12 ნოემბრის #2 მხარეთა შეთანხმება - 2009 წლის 19 ოქტომბრის #315 სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე; მხარეები: თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის მერია და შპს „Creative impressions Caucasus“;

<sup>272</sup> შპს „Creative impressions Caucasus“-ის 2010 წლის 11 ოქტომბრის #325 კორესპონდენცია;

<sup>273</sup> 2009 წლის 19 ოქტომბრის #315 ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ; მხარეები: თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის მერია და შპს „Creative impressions Caucasus“;

<sup>274</sup> 2009 წლის 21 ოქტომბრის #0115 საგადასახადო დავალება; 2009 წლის 26 ოქტომბრის #0319 და 2010 წლის 11 იანვრის #0001 საგადასახადო დავალებები;

<sup>275</sup> 2010 წლის 12 ნოემბრის #2 მხარეთა შეთანხმება - 2009 წლის 19 ოქტომბრის #315 სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე; მხარეები: თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის მერია და შპს „Creative impressions Caucasus“;

ლენები ერთ-ერთი საუკეთესო მაგალითია იმის საილუსტრაციოდ, თუ რამდენად სპონტანურად და არათანმიმდევრულად ხდებოდა ბათუმის ისტორიული უბნებისა და ტურისტული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის პროგრამის დაგეგმვა და შემდგომი განხორციელება.

#### 4.4. საზოგადოებრივი ტუალეტის მშენებლობა

ბათუმში საზოგადოებრივი ტუალეტის მშენებლობა ბათუმის ისტორიული უბნებისა და ტურისტული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის 2009-2013 წლების პროგრამით გათვალისწინებული ხარჯებიდან დაფინანსებულ ღონისძიებათა რიცხვს განეკუთვნება.

საზოგადოებრივი ტუალეტის მშენებლობისადმი ინტერესი იმ გარემოებით იქნა განპირობებული, რომ, ერთი მხრივ, საზოგადოებრივი ტუალეტის ტიპის პროექტი ერთადერთი იყო ბათუმის ისტორიული უბნებისა და ტურისტული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის 2009-2013 წლების პროგრამის ფარგლებში გაფორმებულ ხელშეკრულებებს შორის, ხოლო, მეორე მხრივ, პროექტის სახელშეკრულებო ღირებულებად საკმაოდ დიდი თანხა – 76,271 ლარი იყო მითითებული.<sup>276</sup>

შესაბამისად, პროექტთან დაკავშირებით მეტი ინფორმაციის მოპოვების მიზნით, 2013 წლის მაისის თვეში საიამ წერილობით მიმართა ბათუმის მერიას და შემდეგი სახის საჯარო ინფორმაციის გაცემა მოითხოვა:

- შპს „გეა ჯგუფთან“ საზოგადოებრივი ტუალეტის მშენებლობის მიზნით გაფორმებული №270 სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულების, სამუშაოების ხარჯთაღრიცხვისა და ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულების დამადასტურებელი მიღებაჩაბარების აქტების ასლები;
- „ბათუმის „ისტორიული უბნებისა და ტურისტული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის პროგრამის“ ფარგლებში აშენებული საზოგადოებრივი ტუალეტის მისამართი.<sup>277</sup>

ბათუმის მერიას ასევე უნდა გაეცა ინფორმაცია იმის შესახებ, სახელმწიფო შესყიდვების რომელი ფორმა იქნა გამოყენებული საზოგადოებრივი ტუალეტის მშენებლობის მიზნით.<sup>278</sup>

საიას მოთხოვნის მიუხედავად, ბათუმის მერიას არ გაუცია ინფორმაცია პროგრამის ფარგლებში აშენებული საზოგადოებრივი ტუალეტის ადგილმდებარეობის შესახებ. უფრო მეტიც, შენობის ზუსტი მისამართი არც ხელშეკრულებაშია მითითებული და მხოლოდ ერთგან, ხელშეკრულების ტექნიკური პირობების ნაწილშია აღნიშნული, რომ საზოგადოებრივი ტუალეტის მშენებლობა ალფაბეტური კოშკის მიმდებარე ტერიტორიაზე უნდა მომხდარიყო.<sup>279</sup>

მერიის მიერ მონოდედებული ინფორმაციის მიხედვით, ცნობილი ხდება, რომ საზოგადოებრივი ტუალეტის მშენებლობის მიზნით, ბათუმის მერიამ ერთი კონტრაქტი გააფორმა და სამუშაოების შესრულება შპს „გეა ჯგუფს“ მიანდო. კონტრაქტი, რომლის თავდაპირველი საერთო ღირებულება 76,271 ლარით განისაზღვრა, ამჯერადაც ერთ პირთან მოლაპარაკების გზით გაფორმდა და საფუძვლად აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის მიერ მიღებული განკარგულება<sup>280</sup> იქნა მითითებული.<sup>281</sup> შესაბამისად, ისევე, როგორც

*საიას მოთხოვნის მიუხედავად, ბათუმის მერიას არ გაუცია ინფორმაცია პროგრამის ფარგლებში აშენებული საზოგადოებრივი ტუალეტის ადგილმდებარეობის შესახებ.*

<sup>276</sup> 2012 წლის 20 ივლისის #270 ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ; მხარეები: თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის მერია და შპს „გეა ჯგუფი“;

<sup>277</sup> საიას 2013 წლის 17 მაისის #გ-04/182-13 განცხადება;

<sup>278</sup> საიას 2013 წლის 17 მაისის #გ-04/182-13 განცხადება;

<sup>279</sup> 2012 წლის 20 ივლისის #270 ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ; მხარეები: თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის მერია და შპს „გეა ჯგუფი“;

<sup>280</sup> აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2012 წლის 17 მაისის #78 განკარგულება;

<sup>281</sup> 2012 წლის 20 ივლისის #270 ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ; მხარეები: თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის მერია და შპს „გეა ჯგუფი“;

ისტორიული ფორტის, საზოგადოებრივი ტუალეტის მშენებლობის შემთხვევაშიც, თავდაპირველ ეტაპზევე გამოირიცხა სახელმწიფო შესყიდვების ისეთი ფორმები, რომლებიც სახელმწიფო შესყიდვის პროცესში გამჭვირვალობის და კონკურენციის უფრო მაღალ სტანდარტებს ამკვიდრებს.

ხელშეკრულების თანახმად, ობიექტის მშენებლობა კომპანიას ხელშეკრულების გაფორმებიდან ერთ თვეში, 2012 წლის 20 აგვისტომდე უნდა დაესრულებინა.<sup>282</sup>

ტექნიკური მახასიათებლების მიხედვით, შენობა რკინის კონსტრუქციის უნდა ყოფილიყო, ზომით 4.40X4.40 მეტრზე, სიმაღლე – 4.15 მეტრი მიწის ზედაპირიდან. შენობის ფასადი შეიმოსებოდა 10 მმ სისქის ნანრთობი გლუვი მინით, იატაკი – კერამოგრანიტით, სარკისებრი ჭერი კი – ალუკაბონდით. საპირფარეშოში მონტაჟდებოდა ე.წ. ზამთარ-ზაფხულის კონდენციონერი. ფასადის განათებისთვის გამოიყენებოდა ნათურა ავტომატური ფერთაცვლის რეჟიმით.<sup>283</sup>

ბათუმის მერიის კეთილმოწყობის სამსახურის მიერ მომზადებული დოკუმენტების საფუძველზე,<sup>284</sup> ბათუმის მერიამ შპს „გეა ჯგუფს“, ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოების სანაცვლოდ, 74,480 ლარი გადაურიცხა.<sup>285</sup>

ამასთან, ვინაიდან ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოები შპს „გეა ჯგუფმა“ კონტრაქტით დადგენილი ვადის დარღვევით შეასრულა, მხარეებს შორის გაფორმებული აქტის საფუძველზე, კომპანიას პირგასამტეხლოს სახით 5,720 ლარის გადახდა დაეკისრა.<sup>286</sup>

**არაერთი მცდელობის მიუხედავად, ბათუმში ალფაბეტური კოშკის მიმდებარე ტერიტორიაზე საზოგადოებრივი ტუალეტი ვერ იქნა მიკვლეული. შესაბამისად, საიასთვის უცნობი დარჩა, თუ რა ბედი ენია შენობას, რომლის აშენებისთვისაც ბათუმის მერიამ შპს „გეა ჯგუფს“ 74,480 ლარი გადაუხადა.**

#### 4.5. პიაცას მოედანი

პიაცას მოედნის მშენებლობა ერთ-ერთი გამორჩეული პროექტია, რომელიც ბათუმის ისტორიული უბნებისა და ტურისტული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის 2009-2013 წლების პროგრამის ფარგლებში განხორციელდა. პროექტის გამორჩეულობა, ერთი მხრივ, განპირობებულია შესრულებული სამუშაოების მასშტაბით, ხოლო მეორე მხრივ – მშენებლობაზე დახარჯული თანხის და პიაცას მოედნის ირგვლივ განვითარებული შემდგომი მოვლენებით.

კვლევის სპეციფიკიდან გამომდინარე, სრულად არ არის განხილული პიაცას მოედნის მშენებლობის ფარგლებში გაფორმებული ყველა ხელშეკრულება. თუმცა, წარმოდგენილია ზოგადი ინფორმაცია ყველა იმ სახელშეკრულებო სამუშაოს ჩამონათვლის და ღირებულების შესახებ, რომელზეც საიას ხელი მიუწვდა.

პიაცას მოედნის შესახებ ინფორმაცია ანგარიშში ბათუმის მერიის მიერ მოწოდებული ორი სხვადასხვა კორესპონდენციის ანალიზის შედეგად მომზადდა. პირველი ეხება ბათუმის ისტორიული უბნებისა და ტურისტული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის 2009-2013 წლების პროგრამის ფარგლებში

<sup>282</sup> 2012 წლის 20 ივლისის #270 ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ; მხარეები: თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის მერია და შპს „გეა ჯგუფი“;

<sup>283</sup> 2012 წლის 20 ივლისის #270 ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ; მხარეები: თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის მერია და შპს „გეა ჯგუფი“;

<sup>284</sup> ბათუმის მერიის კეთილმოწყობის სამსახურის 2012 წლის 12 სექტემბრის #04-03/14385 და 8 ოქტომბრის #04-03/27663 კორესპონდენციები;

<sup>285</sup> 2012 წლის 13 სექტემბრის #0352, #0353 და 6 ნოემბრის #0428 და #0429 საგადასახადო დავალებები;

<sup>286</sup> 2012 წლის 4 სექტემბრის აქტი; მხარეები: თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის მერია და შპს „გეა ჯგუფი“;

ბათუმის მერიის კეთილმოწყობის სამსახურის მიერ მომზადებული დოკუმენტების საფუძველზე, ბათუმის მერიამ შპს „გეა ჯგუფს“, ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოების სანაცვლოდ, 74,480 ლარი გადაურიცხა.

გაფორმებული ხელშეკრულებების ჩამონათვალს,<sup>287</sup> ხოლო მეორე – უშუალოდ პიაცას მოედნის პროექტის ფარგლებში გაფორმებულ ხელშეკრულებებს.<sup>288</sup> აღნიშნული ორი კორესპონდენციით ირკვევა, რომ ბათუმის მერიამ, პიაცას მოედნის მშენებლობის მიზნით, 2009-2011 წლებში 21,398,305 ლარის ღირებულების სახელმწიფო შესყიდვის 41 ხელშეკრულება გააფორმა 8 იურიდიულ პირთან.<sup>289</sup> **მათ შორის, ყველაზე მეტი, 19 ხელშეკრულება, შპს „ფიროსმანი“ დაიდო და მათმა საერთო ღირებულებამ 9,066,994 ლარი შეადგინა.**

მთლიანობაში, პიაცას მოედნის მშენებლობის მიზნით გაფორმებული ყველა კონტრაქტი, შემსრულებელი კომპანიის, შესასრულებელი სამუშაოს, ხელშეკრულების თარიღების და ღირებულების მიხედვით, შემდეგნაირად გამოიყურება:

№	შემსრულებელი	საგანი	ხელ. №	ხელშეკრულების გაფორმების და სამუშაოების შესრულების თარიღი	თანხა
1	“საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ფონდი”	რუსთაველის ქ.№12/4-ის შენობის კოშკისა და უკანა მხარეს მიწების ესკიზური პროექტის შედგენა; კ.გამსახურდიას ქ.№9-სა და ქ.№13-ში მდებარე შენობების გუმბათების ესკიზური პროექტების შედგენა; ზ.გორგილაძის ქ.№2-ში მდებარე შენობის კოშკის ესკიზური პროექტის შედგენა; ფარნავაზ მეფის ქ.№25-ში მდებარე მოედნის სრული საპროექტო დოკუმენტაციის შედგენა.	16	19.06.2009; 25.12.2009	613,200
2	შპს „ანაგი“	ძველ ბათუმში ფარნავაზ მეფის ქ.№25-ში კოშკის მშენებლობის 1-ლი ეტაპის სამშენებლო სამუშაოები	314	19.10.09; 01.06.10	2,053,201
3	შპს „ფიროსმანი“	ძველ ბათუმში ფარნავაზ მეფის ქ.№25-ში მშენებარე კოშკის ჩრდილოეთით შენობის მშენებლობის სამუშაოები	340	18.11.09; 01.03.10	1,220,470
4	შპს „ფიროსმანი“	ძველ ბათუმში ფარნავაზ მეფის ქ. №25-ში მშენებარე კოშკის სამხრეთით შენობის მშენებლობის სამუშაოები	341	18.11.09; 01.03.10	902,549
5	შპს „ანაგი“	ქ.ბათუმში ფარნავაზ მეფის ნქ.№25-ში მშენებარე კოშკზე დასამონტაჟებელი საათის შექმნა-მონტაჟი	392	29.12.09; 01.06.10	322,286
6	შპს „ფიროსმანი“	ქ.ბათუმში ფარნავაზ მეფის ქ.№25-ში მშენებარე კოშკის ჩრდილო-აღმოსავლეთით („გ“ ბლოკი) შენობის სამშენებლო სამუშაოები	47	10.02.10; 01.05.10	772,516

<sup>287</sup> ბათუმის მერიის 2013 წლის 1 აპრილის #04-04/4001 კორესპონდენცია;  
<sup>288</sup> ბათუმის მერიის 2013 წლის 19 ივლისის #04-04/13850 კორესპონდენცია;  
<sup>289</sup> ბათუმის მერიის 2013 წლის 1 აპრილის #04-04/4001 და 19 ივლისის #04-04/13850 კორესპონდენციები;

თაპი 4

პიაცას მოედნის მშენებლობის მიზნით, 2009-2011 წლებში 21,398,305 ლარის ღირებულების სახელმწიფო შესყიდვის 41 ხელშეკრულება გააფორმა 8 იურიდიულ პირთან.

7	შპს "Creative Impressions Caucasus"	ქ.ბათუმში ფარნავაზ მეფის ქ.№25-ში მშენებარე კომპლექსის ჩრდილოეთით („დ“ და „ე“ ბლოკი) შენობის სამშენებლო სამუშაოები	49	11.02.10; 30.05.10	674,390
8	შპს "ანაგი"	ქ.ბათუმში ფარნავაზ მეფის ქ. №25-ში მშენებარე კომპლექსზე დასამონტაჟებელი ზარებისა და თოჯინების ფიგურების შექმნა-მონტაჟი	52	16.02.10; 01.09.10	979,902
9	შპს "ანაგი"	ქ.ბათუმში ფარნავაზ მეფის ქ.№25-ში კომპლექსის მშენებლობის მე-2 ეტაპის სამშენებლო სამუშაოები	53	16.02.10; 01.06.10	1,066,167
10	შპს „ფიროსმანი“	ქ.ბათუმში ფარნავაზ მეფის ქ.№25-ში მშენებარე შენობის უკანა კედლის ფასადის სარესტავრაციო სამუშაოები	71	23.02.10; 25.08.10	332,584
11	შპს „ფიროსმანი“	ქ.ბათუმში ფარნავაზ მეფის ქ.№25-ში მშენებარე კომპლექსის ჩრდილო-აღმოსავლეთით („გ“ ბლოკი) შენობის სამშენებლო სამუშაოები	116	22.03.10; 01.07.10	1,117,916
12	შპს „ფიროსმანი“	ქ.ბათუმში ფარნავაზ მეფის ქ.№25-ში მშენებარე კომპლექსის ჩრდილო-აღმოსავლეთით („თ“ ბლოკი) შენობის სამშენებლო სამუშაოები	117	22.03.10; 20.11.10	1,612,524
13	შპს "CDM DOMINGO Y LAZARO INGENIEROS. S.I."	პიაცას გადახურვის პროექტი - ესპანელები	125	30.03.10; 01.06.10	668,054
14	შპს "ანაგი"	ქ.ბათუმში ფარნავაზ მეფის ქ.№25-ში მშენებარე კომპლექსზე მხატვრული ვიტრაჟის ხის ჟალუზების და მოოქროვების დამატებითი სამუშაოები	128	31.03.10; 01.07.10	437,451
15	შპს "Creative Impressions Caucasus"	ქ.ბათუმში ფარნავაზ მეფის ქ.№25-ში მშენებარე კომპლექსის „დ“ ბლოკის შენობის სამშენებლო სამუშაოები	130	31.03.10; 01.12.10	460,989
16	შპს "Creative Impressions Caucasus"	ქ.ბათუმში ფარნავაზ მეფის ქ.№25-ში მშენებარე კომპლექსის „ე“ ბლოკის შენობის სამშენებლო სამუშაოები	131	31.03.10; 01.12.10	583,392
17	შპს "Creative Impressions Caucasus"	ქ.ბათუმში ფარნავაზ მეფის ქ.№25-ში მშენებარე კომპლექსის „გ“ ბლოკის შენობის სამშენებლო სამუშაოები	132	31.03.10; 01.12.10	1,022,129
18	შპს "Creative Impressions Caucasus"	ქ.ბათუმში ფარნავაზ მეფის ქ.№25-ში მშენებარე კომპლექსის „ზ“ ბლოკის შენობის სამშენებლო სამუშაოები	133	31.03.10; 01.12.10	820,046
19	შპს „აჭარგანათება“	ქ.ბათუმში ფარნავაზ მეფის ქ.№25-ში მშენებარე შენობების ფასადებისა და ილია ჭავჭავაძის სახელობის დრამატული თეატრის ფასადის მინათების სამუშაოები	146	08.04.10; 25.12.10	646,790

20	შპს „აჭარგანათება“	ქ.ბათუმში ფარნავაზ მეფის ქ.№25-ში მშენებარე მშენებარე კომპიის მიმდებარე ტერიტორიის განათების სამუშაოები	161	16.04.10; 20.10.10	255,390
21	შპს „მონოლითი 2005“	ქ.ბათუმში ფარნავაზ მეფის ქ.№25-ში მოედნის ე.წ. „ბათუმ-პიაცას“ ტერიტორიის კეთილმონყოფის სამუშაოები	196	06.05.10; 10.10.10	199,396
22	შპს „ანაგი“	ქ.ბათუმში ფარნავაზ მეფის ქ.№25-ში მდებარე მშენებარე კომპიის საათის გახმოვანების სისტემის შექმნა	197	06,05,10; 01.06.10	23,364
23	შპს „ვიროსმანი“	ქ.ბათუმში ფარნავაზ მეფის ქ.№25-ში მშენებარე კომპიის სამხრეთით შენობის დამატებითი მოსაპირკეთებელი სამუშაოები	256	21.06.10; 25.08.10	398,824
24	შპს „ვიროსმანი“	ქ.ბათუმში ფარნავაზ მეფის ქ.№25-ში მშენებარე კომპიის ჩრდილოეთით („ა“ ბლოკი) შენობაში არსებული კამერების ფაიფურის ნაწარმით მონყოფის სამუშაოები	264	25.06.10; 20.11.10	91,724
25	შპს „ვიროსმანი“	ქ.ბათუმში ფარნავაზ მეფის ქ.№25-ში მშენებარე კომპიის სამხრეთით („ბ“ ბლოკი) შენობაში არსებული კამერების ფაიფურის ნაწარმით მონყოფის სამუშაოები	265	25.06.10; 20.11.10	122,298
26	შპს „ვიროსმანი“	ქ.ბათუმში ფარნავაზ მეფის ქ.№25-ში მშენებარე კომპიის ჩრდილოეთით („ა“ ბლოკი) შენობაში არსებული კამერების ფაიფურის ნაწარმით მონყოფის სამუშაოები	283	14.07.10; 01.11.10	397,471
27	შპს „ვიროსმანი“	ქ.ბათუმში ფარნავაზ მეფის ქ.№25-ში მდებარე მოედნის სარეკონსტრუქციო („ი“ ბლოკი) სამშენებლო სამუშაოები	294	26.07.10; 01.12.10	1,050,866
28	შპს „ვიროსმანი“	ქ.ბათუმში ფარნავაზ მეფის ქ.№25-ში მშენებარე კომპიის ჩრდილოეთით შენობის დამატებითი სამუშაოები	295	26.07.10; 01.12.10	42,113
29	შპს „ვიროსმანი“	ქ.ბათუმში ფარნავაზ მეფის ქ.№25-ში მშენებარე კომპიის ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარე საყრდენი კედლის მოსაპირკეთებელი სამუშაოები	296	26.07.10; 01.12.10	39,616
30	შპს „მონოლითი 2005“	ფარნავაზ მეფის ქ.№25-ში მოედნისათვის (ე.წ. „ბათუმ-პიაცა“) მოზაიკის შექმნა-მონყოფის სამუშაოები	302	29.07.10; 01.12.10	730,000

31	შპს "Creative Impressions Caucasus"	ფარნავაზ მეფის ქ.№25-ში მშენებარე კომპიის „ზ“ ბლოკის მოხატვის სამუშაოები	339	27.08.10; 01.10.10	184,701
32	შპს "Creative Impressions Caucasus"	ფარნავაზ მეფის ქ.№25-ში მშენებარე კომპიის „ზ“ ბლოკის მე-2 ეტაპის მოხატვის სამუშაოები	358	13.09.10; 25.12.10	43,939
33	შპს "ფიროსმანი"	ქ.ბათუმში ფარნავაზ მეფის ქ.№25-ში მშენებარე კომპიის ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარე საყრდენ კედელთან სკულპტურული კომპოზიციით წყაროს მოწყობის სამუშაოები	375	23.09.10; 25.10.10	44,234
34	შპს "მონოლითი 2005"	ქ.ბათუმში ფარნავაზ მეფის ქ. №25-ში მოედნის (ე.წ. "ბათუმი- პიაცას" მაზნიაშვილის ქუჩის მიმდებარე ტერიტორიის) კეთილმოწყობის სამუშაოები	469	07.12.10; 30.12.10	14,374
35	შპს "ანაგი"	ფარნავაზ მეფის ქ.№25-ში მდებარე კომპიზე დამატებითი სამუშაოები	481	15.12.10; 15.02.11	42,999
36	შპს "ფიროსმანი"	ქ.ბათუმში, ფარნავაზ მეფის ქ.№25-ში კომპიის სამხრეთით და ჩრდილოეთით მდებარე შენობების სანიაღვრე, წყალმომარაგებისა და კანალიზაციის დგარების ცენტრალურ ქსელში ჩართვის სამუშაოები	484	17.12.10; 30.12.10	7,685
37	შპს "ფიროსმანი"	ქ.ბათუმში ფარნავაზ მეფის ქ.№25-ში კომპიის ჩრდილოეთით „ბ“ ბლოკში დამატებითი შიდა სარემონტო სამუშაოები	485	17.12.10; 30.12.10	18,514
38	შპს "ფიროსმანი"	ფარნავაზ მეფის ქ.№25-ში შენობის („ა“ ბლოკი) სარეკონსტრუქციო სამუშაოები	22	09.02.11; 01.05.11	18,230
39	შპს "ფიროსმანი"	ფარნავაზ მეფის ქ.№25-ში შენობის („ბ“ ბლოკი) სარეკონსტრუქციო სამუშაოები	23	09.02.11; 01.05.11	5,700
40	შპს "ფიროსმანი"	ფარნავაზ მეფის ქ.№25-ში მდებარე მოედნის სარეკონსტრუქციო სამშენებლო სამუშაოები	28	14.02.11; 01.05.11	215,000
41	შპს "პორცელანი"	ქ.ბათუმში ფარნავაზ მეფის ქ.№25-ში მდებარე შენობების („გ“, „ე“, „ი“ ბლოკები) კამერების ფაიფურის ნაწარმით მოწყობის სამუშაოები	98	04.04.11; 30.12.11	1,145,311

ზემოთ აღნიშნულ ცხრილში დასახელებული 41 კონტრაქტიდან, ერთ-ერთი კონტრაქტის ნაცვლად, ბათუმის მერიამ საიას აბსოლუტურად სხვა საკითხზე გაფორმებული კონტრაქტის ასლი მიაწოდა.<sup>290</sup> შესაბამისად, აღნიშნული კონტრაქტის შესახებ ინფორმაცია, ბათუმის ისტორიული უბნებისა და ტურისტული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის 2009-2013 წლების პროგრამის ფარგლებში გაფორმებული ხელშეკრულებების ჩამონათვლის მიხედვით მომზადდა.<sup>291</sup>

მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ ბათუმის მერიამ არც პიაცას მოედნის მშენებლობის დროს უღალატა ტრადიციას და, საქართველოს მთავრობის შესაბამისი განკარგულებების საფუძველზე,<sup>292</sup> პიაცას მოედნის მშენებლობის მიზნით, ხელშეკრულებები ერთ პირთან მოლაპარაკებისა და გამარტივებული შესყიდვის გზით გააფორმა.<sup>293</sup>

**ამრიგად, ბათუმის ისტორიული უბნებისა და ტურისტული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის 2009-2013 წლების პროგრამის ფარგლებში განხორციელებული სხვა პროექტების მსგავსად, პიაცას მოედნის მშენებლობის შემთხვევაშიც, თავდაპირველ ეტაპზევე გამოირიცხა სახელმწიფო შესყიდვების ისეთი ფორმები, რომლებიც სახელმწიფო შესყიდვის პროცესში გამჭვირვალობის და კონკურენციის უფრო მაღალ სტანდარტებს ამკვიდრებს.**

მეტიც, ბათუმის მერიის მიერ პიაცას მოედნის მშენებლობის დროს გაფორმებულ იმ ხელშეკრულებათა მნიშვნელოვანი ნაწილი, რომელთა ასლებიც საიასთვის იქნა მონოდებული, არ შეიცავს ინფორმაციას შესრულებული სამუშაოების მიღება-ჩაბარების აქტების შესახებ. კერძოდ, **მონოდებული 40 კონტრაქტიდან 19 მათგანს არ ახლავს შესრულებული სამუშაოს მიღება-ჩაბარების აქტი.** შესაბამისად, საიასთვის უცნობია, თუ რა ბედია ენია სინამდვილეში ამ ხელშეკრულებებით განსაზღვრულ სამუშაოებს და რამდენად ჯეროვნად და დათქმულ ვადებში შესრულდა.<sup>294</sup>

ნარმოდგენილ ანგარიშში საია ბათუმში პიაცას მოედნის მშენებლობის შესახებ გაფორმებული კონტრაქტებიდან მხოლოდ ერთს, კერძოდ, ესპანურ კომპანია შპს “CDM DOMINGO Y LAZARO INGENIEROS. S.I.”-სთან პიაცას გადახურვის მიზნით გაფორმებულ კონტრაქტს განიხილავს.

**4.5.1. პიაცას გადახურვის პროექტი**

2010 წლის 30 მარტს ბათუმის მერიამ, პიაცას სახურავის საპროექტო მომსახურებით უზრუნველყოფის მიზნით, ხელშეკრულება გააფორმა შპს “CMD DOMINGO Y LAZARO INGENIEROS. S.I.”-სთან.<sup>295</sup>

მხარეებს შორის გაფორმებული ხელშეკრულების თანახმად, ესპანური კომპანიის მიერ პიაცას სახურავის საპროექტო სამუშაოების მომსახურება ორ მნიშვნელოვან კომპონენტს მოიცავდა. კერძოდ:

<sup>290</sup> იგულისხმება ცხრილის #1 ჰორიზონტალურ სვეტში მითითებული კონტრაქტის ნაცვლად ბათუმის მერიის მიერ საიასთვის მოწოდებული 2009 წლის 20 იანვრის #16 ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ; ხოლო ცხრილის #19 ჰორიზონტალურ სვეტში მითითებული თანხა მხოლოდ პიაცას მოედნის შენობების ფასადების მინათების ღირებულებას წარმოადგენს და არ მოიცავს ინფორმაციას ილია ჭავჭავაძის სახელობის ბათუმის დრამატული თეატრის ფასადის მინათების სამუშაოების ღირებულების შესახებ;

<sup>291</sup> ბათუმის მერიის 2013 წლის 1 აპრილის #04-04/4001 კორესპონდენცია;

<sup>292</sup> საქართველოს მთავრობის 2008 წლის 18 დეკემბრის #865; 2009 წლის 18 მარტის #196, 11 ნოემბრის #842, 9 დეკემბრის #927, 29 დეკემბრის #1051; 2010 წლის 2 თებერვლის #117, 10 მარტის #306, 29 ივნისის #841 და 2011 წლის 31 იანვრის #191 განკარგულებები;

<sup>293</sup> ბათუმის მერიის 2013 წლის 19 ივლისის #04-04/13850 კორესპონდენცია;

<sup>294</sup> ბათუმის მერიის მიერ საიასთვის მიწოდებული იმ ხელშეკრულებებიდან, რომელიც პიაცას მოედნის მშენებლობას ეხება, შესაბამის მიღება-ჩაბარების აქტებს არ შეიცავს, პიაცას მშენებლობის მიზნით გაფორმებული კონტრაქტების ზემოთ მოყვანილი ცხრილის #2, #3, #4, #5, #6, #9, #10, #11, #12, #23, #24, #25, #26, #27, #28, #33, #38, #39 და #40, ჰორიზონტალურ სვეტებში აღნიშნული კონტრაქტები;

<sup>295</sup> 2010 წლის 30 მარტის #125 ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ; მხარეები: თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის მერია და შპს „CMD DOMINGO Y LAZARO INGENIEROS, S.I.“;

**ბათუმის მერიის მიერ პიაცას მოედნის მშენებლობის დროს გაფორმებულ იმ ხელშეკრულებათა მნიშვნელოვანი ნაწილი, რომელთა ასლებიც საიასთვის იქნა მონოდებული, არ შეიცავს ინფორმაციას შესრულებული სამუშაოების მიღება-ჩაბარების აქტების შესახებ.**

ტაბი 4



*ბათუმის მერიის მიერ მოწოდებულ დოკუმენტებში არ მოიპოვება ინფორმაცია იმის შესახებ, რეალურად როდის და რამდენად ჯეროვნად შესრულდა ესპანური კომპანიის მიერ ხელშეკრულებით აღებული ვალდებულებები.*

ა) კონცეპტუალური გეგმა:

- ძირითადი კონცეფციის წინადადებები;
- სამ განზომილებიანი სურათები;
- წინასწარი ჭრილი;
- საერთო გეგმა.

ბ) მშენებლობის პროექტი და განათების პროექტი:

- არქიტექტურული პროექტი;
- კონსტრუქციული პროექტი;
- მასალების ხარისხის სპეციფიკაცია;
- მშენებლობის პროექტი;
- განათების პროექტი.<sup>296</sup>

მხარეები თანხმდებოდნენ, რომ პროექტში არ შედიოდა შენობის კონსტრუქციის მდგრადობისა და სტაბილურობის სტატიკური შემოწმება (კონტროლი). ამასთან, შპს “CMD DOMINGO Y LAZARO INGENIEROS. S.I” იღებდა ვალდებულებას, რომ მიმდებარე შენობების მშენებელ ინჟინრებთან შეათანხმებდა მინის გუმბათის მშენებლობის დეტალებს.<sup>297</sup>

ხელშეკრულების თანახმად, მთლიანი სახელშეკრულებო თანხა 220,000 ევროთი განისაზღვრა, რაც ხელშეკრულების გაფორმების დღეს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის თანახმად, 518,056 ლარს შეადგენდა.<sup>298</sup> თუმცა, მნიშვნელოვანია, რომ აღნიშნული თანხა არ მოიცავდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს და ამ გადასახადების გადახდა თავად ბათუმის მერიას უნდა უზრუნველყო.<sup>299</sup> შესაბამისად, ეს გარემოება კიდევ უფრო ზრდიდა პიაცას გადახურვის მიზნით გასაწევი მომსახურების ღირებულებას.

ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოები შპს “CMD DOMINGO Y LAZARO INGENIEROS. S.I“-ს 2010 წლის პირველ ივნისამდე უნდა დაესრულებინა.<sup>300</sup>

სამწუხაროდ, ბათუმის მერიის მიერ მოწოდებულ დოკუმენტებში არ მოიპოვება ინფორმაცია იმის შესახებ, რეალურად როდის და რამდენად ჯეროვნად შესრულდა ესპანური კომპანიის მიერ ხელშეკრულებით აღებული ვალდებულებები.

თუმცა, ბათუმის მერიის მიერ საიასთვის მოწოდებულ დოკუმენტებში აღმოჩნდა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამომიებო სამსახურის მიერ 2013 წლის 11 იანვარს ბათუმის მერიაში ჩატარებული ამოღების ოქმის ასლი,<sup>301</sup> სადაც შპს “CMD DOMINGO Y LAZARO INGENIEROS. S.I“-სა და ბათუმის მერიას შორის გაფორმებული ხელშეკრულებისა და საანგარიშსწორებო დოკუმენტაციის შესახებ ინფორმაციის ჩამონათვალში მითითებუ-

<sup>296</sup> 2010 წლის 30 მარტის #125 ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ; მხარეები: თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის მერია და შპს „CMD DOMINGO Y LAZARO INGENIEROS, S.I.“;

<sup>297</sup> 2010 წლის 30 მარტის #125 ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ; მხარეები: თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის მერია და შპს „CMD DOMINGO Y LAZARO INGENIEROS, S.I.“;

<sup>298</sup> <http://www.nbg.ge/index.php?m=582&lng=geo>;

<sup>299</sup> 2010 წლის 30 მარტის #125 ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ; მხარეები: თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის მერია და შპს „CMD DOMINGO Y LAZARO INGENIEROS, S.I.“;

<sup>300</sup> 2010 წლის 30 მარტის #125 ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ; მხარეები: თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის მერია და შპს „CMD DOMINGO Y LAZARO INGENIEROS, S.I.“;

<sup>301</sup> საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამომიებო სამსახურის მიერ ბათუმის მერიაში ჩატარებული 2013 წლის 11 იანვარის ამოღების ოქმი;

ლია, ასევე, პიაცას სახურავის საპროექტო მომსახურებით უზრუნველყოფის ხელშეკრულებაზე თანდართული დოკუმენტები. ხელშეკრულების თანდართულ დოკუმენტში ჩამოთვლილია: საგადასახადო დავალებები, მოხსენებითი ბარათები, გაანგარიშებები და ქართულ და ინგლისურენოვანი მიღება-ჩაბარების აქტები. თუმცა, აღნიშნული დოკუმენტი არ შეიცავს ინფორმაციას კონკრეტული დოკუმენტის მომზადებისა და გაფორმების თარიღის შესახებ.<sup>302</sup>

ამასთან, *პიაცას სახურავის საპროექტო მომსახურების ხელშეკრულებაზე თანდართული დოკუმენტების ერთ ნაწილთან დაკავშირებით მითითებულია 2010 წლის 7 სექტემბერი,<sup>303</sup> რაც თავისთავად მიანიშნებს იმაზე, რომ ხელშეკრულებით ნაკისრი გარკვეული ტიპის ვალდებულებების შესრულება კონტრაქტით გათვალისწინებული ვადის ამოწურვის (2010 წლის 1 ივნისი) შემდეგაც ხდებოდა.* აღნიშნულს კი, სავარაუდოდ, თავის დროზე მხარეების მიერ ხელშეკრულებაში შესაბამისი ცვლილების შეტანა უძლოდა წინ. თუმცა, ანგარიშზე მუშაობის დროს საიას ხელთ არ ჰქონია ინფორმაცია, რომელიც ბათუმის მერიასა და შპს “CMD DOMINGO Y LAZARO INGENIEROS. S.I.”-ს შორის პიაცას სახურავის საპროექტო მომსახურებით უზრუნველყოფის მიზნით გაფორმებულ ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანას დაადასტურებდა.

პიაცას გადახურვასთან დაკავშირებით, საიამ საინტერესო ინფორმაციას მიაკვლია ესპანური კომპანია შპს “CMD DOMINGO Y LAZARO INGENIEROS. S.I.”-ის ოფიციალურ ვებ-გვერდზე <http://www.cmdingenieros.com>, რომლის მიხედვითაც ნათელი ხდება, რომ პიაცას გადახურვის პროექტი ითვალისწინებდა 2054 მ<sup>2</sup>-ზე შუშის გადახურვას, შუშის გუმბათს და გადახურვის სამკუთხა გისოსებით გაფორმებას.<sup>304</sup> კომპანიის ვებ-გვერდზე დაცულია ასევე ქვემოთ მოყვანილი ფოტოები, რომელიც ნათლად მიუთითებს, თუ როგორ სახეს ატარებდა კომპანიის მიერ პიაცას სახურავის საპროექტო მომსახურების მიზნით შედგენილი პროექტი.<sup>305</sup>





*პიაცას გადახურვასთან დაკავშირებით, საიამ საინტერესო ინფორმაციას მიაკვლია ესპანური კომპანია შპს “CMD DOMINGO Y LAZARO INGENIEROS. S.I.”-ის ოფიციალურ ვებ-გვერდზე.*

<sup>302</sup> საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამომიებო სამსახურის მიერ ბათუმის მერიაში ჩატარებული 2013 წლის 11 იანვარის ამოღების ოქმი;  
<sup>303</sup> საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამომიებო სამსახურის მიერ ბათუმის მერიაში ჩატარებული 2013 წლის 11 იანვარის ამოღების ოქმი;  
<sup>304</sup> <http://www.cmdingenieros.com/en/proyectos/puentes-y-estructuras/batumi-piazza/>;  
<sup>305</sup> <http://www.cmdingenieros.com/en/proyectos/puentes-y-estructuras/batumi-piazza/>;

აღნიშნული ფოტოები  
მონიშნავს, რომ ბათუმში  
პიაცას მოედნის  
გადახურვის მიზნით  
მომზადებული პროექტი  
ბათუმის მერიას  
შემდგომში აღარ  
გამოუყენებია და პიაცას  
მოედანზე მსგავსი  
ფორმის და დიზაინის  
გადახურვის სამუშაოები  
არ შესრულებულა.

თავი 4



აღნიშნული ფოტოები მონიშნავს, რომ ბათუმში პიაცას მოედნის გადახურვის მიზნით მომზადებული პროექტი ბათუმის მერიას შემდგომში აღარ გამოუყენებია და პიაცას მოედანზე მსგავსი ფორმის და დიზაინის გადახურვის სამუშაოები არ შესრულებულა.

ამდენად, უცნობია, თუ რა მიზნით დაუკვეთა თავის დროზე ბათუმის მერიამ პიატას სახურავის საპროექტო მომსახურებით უზრუნველყოფა შპს “CMD DOMINGO Y LAZARO INGENIEROS. S.I.”-ს და, პროექტის მომზადების სანაცვლოდ, ფაქტობრივი დაფინანსების სახით ჯერ 668,053 ლარი გადაიხადა,<sup>306</sup> ხოლო შემდგომ პროექტი აღარ განახორციელა.

**4.5.2. დასკვნის მაგიერ - პიატას გასხვისება**

პიატას მოედანთან დაკავშირებით, ჩვენი ყურადღება კიდევ ერთმა საკითხმა მიიპყრო. კერძოდ, 2011 წლის 15 აპრილს ბათუმის თვითმმართველობასა და შპს „პიატა ჰოლდინგს“ შორის პირობებით გამოცხადებულ აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმი (ხელშეკრულება) გაფორმდა.<sup>307</sup> აღნიშნული დოკუმენტის თანახმად, ბათუმის მერიამ კომპანია, რომელიც იმავე წლის 23 თებერვალს იყო დაფუძნებული,<sup>308</sup> 17 მარტს გამართული აუქციონის შედეგად გამარჯვებულად გამოაცხადა და ქონება 11 მილიონ ლარად გადასცა საკუთრებაში.<sup>309</sup> საყურადღებოა ის გარემოება, რომ ჯერ კიდევ მაშინ, როცა კომპანიის დაფუძნების დროს დამფუძნებელმა კომპანიის იურიდიულ სახელწოდებად „პიატა ჰოლდინგი“ აირჩია, „პიატა“ ბათუმის თვითმმართველობის საკუთრებას წარმოადგენდა. ეს კი, თავისთავად აჩენს ეჭვებს, ხომ არ შეიქმნა აღნიშნული კომპანია თავიდანვე პიატას შეძენის მიზნით? **აღნიშნულ ეჭვს აძლიერებს ის გარემოებაც, რომ იმ ქონების გასხვისების დროს, რომლის შესაქმნელადაც“ ბათუმის თვითმმართველობამ ბათუმის ისტორიული უბნებისა და ტურისტული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის პროგრამიდან ჯამში 21,398,305 ლარზე მეტი დახარჯა, აუქციონზე ლოტის სანჯის ფასად მხოლოდ 10,900,000 ლარი მიუთითა.**<sup>310</sup>

საინტერესოა ის გარემოებაც, რომ ხელშეკრულების თანახმად, ბათუმის მერიამ შპს „პიატა ჰოლდინგს“ საკმაოდ მოქნილი გადახდის გრაფიკი განუსაზღვრა. კერძოდ, კომპანიას გარდა წინასწარ „ბე“-ს სახით გადახდილი 200,000 ლარისა, დარჩენილი თანხა ორ ეტაპად უნდა დაეფარა: პირველი ნაწილი, 2,200,000 ლარი – 2011 წლის 20 აგვისტომდე, ხოლო დარჩენილი 8,600,000 ლარი – იმავე წლის 10 დეკემბრამდე.<sup>311</sup>

მართალია, „პიატა ჰოლდინგს“ ქონება საკუთრებაში მხოლოდ ქონების ფასის სრულად გადახდის შემდეგ გადაეცემოდა, თუმცა, ხელშეკრულების თანახმად, ბათუმის მერიიდან შესაბამისი თანხმობის მოპოვების შემთხვევაში, შეეძლო ქონების განკარგვა სარგებლობის უფლებით ან სხვაგვარად დატვირთვის ფორმით.<sup>312</sup>

ხელშეკრულებით ასევე განისაზღვრა, რომ სახელმწიფოს, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის ან ბათუმის თვითმმართველობის მოთხოვნის შემთხვევაში, კომპანია ვალდებული იყო, წელიწადში არაუმეტეს სამჯერ უსასყიდლოდ გამოეთავისუფლებინა პიატას მოედანი.<sup>313</sup>

<sup>306</sup> ბათუმის მერიის 2013 წლის 1 აპრილის #04-04/4001 კორესპონდენცია;  
<sup>307</sup> 2011 წლის 15 აპრილი - პირობებით გამოცხადებულ აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმი (ხელშეკრულება), მხარეები: ბათუმის თვითმმართველობა და შპს „პიატა ჰოლდინგ“;  
<sup>308</sup> [https://enreg.reestri.gov.ge/main.php?c=mortgage&m=get\\_output\\_by\\_id&scandoc\\_id=223874&app\\_id=255210](https://enreg.reestri.gov.ge/main.php?c=mortgage&m=get_output_by_id&scandoc_id=223874&app_id=255210);  
<sup>309</sup> 2011 წლის 15 აპრილი - პირობებით გამოცხადებული აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმი (ხელშეკრულება), მხარეები: ბათუმის თვითმმართველობა და შპს „პიატა ჰოლდინგ“;  
<sup>310</sup> 2011 წლის 15 აპრილი - პირობებით გამოცხადებული აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმი (ხელშეკრულება), მხარეები: ბათუმის თვითმმართველობა და შპს „პიატა ჰოლდინგ“;  
<sup>311</sup> 2011 წლის 15 აპრილი - პირობებით გამოცხადებული აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმი (ხელშეკრულება), მხარეები: ბათუმის თვითმმართველობა და შპს „პიატა ჰოლდინგ“;  
<sup>312</sup> 2011 წლის 15 აპრილი - პირობებით გამოცხადებულ აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმი (ხელშეკრულება), მხარეები: ბათუმის თვითმმართველობა და შპს „პიატა ჰოლდინგ“;  
<sup>313</sup> 2011 წლის 15 აპრილი - პირობებით გამოცხადებული აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმი (ხელშეკრულება), მხარეები: ბათუმის თვითმმართველობა და შპს „პიატა ჰოლდინგ“;

თემა 4

*ბათუმის მერიამ კომპანია, რომელიც იმავე წლის 23 თებერვალს იყო დაფუძნებული, 17 მარტს გამართული აუქციონის შედეგად გამარჯვებულად გამოაცხადა და ქონება 11 მილიონ ლარად გადასცა საკუთრებაში.*

### 5. კულტურული მემკვიდრეობა და ბათუმის რეაბილიტაცია

ანგარიშზე მუშაობის დროს საიას ძირითად მიზანს არ წარმოადგენდა უშუალოდ „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონის კვლევა და ამ კვლევის შედეგად კანონის დადებითი და უარყოფითი მხარეების გამოვლენა. თუმცა, ანგარიშის თემატიკიდან გამომდინარე, კულტურულ მემკვიდრეობასთან დაკავშირებულ რიგ საკითხებთან შეხება მაინც მოგვიხდა.

საქართველოში კულტურულ მემკვიდრეობასთან დაკავშირებულ საკითხებს საკანონმდებლო დონეზე „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონი არეგულირებს. აღნიშნული კანონის მიზანს წარმოადგენს საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და ამ სფეროში წარმოშობილი სამართლებრივი ურთიერთობების მოწესრიგება.<sup>314</sup>

კანონი „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ აერთიანებს ისეთ საკითხებს, როგორცაა: კულტურული მემკვიდრეობის დაცვა; არქეოლოგიური სამუშაოების სახეები და პირობები; კულტურული მემკვიდრეობის აღრიცხვა, კლასიფიკაცია, მისთვის სტატუსის მინიჭება და მოხსნა; ძეგლის დაცვა; კულტურული მემკვიდრეობის ობიექტებზე საკუთრების უფლება; კულტურული მემკვიდრეობის დამცავი ზონები და მათი რეჟიმები; კულტურული მემკვიდრეობის ძეგლზე სამუშაოებისა და არქეოლოგიური სამუშაოების ჩატარების სამართლებრივი საფუძვლები, ნებართვის გაცემა, სანებართვო პირობები და ა.შ.<sup>315</sup>

ანგარიშის ამ თავში საიას საზოგადოებას კულტურული მემკვიდრეობის იმ ძეგლების შესახებ მიაწოდებს ინფორმაციას, რომლებიც ბათუმში მდებარეობს და საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის 2006 და 2008 წლის ბრძანებების საფუძველზე შესაბამისი სტატუსი მიენიჭა.<sup>316</sup>

საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის 2006 წლის 30 მარტის №3/133 ბრძანების მიხედვით, კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსი ბათუმში არსებულ 144 ობიექტს მიენიჭა, ხოლო 2008 წლის 16 ივლისის №3/165 ბრძანების მიხედვით – კიდევ 100 ობიექტს.

ამრიგად, 2006 და 2008 წლებში საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის მიერ მიღებული ორი ბრძანების საფუძველზე, ბათუმში არსებულ 244 ობიექტს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი მიენიჭა.

ანგარიშზე მუშაობის დროს ბათუმის ისტორიული უბნებისა და ტურისტული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის 2009-2013 წლების პროგრამის შესწავლის პარალელურად, საიას დაინტერესდა, ბათუმში არსებულ რომელ ობიექტებს მოეხსნა კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს შემდეგი საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნით მიმართა:

- საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მიერ კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსის მოხსნისა და მინიჭების თაობაზე მიღებული ყველა იმ შესაბამისი სამართლებრივი აქტის ასლი, რომელიც დაკავშირებულია ქ. ბათუმში არსებული ობიექტებისთვის ძეგლის სტატუსის მოხსნასა და მინიჭებასთან;
- კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს მიერ მიღებული ყველა იმ შესაბამისი გადაწყვეტილების/დასკვნის ასლი, რომელიც დაკავშირებულია

<sup>314</sup> 2007 წლის 8 მაისის საქართველოს კანონი „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“, მუხლი 1;

<sup>315</sup> 2007 წლის 8 მაისის საქართველოს კანონი „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“;

<sup>316</sup> საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის 2006 წლის 30 მარტის #3/133 ბრძანება, საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის 2008 წლის 16 ივლისის #3/165 ბრძანება;

2006 და 2008 წლებში საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის მიერ მიღებული ორი ბრძანების საფუძველზე, ბათუმში არსებულ 244 ობიექტს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი მიენიჭა.

ირებულია ქ. ბათუმში არსებული ობიექტებისთვის ძეგლის სტატუსის მოხსნასა და მინიჭებასთან;<sup>317</sup>

მოთხოვნილი ინფორმაციის პასუხად, რომელიც 2005 წლის 1 იანვრიდან მოყოლებულ პერიოდს მოიცავდა, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მიერ ელექტრონული სახით სულ 10 ბრძანება და სამი სხდომის ოქმი იქნა მოწოდებული.<sup>318</sup> მათგან ნაწილი ძეგლის სტატუსის მოხსნას, ნაწილი კი იმ ქუჩისთვის სახელის შეცვლას ეხებოდა, რომელზეც ძეგლის მდებარეობა იყო მითითებული. 10 ბრძანებიდან 8 ბრძანება შეეხება დარჩენილ ორ ბრძანებაში ცვლილების შეტანას. მთლიანობაში კი, სამინისტროს მიერ მოწოდებული ბრძანებები შემდეგი შინაარსის შემცველია:<sup>319</sup>

№	ბრძანების ნომერი და ბრძანების მიღების თარიღი	შინაარსი
1	№3/133 ბრძანება 30.03.2006	საქართველოს სსრ 1977 წლის კანონის „ისტორიისა და კულტურის ძეგლების დაცვისა და გამოყენების შესახებ“ მოქმედების პერიოდში ისტორიისა და კულტურის ძეგლებად გამოცხადებული ობიექტებისათვის კულტურის უძრავი ძეგლის სტატუსის მინიჭების თაობაზე
2	№3/165 ბრძანება 16.07.2008	ქ. ბათუმში არსებული კულტურული მემკვიდრეობის ობიექტებისათვის კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსის მინიჭების შესახებ
3	3/34 ბრძანება, ოქმი №2 19.03.2009	ქ. ბათუმში გოგებაშვილის ქ. №8/1-ში მდებარე შენობისთვის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსის მოხსნის შესახებ
4	№3/49 ბრძანება, 14.04.2009	კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის მდებარეობა – ქუჩის სახელის შეცვლასთან დაკავშირებით შესაბამისი ცვლილების 2006 წლის 20 მარტის №3/133 ბრძანებაში ასახვა
5	№3/144 ბრძანება, 22.09.2009	კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის მდებარეობა – ქუჩის სახელის შეცვლასთან დაკავშირებით შესაბამისი ცვლილების 2006 წლის 20 მარტის №3/133 ბრძანებაში ასახვა
6	№3/200 ბრძანება, 17.12.2009 ოქმი №4 16.12.2009.	ქ. ბათუმში შოთა რუსთაველის/ლადო ასათიანის ქ. №25/1-ში მდებარე შენობისთვის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსის მოხსნის შესახებ
7	№3/92 ბრძანება, 10.06.2010	კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ობიექტის/ძეგლის სააღრიცხვო ბარათში შეტანილი ცვლილების 2008 წლის 16 ივლისის №3/165 ბრძანებაში ასახვა
8	№3/136 ბრძანება, 17.06.2011	კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ობიექტის/ძეგლის სააღრიცხვო ბარათში შეტანილი ცვლილების 2008 წლის 16 ივლისის №3/165 ბრძანებაში ასახვა
9	№3/68 ბრძანება, 01.03.2012 ოქმი №4	ქ. ბათუმში რუსთაველის ქ. №22-ში მდებარე შენობისთვის კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსის მოხსნის შესახებ
10	№3/118 ბრძანება, 17.04.2012	კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის მდებარეობა – ქუჩის სახელის შეცვლასთან დაკავშირებით შესაბამისი ცვლილების 2008 წლის 16 ივლისის №3/165 ბრძანებაში ასახვა

<sup>317</sup> საიას 2013 წლის 11 თებერვლის #გ-04/85-13 განცხადება;

<sup>318</sup> საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს 2013 წლის 1 მარტის #04/11-782 კორესპონდენცია;

<sup>319</sup> საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს 2013 წლის 1 მარტის #04/11-782 კორესპონდენცია;

სამინისტროს მიერ  
მონოდედებული  
ბრძანებებიდან  
მხოლოდ სამი შეეხება  
ბათუმში შენობისთვის  
კულტურული  
მემკვიდრეობის ძეგლის  
სტატუსის მოხსნას.

ამრიგად, სამინისტროს მიერ მონოდედებული ბრძანებებიდან მხოლოდ სამი შეეხება ბათუმში შენობისთვის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსის მოხსნას და სამივე მათგანი გამოცემულია ბათუმის თვითმმართველობის მიერ ბათუმის ისტორიული უბნებისა და ტურისტული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის პროგრამის დანყების შემდეგ.

საქართველოს კანონი კულტურული მემკვიდრეობის შესახებ განსაზღვრავს როგორც ძეგლისთვის სტატუსის მოხსნას, ასევე, ძეგლზე ჩასატარებელი სამუშაოების ტიპებს და სახეებს.<sup>320</sup>

კანონის მიხედვით, ძეგლისათვის ძეგლის სტატუსის მოხსნა შესაძლებელია მხოლოდ საბჭოს<sup>321</sup> შესაბამისი დასკვნის საფუძველზე, იმ შემთხვევაში, თუ იგი განადგურდა ან ისე დაზიანდა, რომ დაკარგა ისტორიული ან კულტურული ღირებულება, რომლის აღდგენა შეუძლებელია, ან, მეცნიერული (მეთოდოლოგიური) კრიტერიუმებით, დაკარგა ის ძირითადი მახასიათებელი, რომლის გამოც მას მიენიჭა ძეგლის სტატუსი.<sup>322</sup>

რაც შეეხება ძეგლზე ჩასატარებელი სამუშაოების ტიპებს და სახეებს, კანონის მიხედვით, იყოფა კვლევით<sup>323</sup> და სარეაბილიტაციო<sup>324</sup> სამუშაოებად.

კანონის თანახმად, უძრავ ძეგლზე, მისი კვლევის ან რეაბილიტაციის მიზნით, შეიძლება ჩატარდეს შემდეგი სახის სამუშაოები: დაზვერვა, განმენდა, კონსერვაცია, რესტავრაცია, რეკონსტრუქცია, ადაპტაცია და უძრავი ძეგლის ცვლილება.<sup>325</sup>

კანონი ადგენს, რომ ძეგლის დაკარგული ფორმების, ფრაგმენტებისა და ელემენტების აღდგენა შესაძლებელია მხოლოდ ძეგლის რესტავრაციის ან რეკონსტრუქციის ფარგლებში, აღსადგენი ფორმების, ფრაგმენტებისა და ელემენტების სრული იდენტიფიკაციის შემთხვევაში, ზუსტ მეცნიერულ მონაცემებზე დამყარებული საპროექტო დოკუმენტაციის საფუძველზე. დაუშვებელია დოკუმენტური მასალისა და სამეცნიერო კვლევის უგულებელყოფა.<sup>326</sup>

საია მოკლებულია შესაძლებლობას, ამტკიცოს, თუ რამდენად შეესაბამება და ქ. ბათუმში, რუსთაველის ქ. №22-ში, შოთა რუსთაველის/ლადო ასათიანის ქ. №25/1-ში და გოგებაშვილის ქ. №8/1-ში მდებარე შენობებისთვის კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსის მოხსნა კანონით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. მითუმეტეს, რომ **არც ერთი ბრძანება, რომლის მიხედვითაც აღნიშნულ სამ შენობას კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი მოეხსნა, დასაბუთებას არ შეიცავს.** თუმცა, ფაქტია, რომ მარტო 2009-2013 წლებში ბათუმში ბევრად მეტი ისეთი შენობა დაინგრა ან საფუძვლიანად შეეცვალა იერსახე, რომლებიც კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსს ატარებდნენ.

შესაბამისად, ანგარიშის მომზადების დროს საია დაინტერესდა, ბათუმში არ-

<sup>320</sup> საქართველოს კანონი კულტურული მემკვიდრეობის შესახებ, მუხლი 17, მუხლი 25;

<sup>321</sup> მინისტრის საათბირო ორგანო – კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭო;

<sup>322</sup> საქართველოს კანონი კულტურული მემკვიდრეობის შესახებ, მუხლი 17;

<sup>323</sup> კვლევითი სამუშაოები – სამეცნიერო-სამიუზეო და პრაქტიკული სამუშაოები, რომელთა მიზანია ძეგლთან დაკავშირებული ინფორმაციის მოძიება, მათ შორის, მისი მდგომარეობის, დაზიანებებისა და მათი გამომწვევი მიზეზების დადგენა, სარეაბილიტაციო ღონისძიებათა შესახებ რეკომენდაციების შემუშავება; საქართველოს კანონი კულტურული მემკვიდრეობის შესახებ, მუხლი 25, პუნქტი პირველი, „ა“ ქვეპუნქტი;

<sup>324</sup> სარეაბილიტაციო სამუშაოები – ძეგლის მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით განხორციელებული, საქართველოს კანონმდებლობით, მათ შორის, ამ კანონით დადგენილი წესით ჩატარებული სამუშაოების ერთობლიობა; საქართველოს კანონი კულტურული მემკვიდრეობის შესახებ, მუხლი 25, პუნქტი პირველი, „ბ“ ქვეპუნქტი;

<sup>325</sup> საქართველოს კანონი კულტურული მემკვიდრეობის შესახებ, მუხლი 25, პუნქტი 2;

<sup>326</sup> საქართველოს კანონი კულტურული მემკვიდრეობის შესახებ, მუხლი 25, პუნქტი 6;

სებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსის მქონე შენობების შესახებ რა ინფორმაციას ფლობდა უშუალოდ ბათუმის თვითმმართველობა და ბათუმის მერიას შემდეგი შინაარსის ინფორმაციის გაცემის მოთხოვნით მიმართა:

- ქ. ბათუმში არსებული იმ ობიექტებისა და შენობების ჩამონათვალი, რომლებსაც კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი ჰქონდა მინიჭებული და, ბათუმის მერიის ინფორმაციით, 2009-2013 წლებში კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი მოეხსნა;
- ქ. ბათუმში არსებული იმ ობიექტებისა და შენობების ჩამონათვალი, რომლებსაც კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი ჰქონდა მინიჭებული და, ბათუმის მერიის ინფორმაციით, 2009-2013 წლებში ბათუმის ისტორიული უბნებისა და ტურისტული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის პროგრამის ფარგლებში ჩაუტარდა რეაბილიტაციის, რესტავრაციისა და რეკონსტრუქციის სამუშაოები.<sup>327</sup>

ზემოთ აღნიშნული ინფორმაცია ბათუმის მერიას უნდა გაეცა კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსის მქონე ობიექტებისა და შენობების მისამართებისა და შესაბამისი წლების მითითებით.

**განცხადების პასუხად წარმოდგენილ კორესპონდენციაში ბათუმის მერიამ მხოლოდ ის აღნიშნა, რომ მოთხოვნილი ინფორმაციის მისაღებად აჭარის ა.რ. კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოსთვის უნდა მიგვემართა.**<sup>328</sup>

ანგარიშზე მუშაობის დროს საია ასევე დაინტერესდა, საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული პასუხისმგებლობის რა ზომები იქნა გამოყენებული იმ პირთა მიმართ, რომლებმაც, ერთი მხრივ, ქ. ბათუმის ტერიტორიაზე არსებულ კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებზე სამუშაოების წარმოებისა და მისი მოვლა-პატრონობის წესები დაარღვიეს, ხოლო მეორე მხრივ, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები დააზიანეს და/ან გაანადგურეს.

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებულია პასუხისმგებლობა კულტურული მემკვიდრეობის ძეგლზე სამუშაოების წარმოებისა და მისი მოვლა-პატრონობის წესების დარღვევისთვის.<sup>329</sup> შესაბამისად, ანგარიშის მომზადების პროცესში საია დაინტერესდა, თუ რამდენი პირი იქნა მიცემული პასუხისმგებლობაში ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლზე სამუშაოების წარმოებისა და მისი მოვლა-პატრონობის წესების დარღვევისთვის<sup>330</sup> და წერილობითი განცხადებით მიმართა ბათუმის საქალაქო სასამართლოს.<sup>331</sup>

ბათუმის საქალაქო სასამართლოს მიერ მოწოდებული ინფორმაციით ცნობილი ხდება, თუ რამდენი ადმინისტრაციული სამართალწარმოების საქმე განიხილა ბათუმის საქალაქო სასამართლომ 2007 წლის მაისიდან 2013 წლის 3 ივნისამდე კულტურული მემკვიდრეობის ძეგლზე სამუშაოების წარმოებისა და მისი მოვლა-პატრონობის წესების დარღვევის თაობაზე. ოფიციალური ინფორმაციის თანახმად:<sup>332</sup>

<sup>327</sup> საიას 2013 წლის 23 მაისის #გ04/253-13 განცხადება;  
<sup>328</sup> ბათუმის მერიის 2013 წლის 3 ივნისის #04-04/14586 კორესპონდენცია;  
<sup>329</sup> საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, მუხლი 88;  
<sup>330</sup> საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, მუხლი 88;  
<sup>331</sup> საიას 2013 წლის 30 მაისის #გ-04/261-13 განცხადება;  
<sup>332</sup> ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 6 ივნისის #14328/13-528გ/კ კორესპონდენცია;



№	წელი	განხილული საქმეების რაოდენობა	სამართალდამრღვევად ცნობილ პირთა რაოდენობა	სამართალდარღვევის სახე
1	2007	6	6	-
2	2008	-	-	-
3	2009	1	1	კულტურული მემკვიდრეობის ძეგლზე სამუშაოების ან არქეოლოგიური სამუშაოების წარმოების კანონმდებლობით დადგენილი წესების, შესაბამისი პროექტის ან სხვა სანებართვო პირობების დარღვევა, ასევე უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული გაფრთხილების პირობების შეუსრულებლობა ან არასათანადოდ შესრულება, რაც დაკავშირებულია „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის მოვლა-პატრონობის ვალდებულების შეუსრულებლობასთან. <sup>2</sup>
4	2010	1	1	კულტურული მემკვიდრეობის ძეგლზე სამუშაოების ან არქეოლოგიური სამუშაოების წარმოების კანონმდებლობით დადგენილი წესების, შესაბამისი პროექტის ან სხვა სანებართვო პირობების დარღვევა, ასევე, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული გაფრთხილების პირობების შეუსრულებლობა ან არასათანადოდ შესრულება, რაც დაკავშირებულია „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის მოვლა-პატრონობის ვალდებულების შეუსრულებლობასთან. <sup>3</sup>
5	2011	2	2	კულტურული მემკვიდრეობის ძეგლზე სამუშაოების ან არქეოლოგიური სამუშაოების წარმოების კანონმდებლობით დადგენილი წესების, შესაბამისი პროექტის ან სხვა სანებართვო პირობების დარღვევა, ასევე, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული გაფრთხილების პირობების შეუსრულებლობა ან არასათანადოდ შესრულება, რაც დაკავშირებულია „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის მოვლა-პატრონობის ვალდებულების შეუსრულებლობასთან. <sup>4</sup>

6	2012	2	2	კულტურული მემკვიდრეობის ძეგლზე სამუშაოების ან არქეოლოგიური სამუშაოების წარმოების კანონმდებლობით დადგენილი წესების, შესაბამისი პროექტის ან სხვა სანებართვო პირობების დარღვევა, ასევე უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული გაფრთხილების პირობების შეუსრულებლობა ან არასათანადოდ შესრულება, რაც დაკავშირებულია „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის მოვლა-პატრონობის ვალდებულების შეუსრულებლობასთან. <sup>5</sup>
7	2013	-	-	-

შესაბამისად, ზემოთ აღნიშნულ ცხრილში მოყვანილი ინფორმაციის მიხედვით, ბათუმის საქალაქო სასამართლოს მიერ 2007 წლის მაისიდან 2013 წლის 3 ივნისამდე პერიოდში კულტურული მემკვიდრეობის ძეგლზე სამუშაოების წარმოებისა და მისი მოვლა-პატრონობის წესების დარღვევის ფაქტზე 12 ადმინისტრაციული სამართალწარმოების საქმე იქნა განხილული და 12 პირი პასუხისმგებლობაში მიეცა.<sup>333</sup>

კულტურული მემკვიდრეობის დაზიანებისა და განადგურების შემთხვევაში, პასუხისმგებლობა გათვალისწინებულია ასევე საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით. აღნიშნული კოდექსი ადგენს, რომ კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის ან საქართველოს კანონმდებლობით დაცული სხვა კულტურული მემკვიდრეობის განზრახ დაზიანება ან განადგურება ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით ორ წლამდე ვადით.<sup>334</sup> სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით, ეროვნული მნიშვნელობის ძეგლის განზრახ დაზიანება ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით ორიდან ოთხ წლამდე ვადით, ხოლო ეროვნული მნიშვნელობის ძეგლის განადგურება, ასევე, მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაში შეტანილი ძეგლის დაზიანება ან განადგურება ისჯება თავისუფლების აღკვეთით ოთხიდან რვა წლამდე ვადით.<sup>335</sup> კოდექსის მიხედვით, პასუხისმგებლობა გათვალისწინებულია მაშინაც, როცა კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის ან საქართველოს კანონმდებლობით დაცული სხვა კულტურული მემკვიდრეობის, ასევე, ეროვნული მნიშვნელობის ძეგლის დაზიანება გაუფრთხილებლობით ხდება. ასეთ შემთხვევაში, სისხლის სამართლის კოდექსი პასუხისმგებლობის სახედ ითვალისწინებს ჯარიმას ან თავისუფლების აღკვეთას ერთ წლამდე ვადით.<sup>336</sup>

საია დაინტერესდა, თუ რამდენი პირი იქნა მიცემული სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობაში და რამდენი პირის მიმართ დადგა გამამტყუნებელი განაჩენი ქ. ბათუმის ტერიტორიაზე არსებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების დაზიანებისა და განადგურების საფუძველით და შესაბამისი წერილობითი განცხადებით ბათუმის საქალაქო სასამართლოს მიმართა.<sup>337</sup>

მიუხედავად იმისა, რომ საია ინფორმაციას 2007 წლის 8 მაისის პერიოდიდან

*ბათუმის საქალაქო სასამართლოს მიერ 2007 წლის მაისიდან 2013 წლის 3 ივნისამდე პერიოდში კულტურული მემკვიდრეობის ძეგლზე სამუშაოების წარმოებისა და მისი მოვლა-პატრონობის წესების დარღვევის ფაქტზე 12 ადმინისტრაციული სამართალწარმოების საქმე იქნა განხილული და 12 პირი პასუხისმგებლობაში მიეცა.*

<sup>333</sup> ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 6 ივნისის #14328/13-528გ/კ კორესპონდენცია;

<sup>334</sup> საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 259<sup>2</sup> მუხლის პირველი პუნქტი;

<sup>335</sup> საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 259<sup>2</sup> მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტები;

<sup>336</sup> საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 259<sup>2</sup> მუხლის მე-4 პუნქტი;

<sup>337</sup> საიას 2013 წლის 30 მაისის #გ-04/260-13 განცხადება;

ითხოვდა, ბათუმის საქალაქო სასამართლოს მიერ მოწოდებულ ინფორმაციაში მხოლოდ ერთი საქმეა ნახსენები. კერძოდ, ბათუმის საქალაქო სასამართლომ 2013 წელს ერთი სისხლის სამართლის საქმე განიხილა და ერთი პირის მიმართ გამოიტანა გამამტყუნებელი განაჩენი, რომელიც საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 259<sup>2</sup> მუხლის მეოთხე ნაწილით იყო გათვალისწინებული. განაჩენი იმავე მუხლის პირველი და მეორე პუნქტებით განსაზღვრულ შემთხვევებში – კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის ან საქართველოს კანონმდებლობით დაცული სხვა კულტურული მემკვიდრეობისა და ეროვნული მნიშვნელობის ძეგლის გაუფრთხილებლობით დაზიანებას და/ან განადგურებას ეხებოდა.<sup>338</sup>

*თუმცა, თუ გავითვალისწინებთ იმას, ბოლო წლებში კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსის მქონე რამდენი შენობა იქნა ბათუმში დანგრეული, განადგურებული და/ან მნიშვნელოვნად სახეცვლილი, ცხადი ხდება, რომ არც ადმინისტრაციულ და არც სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობა დაკისრებულ პირთა რაოდენობა რეალურ სურათს არ უნდა ასახავდეს. უფრო მეტიც, რაც არ უნდა პარადოქსული იყოს, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსს დღემდე ატარებენ შენობები, რომლებიც დიდი ხანია ფიზიკურად განადგურებულია და იმ ადგილას სხვა შენობებია აგებული.*

<sup>338</sup> ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 6 ივნისის #14323/13-529გ/კ კორესპონდენცია;

## 6. კულტურული მემკვიდრეობის ქაზლის სტატუსის მქონე დანგრეული და სახეცვლილი შენობები ბათუმში

ანგარიშის შესაბამის ნაწილებში განხილული არაერთი შემთხვევა ცხადყოფს, რამდენად არაორგანიზებულად, სათანადო მომზადებისა და დაგეგმვის გარეშე ხორციელდებოდა ბათუმის ისტორიული უბნებისა და ტურისტული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის 2009-2013 წლების პროგრამა. რიგ შემთხვევებში, მილიონობით ლარი იხარჯებოდა ისეთ პროექტებზე, რომლებიც შემდგომში აღარ განხორციელებულა და დღემდე უცნობია, თუ რა ბედი ეწია.

ბათუმის ისტორიული უბნებისა და ტურისტული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის 2009-2013 წლების პროგრამის განხორციელების პარალელურად, სხვადასხვა მიზეზის გამო, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსის მქონე არაერთი შენობა განადგურდა ბათუმში. სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ეს პროცესი არ დაწყებულა მხოლოდ 2009 წელს და ბათუმში არსებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების განადგურება ბევრად ადრე იღებს სათავეს.

ანგარიშის სპეციფიკიდან გამომდინარე, საია არ შეხება ისეთ თემას, როგორცაა ბათუმის ისტორიული უბნებისა და ტურისტული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის 2009-2013 წლების პროგრამის განხორციელების პროცესში კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსის მქონე ობიექტებზე ჩატარებული სამუშაოების შესაბამისობა „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონთან და მხოლოდ ზოგადი სამართლებრივი საკითხებით შემოფარგლა. თუმცა, ვფიქრობთ, რომ საზოგადოებისთვის საინტერესო უნდა იყოს ის ვიზუალური მასალა, რომელიც ანგარიშის წინამდებარე თავში იქნა შეტანილი და ბოლო წლებში ბათუმში განვითარებული მოვლენების ნაწილს წარმოადგენს.

ქვემოთ წარმოდგენილ ფოტოებზე კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსის მქონე იმ ობიექტების ნაწილია ასახული, რომლებიც ბათუმში არსებობდა და დღეისთვის განადგურებული ან მნიშვნელოვნად სახეცვლილია.



### 6.1. თოჯინების თეატრი

მემედ აბაშიძის გამზირზე მდებარე თოჯინების თეატრის შენობა მე-20 საუკუნის დასაწყისში აიგო და იგი ქალაქის თავის მოადგილეს ბიკოვს ეკუთვნოდა. ერთსართულიან მოდერნის სტილის შენობას 3 მეტრისა და 15 სანტიმეტრის სიმაღლის მანსარდა დააშენეს. სარეკონსტრუქციო სამუშაოებისას მოხდა თითქმის მთელი შენობის დემონტაჟი. უცვლელი დარჩა შენობის ფასადი, რომელსაც 2012 წლის 21 ივლისს სამშენებლო ტექნიკა დაეცა და ჩაანგრია ფასადის ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილი – მოდერნის სტილის ორნამენტი შენობაზე.



## 6.2. სასტუმრო „ლონდონი“

ზვიად გამსახურდიას ქუჩაზე მდებარე სასტუმრო „ლონდონის“ შენობა მე-19 საუკუნის 90-იან წლებში აიგო და იგი ბათუმის პირველი კლასის სასტუმროების რიცხვში შედიოდა. სასტუმრო „ლონდონი“ ბათუმში ცნობილი იყო ვერანდაზე გაშენებული ბალით. შენობის გაყიდვის შემდეგ მოხდა რენესანსულ-კლასიციისტური სტილით ნაგები შენობის დემონტაჟი. შენარჩუნდა მხოლოდ ფასადი, რომელიც 2012 წლის 22 მარტს სამშენებლო სამუშაოებისას ჩამოინგრა.



### 6.3. ფოსტის შენობა

ბათუმის ფოსტის შენობა მემედ აბაშიძის ქუჩაზე მე-20 საუკუნის დასაწყისში აიგო. თავდაპირველად ამ ადგილას არსებული სახლი ფრანგ ვაკიეს ეკუთვნოდა. მოგვიანებით, მისგან შენობა ქუთაისელმა ძმებმა იაკობაშვილებმა შეიძინეს, რომლებიც ვაჭართა ფენას მიეკუთვნებოდნენ. ნაგებობის საფოსტო კანტორად გადაკეთების პროექტი 1913 წელს შემუშავდა, არქიტექტორ მიხეილ ნიკოლოზის ძე ნეპრინცევის მიერ. 2010 წლამდე შენობაში ბათუმის ფოსტა იყო განთავსებული. გაყიდვის შემდეგ შენობას მოხსნეს გუმბათი. შემდეგ მოხდა შენობის დემონტაჟი. ამ დრომდე შენარჩუნებულია მხოლოდ ფასალი.



#### 6.4. სასტუმრო “BELLE-VUE”

სასტუმრო “BELLE-VUE” სანაპიროს (თანამედროვე გოგებაშვილის) ქუჩაზე მე-19 საუკუნის მიწურულს აიგო. შენობის მეპატრონე იყო ს.გ. სულუკიანი. ცნობილია სასტუმროს ტელეფონის ნომერიც – 65. სასტუმროს სარეკლამო ფურცელში აღნიშნულია, რომ სასტუმროში ნომრები ავეჯითაა განწყობილი, არის ელექტრონი, ტელეფონი, პიანინო, სასტუმროს ფანჯრებიდან კი ზღვის ხედი იშლება. სასტუმროში პირველი კლასის რესტორანიც ფუნქციონირებდა, სადაც ევროპული და რუსული სასმელების ფართო არჩევანიც ყოფილა. შენობა დაზიანებული იყო და რეაბილიტაციას საჭიროებდა, თუმცა, ძეგლი 2008 წელს გაიყიდა. მოგვიანებით მოხდა შენობის სრული დემონტაჟი.



#### 6.5. სასტუმრო “DE FRANCE”

სასტუმრო “DE FRANCE” მიხაილოვის, ახლანდელი ზვიად გამსახურდიას ქუჩის ეკვს ნომერში მდებარეობდა. შენობა მე-19 საუკუნის ბოლოსაა აგებული და მისი მეპატრონე იყო ვინმე კახიანი. სასტუმროს პირველ სართულზე რამდენიმე ფარდული და რესტორანი იყო განთავსებული, ზედა ორ სართულზე კი – სასტუმროს ნომრები. სასტუმრო „ფრანციაში“, ისევე როგორც ბათუმის პირველი კლასის სხვა სასტუმროებში, ფასები 1 მანეთიდან 5 მანეთამდე მერყეობდა – ნომრის კეთილმოწყობის, ხედისა და მომსახურების ხარისხის მიხედვით.





### 6.6. ეროვნული ბანკის შენობა

1901 წელს ბათუმში ეროვნული ბანკის შენობა აშენდა. XX საუკუნის შუა პერიოდში შენობას მესამე სართული დააშენეს. თუმცა, დაშენებას არ გამოუწვევია შენობის იერის უხეში ცვლილება. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, 2010 წელს შენობა პრეზიდენტის რეზიდენციად გადაკეთდა და მნიშვნელოვნად შეიცვალა.



### 6.7. სასტუმრო „ორიენტალი“

სასტუმრო „ორიენტალი“ ბათუმში, სასტუმრო „BELLE-VUE“-ს გვერდით მდებარეობდა. „ორიენტალი“ პირველი სასტუმრო იყო ბათუმში, რომელიც ელექტროენერჯით და ტელეფონით იყო აღჭურვილი. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუციის ერთ-ერთი ავტორის ზურაბ ავალიშვილის თანახმად, 1918 წელს, თურქული ოკუპაციის დროს, ხსენებულ სასტუმროში მიმდინარეობდა მოლაპარაკებები თურქულ მხარესთან.



## 7. დასკვნა

„რეაბილიტაციის პროცესი ფასადს მიღმა“ სერიის ფარგლებში საიას მიერ ბათუმის რეაბილიტაციასთან დაკავშირებით წარმოდგენილ ანგარიშში ასახული ინფორმაციისა და განხილული საკითხების ანალიზის შედეგად ნათელი ხდება, რომ:

ბათუმის თვითმმართველობის მიერ 2009-2013 წლებში განხორციელებული ბათუმის „ისტორიული უბნებისა და ტურისტული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის პროგრამის“ მნიშვნელოვანი ნაწილი, რომელიც დაკავშირებული იყო შესასრულებელ სამუშაოებსა და მომსახურებასთან, მთელ რიგ შემთხვევებში არ ეფუძნებოდა ზუსტ და ამომწურავ ინფორმაციას და შესაბამისი წლების პროგრამის მსვლელობის დროს მუდმივად იცვლებოდა. საიას მოსაზრებით, აღნიშნული გარემოება, თავისთავად, მიუთითებს პროგრამის დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში არსებულ პრობლემებზე.

ბათუმის ისტორიული უბნებისა და ტურისტული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის 2009-2013 წლების პროგრამაში შეტანილი არც ერთი ცვლილება არ მოიცავს ინფორმაციას და დასაბუთებას იმის შესახებ, თუ რა გარემოებებით იყო განპირობებული ამა თუ იმ წლის პროგრამაში ცვლილებების შეტანა. მეტიც, 2009-2013 წლების პროგრამის ანალიზი ნათლად აჩვენებს, რომ წლების განმავლობაში პროგრამაში შეტანილი ცვლილებები, სავარაუდოდ, სპონტანურ ხასიათს უფრო ატარებდა, ვიდრე ობიექტურ გათვლებზე დაფუძნებულ აუცილებლობას.

